

1942



სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

1942 183 22,83

შრომები

Т Р У Д Ы

TRAVAUX

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XXIII

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



შრომები


Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XXIII



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского Государственного Университета им. Сталина

თ ბ ი ს ს

1942

ბიბლიოთეკის სტამბა

სტალინის ფილმის რეპროდუქციის მანქანა



სტალინი

სტალინი

სტალინი

დაიბეჭდა სტალინის საზ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
დ. ყიფშიძის განკარგულებით

331

პ/მგ. რედაქტორი დ. ყიფშიძე

ტირაჟი 300	სტ. შეკვ. № 128
ხელმოწერილია დასაბ. 25/X-1942 წ.	ზომა 7×11=50000
ჟე 8678	სასტ. ფორმ. რაოდ. 12 ^{1/2} , საავტ. 13 ^{1/2}
სტალინის სახელ. თბილისის სახელმწ. უნივ. გამომც. სტამბა, მარის ქ. № 1.	



ზინაარსი

ისტორია

- 1. მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის 1
- 2. ლ. მელიქსეთ-ბეგი, უღების ისტორიისათვის 25
- 3. მ. პოლიევქტოვი, პირველი სამამულო ომი თანამედროვეთა მონაგონებებსა და წერილებში 57

ენათმეცნიერება

- 4. არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში 71
- 5. ვლ. ფანჩვიძე, ფრ. ენგელსის «ფრანკული დიალექტთა და მისი მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის» 99
- 6. დ. მგელაძე, ყ-პრეფიქსის მნიშვნელობისათვის რუსულში 119

ფილოლოგია

- 7. პ. ბერაძე, ბერძნული საბრძოლო ელევია 125

გეოგრაფია

- 8. ალ. ჯაფახიშვილი, რელიეფის დახრილობა 133

მეცნიერება

- 9. ხუხია და ვ. ხაჩიშვილი, ნატრიუმის მოცულობითი განსაზღვრა ბისმუტის ამაღვამის გამოყენებით 145
- 10. ალ. ხუსკივაძე და ბ. ჩიხლაძე, ნორიოს ნავთის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები 153

მათემატიკა

- 11. ვ. კუპრაძე, სინგულარულ ინტეგრალთა კომპოზიციის ერთი ფორმულის შესახებ 159
- 12. ბ. ხვედელიძე, ნიუტონის პოტენციალის თეორიის ერთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა აკად. ნ. მუსხელიშვილის მეთოდით 165

СОДЕРЖАНИЕ

1. М. Бердзнишвили, К локализации города Фазиса	57
2. Л. М. Меликсет-Беков, К истории удин	71
3. М. А. Полиевктов, Первая Отечественная война в воспоминаниях и письмах современников	99
4. Арн. Чикобава, Из истории склонения имен в грузинском языке	119
5. Вл. Панчвидзе, «Франкский диалект» Фр. Энгельса и его значение для языковедения	125
6. Д. С. Мгеладзе, К значению префикса у- в русском языке	133
7. П. Берадзе, Греческая боевая элегия	145
8. Ал. Джавахишвили, Наклон рельефа	153
9. В. Хухия и В. Хачишвили, Объемное определение натрия с применением висмутовой амальгамы	159
10. Ал. Хускивадзе и Б. Чихладзе, Физико-химические свойства норийской нефти	165
11. В. Д. Купрадзе, Об одной формуле композиций сингулярных интегралов	
12. Б. В. Хведелидзе, Решение одной граничной задачи теории ньютонова потенциала методом акад. Н. А. Мусхелишвили	

SOMMAIRE

1. M. Bérdsnichvili, Localisation de Phasis	1
2. L. Mélikset-Bég, Sur l'histoire des oudines	25
3. M. Poliévktov, La guerre de 1812.	57
4. A. Tchikhobava, De l'histoire de la déclinaison des noms dans le géorgien	71
5. V. Pantchvidzé, «Der fränkische Dialekt» par Fr. Engels et son acception pour la linguistique	99
6. D. Mguéladzé, A propos du préfixe y- en russe	119
7. P. Béradzé, Elégie grecque des combattants	125
8. A. Djavakhichili, Inclinaison du relief	133
9. V. Khoukhia, V. Khatchichvili, Définition volumétrique de sodium	145
10. A. Khouiskivadzé, B. Tchikhladzé, Propriétés physico-chimiques du pétrole de Norio	153
11. V. Koupradzé, Sur une formule de la composition des intégrales singulières	159
12. B. Khvédelidzé, Résolution d'un problème aux limites de la théorie des potentiels de Newton par la méthode de N. Mouskhélichvili	165

მამს. ბერძენიშვილი

ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის¹

1. ძველი ბერძნული ემპორიონის ფაზისის ადგილმდებარეობის საკითხს, წინამდებარე შტუდის საგანს, ასი წლის ისტორია აქვს. მას ეხებოდნენ დიუბუა დე-მონპეოე, პროფ. ფილიპე ბრუნე, შაფრანოვი და ელნიცკი². მაგრამ არც პირველი და მით უფრო არც დანარჩენები ოდნავადაც არ ცდილან შეეკრიფათ ყველა სათანადო ანტიკური რეალია, დაეჯგუფებინათ ისინი ცალკეული ნიშნის მიხედვით, მოეხდინათ მათი ყოველმხრივი ანალიზი და მხოლოდ ამის შემდეგ თავს ედვათ საკითხის განხილვა. ამის გარეშე ი, ცხადია, მიმოხილვა მოკლებულია სისრულეს; ხოლო თვით დანასკვი — დამაჯერებლობას. ამიტომაც ჩვენი შტუდის ამოცანას შეადგენს აღნიშნული ხარვეზის შევსება და ამრიგად ნიადაგის შემზადება პრობლემის საბოლოოდ გარკვევისათვის, რაც მოხერხდება მარტო მაშინ, თუ ანტიკურ ცნობათა ზუსტი და სრული ანალიზით წარმოქმნილ სურათს მიუდგება ემპორიონის მიდამოთა გეომორფოლოგიური სახეც, უფრო კი თუ დაემთხვევა საძიებელი ფაზისის რადიუსში მოპოვებული მისი დროის არქეოლოგიური მასალა.

სამწუხაროდ, ძველი ფაზისის მახლობელ რაიონში ნაპოვნი არქეოლოგიური ობიექტები მოითხოვენ დაზუსტებას: არ ვიცრთ, სახელდობრ, რა ნივთი, რა დროისა, სად, რა ადგილას იქმნა ნაპოვნი, წიაღის რა სიღრმეზე და რა ნივთებთან ერთად. ამავე დროს კი მათი ლოკალიზაცია, საგანგებო რუკაზე აღნუსხული, და დათარიღება საინფედო საყრდენი მასალა იქნებოდა ჩვენი თემისთვის, ყოველ შემთხვევაში ფაზისის დროინდელი ობიექტების მოპოვება გავრცელების უკიდურესი დასავლური საზღვრის დასადგენად მაინც.

ამგვარი უმწეო ვითარების საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ 1910 წელს ნაპოვნი კოლხური ფულების განძი, რომელზედაც ნუმისმატი პახომოვი ძუნწად მარტო იმას გვაუწყებს, რომ „клад колхидских, исключительно, монет найден близ Поти“³. ასეთივე ფაოის მუზეუმში დაცული მშვენიერი სურათი — ბრტყელი ოვალური ქვა — სირიის მეფის ანტიოქესი, ლამაზი ბერძნული

¹ მოხსენდა თბ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის ისტორიის სექციას 1942 წ. 14 აპრილის სხდომაზე.

² Л. А. Ельницкий, Из исторической географии древней Колхиды: Вестник древней истории, 1938, № 2 (3), стр. 307—320. სხვათა შრომები თავ-თავის ადგილასა და-სახელებული.

³ Е. А. Пахомов, Несколько слов о происхождении рисунка „Колхидок.“ Батум, 1911, стр. 7.



წარწერით, ნაპოვნი 1924 წელს პალიასტომში მებაღურ ხიონაკის მუზეუმში შეუსწავლელია ის ნაციხვარიც, რომელიც უნახავს დიუბუას კსლმცნს დასავლეთით 6—7 ვერსის მანძილზე და რომელიც მას არიანეს ციხედ მიაჩნია. მეორე მხრით, არაა საკმაოდ გამოვლენილი არც გეომორფოლოგიური სახე კოლხეთის იმ ნაწილისა, სადაც საგულგებელია ძველი ფაზისი. ზოგადი დახასიათების გარდა¹, ჩვენ არ ვიცით, რამდენად აქვს შეცვლილი გეზი, მაგალითად, რიონს ჩვენთვის საინტერესო რაიონში, კოლხეთის დაბლობში, დღევანდელსავე დაკლაკინილი მდინარეა ჰქონდა მას უწინ აქ, უფრო სამხრეთით მოდიოდა იგი თუ არა, ან სადამდე იყო პალიასტომი აღმოსავლეთით განფენილი საუკუნეთა მიხედვით.

ერთადერთი, რასაც გეოლოგები დაბეჯითებით გვაუწყებენ, ესაა კოლხეთის რელიეფის ცვლა დროთა მანძილზე, კერძოდ ხმელეთის ზრდა ზღვის ხარჯზე. მაგრამ ესეც ისტორიკოსებისთვის ახალი ამბავი როდია: ჯერ კიდევ IV—III ს.ს. ფილოსოფოს-ფიზიკოსს სტრატონს ეს გარემოება იმდენად აფიქრებდა, რომ მას ევონა—დროთა განმავლობაში პონტო შეიძლება ლამით ამოიგოსო (δοκειν δὲ ἄν χωμαίηται τὸν Πόντον ἕως ὕστερον)². იგივე აზრი უფრო მეტი კატეგორიულობით გამეორებული აქვს პოლიბის (დაახლ. 205—123) თავის ისტორიაში: «ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პონტო ძველადაც და ახლაც ლამით ივსება»-ო (φαμέν δὲ γὰρ νῦν αἰμα μὲν καὶ πάλαι καὶ νῦν τὸν Πόντον)³.

ამავე პროცესის დამადასტურებელია პტოლემეს სამერიდიანო კოორდინატებიც მდ. ფაზისის შესართავისა ცალკე და მდ. ქარიუსტოსი (არიანეს ქარიენტოსი) ცალკე: პირველის მერიდიანად პტოლემე სდებს 72° 30'-ს, ხოლო მეორისად 72°-ს, ე. ი. 30'-ით ნაკლებს; ეს კი გვიჩვენებს, რომ პტოლემეს შემდეგ ფაზის-რიონთან ხმელეთი თვალსაჩინოდ გაზრდილა ზღვის ხარჯზე, წაწეულა დასავლეთისკენ და ამიტომაცაა, რომ მისი მერიდიანი დღეს მიახლოებულია ქარიუსტ-ქარიენტოსას (აკად. ს. ჯანაშიას მისაღები აზრით, ეს არის მდ. ცივი: ენიშვის მოამბე, I, გვ. 190).

ნაპირის ასეთს ვითარებას პტოლემე ცხადყოფს შემდეგითაც: „Ἡ Κόρυς περιορίζεται ἀπὸ δὲ δὲ δὲ δὲ ἀπὸ Κόρυκος ποταμοῦ μὲν ἔχει τὸν ἀπὸ τῶν ἰσχυρῶν μυχῶν μέρει τὸν Ἐβδελῖνον Πόντον (V, IX, 1: კოლხეთს დასავლეთიდან საზღვრავს ევქსინის პონტოს ნაწილი მდინარე კორაკიდან ვიდრე ფაზისს ღრუმდე). პტოლემეს ὁ μυχὸς ხომ გარკვეულად მიგვითითებს ფაზისთან კოლხეთის ნაპირის შეწეულობა-შეხუნქილობაზე.

რომ არა თუ პტოლემეს დროს, არამედ აღრეც ფაზისი მართლაც წარმოადგენდა პონტოს ზღვაში უკიდურესად აღმოსავლურ პუნქტს (დღეს კი ასეთი უფროა, მაგალითად, ჭოლოქი შეკვეთილთან, კინტრიში, იგივე ხინოს წყალი, სუფსა ან კიდევ მალთაყვა), ამას გვიდასტურებს სამგზისი მოწმობით ძვ. წ. III საუკ. სწავლული მწერალი აპოლონი როდოსელი. სახელდობრ, იგი ფინეგისს პირით ფაზისზე მოლაშქრე არგონავტებს ეუბნება: „თქვენ განაგრძეთ ცურვა გემზე, სანამ არ შევაჩრებთ ზღვის უკიდურესი კიდე“ (ἐνὶ νηὶ παρῆμε', ἕως μυχῶν ἡν ἐνὶ ἄκρῃ μῆτε θάλασση⁴); ან კიდევ წერს: «გამოჩნდა პონტოს

¹ Справочник по водным ресурсам СССР, т. XI. Закавказье. А. 1935, стр. 260.

² სტრაბონი, გეოგრაფია, lib. I, c. 3, § 7; ლათინურად, SC, I, 1, 83, 97.

³ IV, c. 40, § 4. SC. I, 2, 442.

⁴ Ἀργοναυτικά, 1, 397—399; SC, I, 2, 413.

უკიდურესი ყურე» (μαχηδὲ διεφάνηται Πόντος¹); ბოლოს: «მიაღწეს ფართობს მამდინარე ფაზისს და ზღვის უკიდურეს საზღვარს» (ἤχουσε Φάσιον ἑσπερὸν ἕσπερον, καὶ ἔσχατα πελάγητα πόντου²).

აწინდელთან შედარებით ზღვის ნაპირის აღმოსავლეთისკენ შეწყულობას ფაზისთან ადასტურებს, ჩვენი ფიქრით, სტრაბონისა და ესტათე თესალონიკელის მიერ ცოტირებული იამბი-ანდაზაც—*ἐνδὲ Φάσιον, ἕθμα νηυσὶν ἔσχαταις ἑρπιδις*, ფაზისში, სადაც ვეშებს უკანასკნელი (საბოლოო) გაქანება-ლა აქვთო³, რაც დღეს ვეღარ ითქმის: ნაპირის ხაზი ლარივით გაქიმულ-დასწორებულია და იმიტომ ამის შემდეგ ისიც გასაგებია, თუ რატომ მიაჩნდათ ძველ ბერძნებს ესქილე-ჰეროდოტეს დროიდანვე ეს კოლხური ფაზისი ორმაგ საზღვრად ან ვერაზისს მიჯნად⁴.

აღნიშნული გეოლოგიური პროცესი—რიონთან ხმელეთის ალუვიურობა—დღესაც, არა მარტო უწინ, თვალსაჩინოა არასპეციალისტისათვისაც კი. მაგალითად, ფოთის მოამაგე და ცნობილი მოღვაწე ნ. ი. ნიკოლაძე წერდა: „Маяк в г. Поти, заложенный в начале 60 годов прошлого века у самого уреза моря, в настоящее время отстоит от него более, чем за 2 версты“⁵.

ამ მოვლენაზე შევეკონდით ერთი იმ-აზრით, რომ ცხადი იყოს, თუ რა გეზით უნდა წარიმართოს გეოლოგთა ინტერესი ფაზისის ლოკალიზაციისას, და მერე კიდევ იმიტომაც, რომ საჩინო გახდეს ამ ბერძნული ქალაქის ტრანსმუტაცია და იგი არ ვიგულოთ დღევანდელ ფოთთან, არამედ მის აღმოსავლეთით.

თავისთავად ცხადია, რაკი არაა ზუსტად გამოვლენილი ფაზისის მახლობელი რაიონის გეომორფოლოგიური სახე და არც დაზუსტებული არქეოლოგიური ფაქტები მოგვეპოვება, ჩვენი ამოცანა იფარგლება მხოლოდ ანტიკურ მითითებათა ანალიზით, ხოლო თითონ პრობლემა გაირკვევა მარტოდღენ ჰიპოთეზურად.

2. საანალიზოდ კი ანტიკურმა მწერლებმა ცნობები საკმაოდ დაგვიტოვეს, აი თუნდაც სადისტანციო ციფრები ფაზისსა და ბერძნული სამყაროს რომელიმე პუნქტს შორის, რაც თავისთავად იმასაც მოწმობს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ფაზისს ანტიკურ დროში. ამ ქალაქის მიმართ პუნქტები შემდეგია: პონტოს შესართავი (ჰეროდოტე⁶, ერატოსთენე სტრაბონის დასახელებით)⁷ იეროსი (წმინდა, საღვთო)⁸, მეოტიდის ტბა (ჰეროდოტე⁹, V ს. ანონიმი¹⁰,

¹ ib., II, 1246; SC, 1, 2, 416.

² ib., II, 1260—1261; SC, 1, 2, 417.

³ SC, 1, 1, 136 და 203.

⁴ იხ. ჩვენი „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“, თ. VII.

⁵ Экономическое значение пароходства по р. Риону, 1926.

⁶ IV, 86; SC, I, 1, 37.

⁷ სტრაბონი, გეოგრაფია, II, ს. 1, § 39; C. Müller-ის ვამოცემით, პარიზი, 1880, ნაწ. I, 83: 75—76.

⁸ სტრაბონი, XII, ს. 3, § 17; SC, 1, 1, 157.

⁹ 1, 104; SC, 1, 1, 4—5.

¹⁰ SC, 1, 1, 288.



დიონისეს სქოლიასტი¹), კალქედონი (აგრიპა; ოქტავიანე ავგუსტეს ნაწინაშე²), როვე³, პროკოპი კესარიელი³), სებასტოპოლი ანუ დიოსკურია (ეპატოს-თენე⁴, სტრაბონი⁵, პლინიუსი⁶), ამისოსი (სტრაბონი⁷, სტრაბონის ქრესტომათია⁸, ანონიმი⁹, შემოკლებული პერიპლუსი¹⁰, დიონისეს სქოლიასტი¹¹), აფსაროსი (პლინიუსი)¹², მოგროსი (არიანე¹³) და ტომისი (მოკლე პერიპლუსის ანონიმი ავტორი¹⁴).

მაგრამ სადისტანციო ციფრების განხილვას (აგრეთვე არიანეს ცნობებისას, რომელთაც ეგებ ცალკე ნარკვევი ვუძღვნათ) აქ არ შევუდგებით, რადგან ფაზისის ლოკალიზაციის თვალსაზრისით უცილობელი ღირებულება მათ ვერ მიეკუთვნება.

მ. ოლონდ ამათ შორის ცალკე აღსანიშნავია ერატოსთენეს (275—194) ცნობა, სადისტანციო ციფრი ფაზის-დიოსკურიას შორის. თავისი დროისთვის ის იყო დიდი მეცნიერი, როგორც მათემატიკოსი, ასტრონომი და გეოგრაფოსი, თანაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მცველი. მან პირველმა სცადა ალექსანდრიასა და სიენას შორის სიგანედის ერთი გრადუსის გაზომვით მოეცა მთელი დედამიწის დაახლოებითი მოცულობა და პირველმა განაწყო ქვეყნები და ხალხები, მათი მდებარეობა და ადგილსამყოფელი დედამიწის ზურგზე ნამდვილად გაზომილი ან ნავარაუდევნი ასტრონომიული მდებარეობის მიხედვით.

აი, ასეთი მეცნიერის ცნობა, თემატიკურად ჩვენთვის მეტად ღირებული, დაცული აქვს გეოგრაფოს სტრაბონს, რომლის სიტყვით, მანძილი ფაზის-დიოსკურიას ანუ ფოთ-სოხუმს შუა ერატოსთენეს ნაანგარიშევი აქვს არა ნაკლებ (ὀχι ἔλαττω) 600. სტადიონისა¹⁵ ანუ მეტრული სისტემით—110, 85 კმ-ისა.

მართლაც თანამედროვე რუკებითაც ამ მანძილის ანგარიში ისეთივეა: ფოთ-ოჩამჩირეს შუა 61 კმ, ხოლო ოჩამჩირე-სოხუმს შორის 52 კმ, სულ 113 კმ. ეს უმნიშვნელო სხვაობაც—2,15 კმ—უკუსაადგებია, რადგან მანძილი რუკაზე გაზომილია არა პირდაპირი გზით, როგორც აქვს ერატოსთენეს და სტრაბონიც იმეორებს (πλὴν ἐπ' εὐθείᾳ, პირდაპირი საზღვაო გზით¹⁶), არამედ ოჩამჩირეში შევლით, რაც იძლევა სწორედ ამ სხვაობას.

¹ SC, I, 1, 216.

² პლინიუსი, SC, II, 1, 178.

³ ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, II, 16, 108.

⁴ სტრაბონი, II, 1, 39; XI, 2, 16.

⁵ Ibidem.

⁶ H. N. VI, 14; SC, II, 1, 179.

⁷ XII, 3, 17; SC, I, 1, 157.

⁸ SC, I, 1, 170.

⁹ SC, I, 1, 288.

¹⁰ SC, I, 1, 289—290.

¹¹ SC, I, 1, 216.

¹² H. N. VI, 13; SC, II, 1, 179.

¹³ 10 § (ჰერბერის გამოცემით § 8, 90); SC, I, 1, 220.

¹⁴ SC, I, 1, 295.

¹⁵ (სტადიონი = 184, 75 მ). XI, 1, 16; ამ ადგილის შედარება იმავე სტრაბონის მეორე ადგილთან (II, 1, 39) ნათელჰყოფს ერატოსთენესგან სადისტანციო ციფრის ნასესხებულობას.

¹⁶ სტრაბონი, XI, 2, 16; SC, I, 1, 136.

ფაზისის ლოკალიზაციისათვის ეს ცნობა იმ მხრივაც უზრუნველყოფს, რომ მისი მიხედვით ეს ქალაქი მდებარეობდა აწინდელი ფოთის მახლობელ ნაწილში და არა შორს სამხრეთით, როგორც ფიქრობდა, მაგალითად, პროფ. ფ. ბრუნი, რომელსაც ფაზისი ეგულებოდა პალიასტომის აღმოსავლეთით¹.

4. მაგრამ ჩვენი საკითხისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფოს სტრაბონის მოწმობას, რომელიც ფაზისს იხსენიებს არაერთხელ.

პირველ ყოვლისა მისი წყალობით ვეცნობით ფაზისის მიდამოების რელიეფის ვითარებას, რომელიც საოცრად ემთხვევა ახლანდელს; მისი სიტყვით,

Περὶ δὲ τὰ τῶν Φάσιδος ἢ Κολχικῆς ἡμιναρῶν ὄρη τῶν ἑσάρτων ἡ κολοπαρῆλαια, δίαμυρος καὶ ταπεινὴ καὶ ხეთის σαναβίνο κῆνιშოვანια, დაბლობοὶ μαλακῆ ὄσσα.

და ფლობადი².

5. ეს ცნობა, თავისთავადაც მეტად ღირებული ჩვენი ქალაქის ძიების საორიენტაციოდ, მაინც გაურკვეველ იქნებოდა, რომ არ გვეცოდნოდა ნიშანდობლივ, თუ სახელდობრ კოლხეთის რომელ დღევანდელ მდინარეს გულისხმობდა გეოგრაფოსი; მაგრამ მისივე ორი სხვა ცნობა საშუალებას გვაძლევს ეს მდ. ფაზისი გავაიგივეოთ სწორედ ახლანდელ რიონთან და არა სხვა რომელიმე მდინარესთან.

ჯერ ერთი ის წერს, რომ «ფაზისი გემსავალია აღმა სარაპანამ დეო» (δὲ Φάσις... ἀναπλεῖται δὲ μέχρι Σαραπαγῶν³); ეს კი იმას გვირკვევს, რომ სარაპანა ფაზისის სისტემის პუნქტია, ე. ი. რიონისა, რომლის შენაკადზეც მდებარეობს სარაპანა, დღევანდელი შორაპანი⁴.

მერე და: ფაზისის იგივეობა რიონთან დასტურდება იმ ბუნებრივი საზღვრებითაც, რომელთაც სტრაბონი ასახელებს ქალაქ ფაზისისათვის (მდინარეს, ტბას და ზღვას)⁵ და რასაც ქვემოთ შევხებით; კერძოდ, ორჯერ ნახსენები ტბა⁶, როგორც ბუნებრივი მიჯნა, გარკვეული მითითებაა ფაზის-რიონის იდენტიფიკაციისათვის: სხვა ანტიკური ქალაქი, ფაზისის გარდა, არ ყოფილა ერთდროულად ტბისა და მდინარის მიდამოებში.

ფაზის-რიონის გაიგივების საშუალებას გვაძლევს არიანეც (II ს.), რომელიც მდ. ფაზისს შემდეგი სიტყვებით ავიწერს: «ამ მდინარის წყალი მსუბუქია, ზედაპირზე იგი იმდენად მტკნარია, რომ საქონელსაც ზღვაზე მიერეკებიან წყლის დასაღვინებლად, ხოლო ფაზისში შემნავებელთ არა აქვთ წესად

¹ Черноморье, Сборник исследований по исторической географии южной России, Одесса, 1880, статья V-ая: „Восточный берег Черного моря по древним периплаам и компасовым картам“, стр. 253.

² I, I, c. 3, § 7; SC, 1, 1, 97.

³ I, XI, c. 2, § 17; SC, 1, 1, 136.

⁴ შტრ. ვანუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომიუროსა და ნ. ბერძენიშვილის გამ. თბ., უნივ. გამომცემლობა, 1941, გვ. 154, მ. ჯანაშვილის გამ. თბ., 1904, გვ. 275: „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავსა შინა არს შორაპანი“.

⁵ I, XI, c. 2, § 17; SC, 1, 1, 137.

⁶ ibid; აგრეთვე I, XI, c. 3, § 4: ἡ λιμνη πλησιον.



თან წყალი შეიტანონ, არამედ მის კალაპოტში შესვლის უმაღლესი მისცემენ ხოლმე ბრძანებას გამოღვარონ მთელი წყალი, რაც კი გემებზეა მომარაგებული, და ახალ წყალს იღებენ: «ფაზისის წყალი არა შმორდება და ათ წელიწადზე მეტხანსაც კი სძლებს, პირიქით, სიმტკნარე უფრო ემატება»¹.

პროკოპი კესარიელიც (VI ს.) ამასვე უფრო მკაფიოდ ამბობს: «სისწრაფეც ფაზისის ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს ისე, რომ მას არ უერთდება. ამიტომ იქ მონაოსნეთათვის მოსახერხებელია შუა ზღვაში მიიღონ სასმელი წყალი»².

რომელი დღევანდელი მდინარეა ასეთი თვისების წყლის მქონე? ამ კითხვის პასუხს გვაუწყებს სამეზღვაურო წიგნი—ლოცია—შემდეგი სიტყვებით: «В Поти можно иметь разную провизию и налиться водою из реки, не доходя до устья на полмили (928 м.), а при сильном течении и далее»³. აქედან ცხადია, რომ არიანე-პროკოპის ფაზისი არის სწორედ აწინდელი რიონი, ფოთთან რომ ერთვის ზღვას, და არა სხვა რომელიმე მდინარე.

ვფიქრობთ, რომ სტრაბონის, არიანეს და პროკოპის მითითებანი მდ. ფაზისზე საკმაო გარკვეულობით ადასტურებენ მის იგივეობას რიონთან.

6. ახლა კი დავუბრუნდეთ სტრაბონის მიერ დასახელებულ ბუნებრივ საზღვრებს ქალაქ ფაზისისას, ზემოთ რომ ვლაპარაკობდით. იგი გვაუწყებს:

ἐπικείται δὲ τῷ Φάσιδι δμάνυμοσ ὁ φάσις πῖρις, ἔμπριον τῶν Κόλχαν, τῆ μὲν περιβέβλημένη τὸν ποταμόν, τῆ δὲ ἄλλοι τῆ δὲ τῆν μάλαταιν. საზისის პირას მდებარეობს მისი მოპლის, ἔμπრიონ τῶν Κόλχαν, თქ მენ რომელსაც წინ უძევს მდინარე, ტბა და ზღვა⁴.

გეოგრაფოსის ეს ცნობა არკვევს, რომ: 1) ქ. ფაზისი მდებარეობდა მდინარესა, ტბასა და ზღვას შუა, ე. ი. იქ, სადაც დაახლოებით დღეს არის ფოთი და მისი მიდამოები, ვინაიდან კოლხეთში არ მოიპოვება პალიასტომის გარდა სხვა ტბა, მდებარე ზღვისა და მდინარის მახლობლად; 2) ქ. ფაზისის მოსაზღვრე ტბად ნაგულისხმევია უთუოდ დღევანდელი პალიასტომის ტბა; 3) ქ. ფაზისი მდებარეობდა რიონის მარცხენა ნაპირას, რადგან იგი მოთავსებულია მდინარესა და ტბას შუა.

7. ჩვენი პრობლემის დაზუსტებისა და გარკვევის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია მესამე მომენტა—ფაზისის მდებარეობა მდინარის მარცხენა ნაპირზე და ამიტომ აქვე მოფუყაროთ თავი ყველა სხვა ანტიკურ ცნობას ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ და ვსინჯოთ, ემთხვევა თუ არა სტრაბო-

¹ პერძელუხი, § 8; კ. ჰერხერის გამოცემით, გვ. 91. შდრ. ანონიმი, § 46; SC, 1, 1, 274—275.

² ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, II, 84—85.

³ Лоция Черного и Азовского морей, СПб., 1903. стр. 422.

⁴ სტრაბონი, გეოგრაფია, I, XI, c. 2, § 17; SC, 1, 1, 137.



ნის ჩვენება სხვა დანარჩენთა მითითებებს. ქრონოლოგიურად პირველ რიგში დასაჯიბთხავია არიანე, მაგრამ რადგან იგი განსაკუთრებულ ინტერპრეტაციას საჭიროებს, ჯერ განვიხილოთ სხვათა ცნობები, უწინარეს ყოვლისა, არიანეს უმცროსი თანამედროვის ასტრონომ-გეოგრაფოს კლავდი პტოლემეს მიერ ნაჩვენები კოორდინატები მდინ. ფაზისის შესართავისა და თვით ქალაქ ფაზისისათვის.

შესართავიც და ქალაქიც პტოლემეს აღნიშნული აქვს ერთს მერიდიანზე ($72^{\circ} 30'$), პარალელები კი სხვაობენ $15'$ -ით, სახელდობრ: შესართავი ნაჩვენებია 45° -ზე, ქალაქი კი $44^{\circ} 45'$ -ზე¹, ე. ი. პირველის სამხრეთით ანუ მარცხენა ნაპირზე. ეს უგულებელსაყოფთ გარემოება როდია.

მართალია, პტოლემეს ტექსტი შერყენილად არის მიჩნეული და ეს კარგა ხანია აღნიშნა სხვათა შორის გეოგრაფოსმა კ. რეტერმა², ამასთანავე ხელთ არ მოგვეპოვება უკანასკნელი მისი კრიტიკული გამოცემა შნაბელისა³ და არც კუნცის უახლესი გამოცელება პტოლემეს „გეოგრაფიისა“⁴. მაინც ასეთ პირობებშია ცარა ვვაქვს საბუთი დავეჭვდეთ კოლხეთისა, საერთოდ, კერძოდ ქალაქ და მდინარე ფაზისის კოორდინატების რელატიურ სისწორეში და აი რატომ. როგორც დადგენილია, პტოლემე ყოველთვის გარკვეული წესით ასახელებს კოორდინატებს: ჯერ აღნიშნავს ჩრდილო-დასავლურ პუნქტს, მისდევს ამ გრადუსის სიგანედს აღმოსავლეთისკენ და მერე უკვე გადადის მომდევნო სამხრეთის პუნქტზე⁵. კოლხეთის მიმართაც ეს წესი მას დარღვეული არა აქვს: იწყებს დიოსკურიით (NW) და ათაგებს ფაზისით (SO). ამიტომაცაა, რომ ეჭვი არ შეგვაქვს მისი კოორდინატების დაახლოებით სისწორეში, კოლხეთის ცალკეული პუნქტების რელატიურად ზუსტ განლაგებაში.

პტოლემე ეჭვს არ გვინერგავს არც იმ შემთხვევაში, როცა მდ. ფაზისის კოორდინატად ასახელებს $72^{\circ} 30' - 45^{\circ}$, ხოლო მის ჩრდილოეთით მომდინარე ქარიუსტოსას $72^{\circ} - 45^{\circ} 15'$, ე. ი., მარტივი თქმით, როცა ქარიუსტო, არიანეს ქარიენტო, ნაჩვენები აქვს ნახევარგრადუსით უფრო დასავლეთით ფაზისისა ანუ სხვადასხვა მერიდიანებზე და არა დაახლოებით ერთ ხაზზე, როგორც დღესაა სინამდვილეში. არ გვინერგავს ეჭვს იმიტომ, რომ კოლხეთის ნაპირს ფაზისსა და ქარიუსტოს შორის წარმოგვიდგენს სწორედ იმგვარად, როგორიც იგი უნდა ყოფილიყო წარსულში გეოლოგების ერთხმივი ვარაუდით: ზღვის ნაპირის ეს ნაკვეთი ალუვიური წარმოშობისაა, იგი გაჩნდა ზღვის ხარჯზე მდინარეთა მონარიყის წყალობით და დღეს ლარივით გაჭიმულ-დასწორებულ მისი სანაპირო ხაზი უწინ მრუდე იქნებოდა, ვინაიდან ეს ნაკვეთი მაშინ საკმაოდ იყო შეზნექილ-შეწეული აღმოსავლეთისაკენ⁶.

¹ I. V, c. IX, § 2; SC, 1, 1, 240.

² История землеведения, СПб. 1864, стр. 100—101.

³ Text und Karten des Ptolemäus, hrsg. von Paul Schnabel. Lpzg. 1938.

⁴ O. Cuntz, Die Geographie des Ptolemäus, Ber. Weid., 1929.

⁵ Риттер, цит. соч., стр. 100.

⁶ მაგალითად, კმარა კ. ა. Сатуни, Изменение кавказского берега Черного моря (Изв. Кавк. отд. Русск. Географ. О-ва, т. XXIX, № 1, стр. 109—110).

ამიტომ: რამდენადაც პტოლემეს კოორდინატები ექვემდებარება ანტიკურ გეგმებს, არა გვაქვს არავითარი საბუთი მათი რელატიური სისწორის განმარტებისა, პირიქით, მოვალენი ვართ შევიწყნაროთ როგორც მართებული მისი მოწმობა, რომ კერძოდ ჩვენი ქალაქი ფაზისი, ომონიმური მდინარის სამხრეთით მოთავსებული მის მიერ, მდებარეობდა მდინარის მარცხენა ნაპირზე და ამრიგად მისი ხმაც შევმატოთ დანარჩენ ანტიკურ მწერალთა ერთსულოვან ჩვენებას.

ქალ. ფაზისის მდებარეობას მდინარის სამხრეთით ანუ მარცხენა ნაპირზე კატეგორიული უქვეყლობით ამოწმებს V ს. პერიპლუსის ანონიმური ავტორიც, რომელიც წერს:

Εἰς ἄνωγον δὲ εἰς πτωχὸν ἀριστερᾶ τὸν Φάσιδος παρακίεται Μιλησῶν πᾶσις ἔλληγινς Φᾶσις λεγομένη. მდინარეში რომ შედიხარ, ფაზისის მარცხენა მხარეზე მდებარეობს მილეტელების [დაფუძნებული] ბერძნული ქალაქი, ფაზისად წოდებული¹.

ანონიმის სიტყვები *ἀριστερᾶ* τὸν *Φάσιδος* *παρακίεται* *πᾶσις* *Φᾶσις* აბსოლუტური გარკვეულობით ადასტურებენ ჩვენი ქალაქის მდებარეობას სწორედ მდინარის მარცხენა ნაპირზე, მაშინ როდესაც სტრაბონისა და, როგორც ვნახავთ, აგათიას მოწმობით ეს ცხადი ხდება მხოლოდ ტექსტის გამოწვლილების შემდეგ.


გადავიდეთ ახლა აგათიას ჩვენებაზე, ამავე საკითხს რომ ეხება. იგი მოგვითხრობს: «ნახორაგანს უნდოდა ქალაქს სამხრეთის მხრით მისდგომოდა, სადაც წყალი მას ვერავითარ დაბრკოლებას ვერ შეუქმნოდა, და ამგვარად დაუბრკოლებლივ მიუახლოვდებოდა ზღუდეს, ვინაიდან მდინარე ჩრდილოეთის მხრით ჩამოუდის ქალაქსო (πᾶθ γὰρ τὸ ἀριστεῖον ἰσταρεῖν καὶ παρατείνεται μέριος)². ამ ციტატაში საკმარისია უკანასკნელ ფრაზაზე ყურადღების გამახვილება: თუკი მდინარე ჩრდილოეთის მხრით ჩამოუდიოდა ქალაქს, ჩანს, რომ ქალაქი მის სამხრეთით ანუ მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა.

ამრიგად ირკვევა, რომ ქალ. ფაზისის ადგილმდებარეობის საკითხში სრული თანხმობა სუფევს ყველა ძველ ბერძენ მწერალს შორის: სტრაბონიც, პტოლემეც, V ს. ანონიმიც და აგათიაც, ერთობ ყველა მოწმობს, რომ ფაზისი მდებარეობდა მდინარის მარცხენა ნაპირზე.

ახლა კი მივმართოთ განზრახ გამოტოვებულ არიანეს. მის მოწმობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის სხვებსავეთ ლიტერატურულ წყაროებზე დამყარებით კი არა წერს, არამედ გადმოგვცემს როგორც თვითმხილველი: მან ხომ 134 წელს საკუთარი თვლით ინახულა ჩვენი ფაზისი და, როგორც რომის ხელისუფლების წარმომადგენელმა, სათანადო თადარიგიც დაიჭირა ბარბაროსთაგან, ე. ი. კოლხებისგან ამ ქალაქის, უფრო კი ციხის დასაცავად. აი,

¹ § 44, SC, 1, 1, 274.

² აგათია, III, 30; გეორგიკა, III, 98.



ასეთი პირი თემატიკურად ჩვენთვის საინტერესო ცნობას ასეთი სიტყვებით
გადმოგვცემს:

ἐξαικλήτων δὲ ἐξ τῶν Φάσιον ἐν Πρι εἰσὶν εἰς τὴν Φάσιον ἡ βερερυ
ἀριστερῆ. Ἰδρῆται ἢ Φάσιανῆ φῆσῃ. При входе в Фазис на левом берегу стоит фасианская богиня¹.

ცხადია, ჩვენი საკითხისათვის არიან ეს ფრაზა გარდამწყვეტი მნიშვნელობისა: ქალაქი ხომ იმავე ნაპირზე უნდა ყოფილიყო გაშენებული, სადაც აღმართული იყო ფასიანელთა ქალღმერთი: უკაცრიელ ადგილზე მისი ქანდაკების აღმართვას არავითარი აზრი არ ექნებოდა, მით უფრო, რომ არიან ეს იქვე ანახვეს არგონავტების ლუზებიც, თუ მისი ἔν ἀριστερῆ გავიგეთ ლატიშევიცით, როგორც მარცხენა ნაპირი (ამიტომაცაა, რომ მას სიტყვა βερερυ კურსივით აქვს მოცემული), მაშინ ქალაქიც იმავე ნაპირზე მდებარედ უნდა მივიღოთ. ხოლო თუ ἔν ἀριστερῆ გავიგეთ მარცხნივ არა მდინარისა, არამედ ფაზისში შემნავებელთა (ἐξαικλήτων) მიმართ, მაშინ ქალღმერთი და, εἰς, ქალაქიც მდინარის უკვე მარჯვენა ნაპირზე უნდა ვიგულოთ.

ჩვენი ფიქრით, მართებული იქნება ეს ტექსტი წავიკითხოთ და გავიგოთ ასეთი კონიექტურით, რაც მხოლოდ დააზუსტებს არიან ეს აზრს: ἐξαικλήτων δὲ ἐξ τῶν Φάσιον ἐν ἀριστερῆ τινὲς (ან: ἔν ἀριστερῆ τὸν ποταμὸν) Ἰδρῆται ἢ Φάσιανῆ φῆσῃ, ე. ი.: ფაზისში შენავებისას, მის მარცხნივ (ან: მდინარის მარცხნივ) აღმართულია ფაზიანელი ქალღმერთი.

რატომ უნდა მივიღოთ ასეთი კონიექტურა?

იმიტომ პირველ ყოვლისა, რომ არიან ეყოველთვის, როცა კი მარჯვენა-მარცხნივზე ლაპარაკობს, ობიექტს ასახელებს, მიმართებას აზუსტებს. მაგალითად, § 16-ში: ἐπὶ δὲ τῶν Ἰδρῆται τῶν Ἰδρῆται, მივცურავდით პონტოს მარჯვნივ²; იქვე: ἀπὸ δὲ Σιγγῶν ἐκἀμυσσῶν ἐξ τῆς λαίης πλεουσθῆναι τὸν Πόντον, სინგამიდან შევუხვიეთ პონტოს მარცხნივ³; § 26-ში: Διοσκουρίδῃ στρατηγῶν τελευτῆς Ῥωμαίων ἢ ἑλληνῶν ἐν δὲ τῶν Ἰδρῆται, დიოსკურია ბოლონა პუნქტია რომეელთა ბატონობისა პონტოში შესვლისას მარჯვნივ⁴.

ჩვენს § 9-შიაც (ჰერხერით) არის ასეთი დაზუსტება, მიმართების ობიექტის დასახელება, ოღონდ გადანაცვლებული: ἐξ τῶν Φάσιον ἐν ἀριστερῆ.

მაგრამ ვთქვათ, რომ მიმართების ობიექტის დასახელება გამოტოვებულია, მაინც იგი ლოგიკურად იგულისხმება და უდავოა: ფაზისში შენავებისას მარცხნივ აღმართულია ფაზიანელთა ქალღმერთი. რის მარცხნივ? ფაზისის მარცხნივ, რომელშიც შედინარ და რომელიც ეს-ეს არის ახსენა არიანემ და აღარ გაიმეორა ტავტოლოგიის ასარიდებლად.

¹ § 9 ჰერხერის გამოცემით, 1885, გვ. 91; ლატიშევიტ § 11, SC, 1, 1, 220. კურსივით βερερυ ლატიშევისაა.

² რულ. ჰერხერის 1885 წ. გამოცემით გვ. 93.

³ ibid., გვ. 93-94.

⁴ ibid., გვ. 98.



მან ფაზისის სახელი არ გაიმეორა კიდევ იმიტომ, რომ მისთვის ცხელი იყო, რის ზნეც არა იყო აღმართული ფაზიანელი ქალღმერთი, თორემ არ ანეს რომ შემსვლელთა მიმართ ეგულისხმნა ზნეც არა იყო, მაშინ დასწერდა ზნეც არა იყო *ἔν ἄριστερῶν ἐν τὸν Φάσιον*, როგორც დასწერა § 26-ში: *ἔν ἄριστερῶν ἐν τὸν Πόντον*.

გარდა ამისა ჩვენი გაგების სასარგებლოდ ისიც ამბობს, რომ ოთხი ანტიკური მწერალი (ერთი არიანეზე აღინიშნული—სტრაბონი, ერთი არიანეს უმცროსი თანამედროვე—პტოლემე და ორი კიდევ მომდევნო დროის—V ს. ანონიმი და VI ს. აგათია) ყველა ერთხმად უჩვენებს ფაზისის მდებარეობას მდინარის სწორედ მარცხენა ნაპირზე და არა მარჯვენაზე და არც ერთი არ მოიპოვება ანტიკურ მწერალთა შორის ისეთი, რომელიც წინაუქმოს მოწამობდეს. ეს უგულვებელსაყოფი როდია. მართლაც წარმოუდგენელია, რომ I—II საუკუნეებში, სტრაბონისა და პტოლემეს დროს, აგრეთვე V—VI საუკუნეებშიც, ანონიმისა და აგათიას ხანებში, ქალაქი ყოფილიყო მდინარის მარცხენა ნაპირზე, ხოლო II საუკუნის 30-იან წლებში, არიანეს დროს, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იგი გადაეტანათ მარჯვენა ნაპირზე.

ასევე ჩვენი გაგების სასარგებლოდ დასაბუთებს ანონიმის მკაფიო თქმა: *ἄριστερῶν τὸν Φάσιον ἐκ παραίχεται πῆλξ Φάσις λεγομένη*, ფაზისის მარცხენა მხარეზე მდებარეობს ქალაქი ფაზისად წოდებული. და კიდევაც რომ ვთქვათ, რომ ანონიმი აქაც¹ იმეორებს არიანეს, როგორც სხვა წყნებში, მაშინაც კი უტყველი რჩება ის, თუ როგორ ესმოდათ არიანეს ზნეც არა იყო V ს.-ში, როცა ტექსტიც უკეთესი ჰქონდათ ხელთ და ბერძნულიც უკეთესად ესმოდათ: იგი მათი მშობლიური ენა იყო და იმიტომ.

არაა უგულვებელსაყოფი ისიც, რომ არიანეს ყველა კომპეტენტურ მთარგმნელს, ვისაც კი ჩვენ მივმართეთ², ზნეც არა იყო ესმით, როგორც მარცხენა მხარე ან ნაპირი, მაგალითად, Henry Chotard-ს³, განს⁴, ლატიშვილს⁵.

ამრიგად დადასტურებულია, რომ ქალაქი ფაზისი მდებარეობდა მდინარის მარცხენა ნაპირზე.

8. სტრაბონი გვიჩვენებს არა მარტო ამ ბერძნული ქალაქის ბუნებრივ საზღვრებს და მის მდებარეობას მარცხენა ნაპირზე, არამედ იმის მითითებასაც

¹ მიუღწერი ამ § 44-ს სკიზმე ქოლხელისგან ამოღებულად თვლის.

² გამონაკლის შეადგენს სომეხ-კათოლიკე მინას ვარდაპეტ ბუშკიანი (მინა შედიცი), რომელიც, როგორც ბერძნულ წყაროთა მდარე მცოდნე, მას მთარგმნის მარჯვენა ნაპირად. იხ. მისი ისტორია პონტოსი, ვენეცია, (სომხ.) 1819, გვ. 106—107 (§ 153). ამ ცნობის მოწოდებისათვის ვმადლობთ პროფ. ლ. მედიქსეთ-ბეგს.

³ Le périple de la Mer Noire par Arrien, Paris, 1860, გვ. 21, 158, განსაკუთრებით კი დართული რუკა.

⁴ Известия древних и римских писателей о Кавказе, ч. I, Тифл., 1884, стр. 148.

კი გვაძლევს, რომ ქალაქი მდინარესთან უფრო ახლო იყო, ვიდრე *ტრანსტონი* აი, ეს რეალიაც:

ὁ Φάσις ἔχει πάλιν βράνυσμον ἐπ' *ფაზისის აქვს თანამოსახელე ქალაქი თა-*
 ἀντὶ καὶ λίμνην πλησίον. *ვისთან და ტბა მახლობლად*¹.

სიტყვა *ἐπ'* *ἀντὶ* გარკვეულად ნიშნავს: თავისთან, იქვე, თავის კიდებზე, ნაპირზე, ხოლო უშუალოდ მომდევნო *φράζα* *καὶ* *λίμνην* *πλησίον* (და ტბა შორი-ახლო) წარმოადგენს წინა სიტყვის ანტითეზას და ითარგმნება ასე: ფაზისთან იქვე არის თანამოსახელე ქალაქი და ტბა შორი-ახლო.

სხვათა შორის აქცენტუაცია სიტყვებზე *ἐπ'* *ἀντὶ* *καὶ* *λίμνην* *πλησίον* კვლავ ადასტურებს ქალაქის უკვე ნაჩვენებ მდებარეობას მდინარის სწორედ მარცხენა ნაპირზე, თორემ ქალაქი რომ მარჯვენა ნაპირზე ყოფილიყო, მაშინ სტრაბონი ვეღარ იტყოდა—ტბა ახლოსააო, რადგან ის დაშორებული იქნებოდა, და საერთოდაც ტბას სრულიადაც აღარ დაასახელებდა, როგორც ქალაქის მდებარეობისათვის ნიშანდობლივ საზღვარს.*

იმავე სტრაბონს მოეპოვება მეორე რეალიაც იმისა, რომ ქალაქი ფაზისი მდინარესთან ძალიან ახლოს მდებარეობდა; სახელდობრ, იგი წერს:

ἀπὸ γὰρ τῶν ποταμῶν καὶ τῆς πίνεως *მდინარიდან და ქალაქიდან პირდა-*
 οὐκ ἔλάττων ἔξαικοσίων σταδίων *პირი საზღვაო გზა (პონტოს) კუთ-*
 πεται πλοῖς ἐπ' ἐμπείαις εἰς τὸν μυχόν. *ხემდე რჩება არა ნაკლებ 600 სტა-*
 დიონისა².

ცხადია, მდინარე და ქალაქი ერთი-მეორის ახლოს ყოფილან, რაკი გეოგრაფოსი ორივე ამ პუნქტიდან მანძილს პონტოს კუთხემდე ანუ დიოსკურიამდე უჩვენებს ერთსა და იმავეს—600 სტადიონს.

და ასეთი მდებარეობა მდინარის პირას ქალაქს ჰქონდა სტრაბონის შემდეგაც, VI საუკუნეში, ავათიას დროს. იგი ხომ წერს: ქალაქმა ფაზისმა... ეს სახელწოდება მიიღო მდინარისგან, რომელიც იქვე ახლოს ჩამოდის (πλησιάζουσα ὑπορρέοντος) და თვით ქალაქის მახლობლად ერთვის ევქსინის პონტოს (καὶ ἀπὸ' ἀντὶν ἐς τὸν Εὐξείνιον Πόντον ἀπερευχόμενους). ქალაქი ზედ ნაპირთან და შესართავთან არის გაშენებული (πρὸς γὰρ τὸ ἀνιציὰν καὶ ταῖς ἐπιβλαῖς τὸ πόλισμα ἔδρυσται)³.

ავათიას ეს ძვირფასი ცნობა VI ს. ფაზისის მიმართ გვირკვევს არა მარტო მის მდებარეობას მდინარის პირას, არამედ იმასაც, რომ იგი ამასთანავე შესართავთანაც, ე. ი. ზღვის, ახლოს იყო გაშენებული⁴. იგი ქალაქის

¹ I. XI, c. III, § 4; SC, 1, I, 140.

² I. XI, c. II, § 16; SC, 1, I, 136.

³ ავათია, III, 19; გეორგიკა, III, 97.

⁴ ზღვასთან სიახლოვეს აღნიშნავს არიანეც: ციხე იცავდა ნავსადგურს.



მღებარეობის უფრო მეტი დაზუსტების საშუალებასაც კი გვაძლევს, რადგან დაც ციტირებულ ადგილს ამოავრებს ასეთი სიტყვებით: «ნესოსს, სულ ღიდი, ექვსი ფარასანგით არის დაშორებული დასავლეთითო»¹, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

9. მანამდე კი გვმართებს შეჩერება თემატიკურად მნიშვნელოვან მომენტზე, რაიც დაცულია არიანეს პერიპლუსის § 9-ში, სადაც მოგვითხრობს მის მიერ გამავრებულ ფაზისის ციხე-სიმაგრის შესახებ შემდეგს:

Τὸ μὲντοι φρούριον αὐτὸ, ἵναπερ
 κάθιγται τετρακίσιοι στρατιῶται ἐπι-
 λεκτοί, τῆ τε φύσει τοῦ χῶρου ὀχυρώ-
 τατον εἶναι μοι ἔδοξεν, καὶ ἐν ἐπι-
 τηδαιοτάτῳ κείσθαι πρὸς ἀσφάλειαν
 τῶν τῆσθε πλεόντων. καὶ τὰφρος δι-
 πλῆ περιβέβληται τῇ τείχῃ, εὐρεῖα
 ἑκατέρω. πάλαι μὲν οὖν γήϊον τὸ τεί-
 χος ἦν, καὶ πύργαι ξύλινοι ἐφεισθή-
 κεσαν. νῦν δὲ ἐκ πλίνθου ὀπτῆς πεποι-
 ηται καὶ αὐτὸ καὶ οἱ πύργοι. καὶ τειχε-
 μελῶται ἀσφαλῶς, καὶ μυχῶναι ἐφε-
 στάσιον.

ხოლო თითონ ციხე, სადაც მოთავსე-
 ბულია 400 რჩეული მეომარი, მე ძა-
 ლიან მტკიცე მეჩვენა მღებარეობის ბუ-
 ნებრივ თვისებათა გამო და ისეთ ად-
 გილზე გაშენებულად, რომელიც მეტად
 მარჯვეა აქ მონაოსნეთა დაცვისათვის.
 კედელს ირგვლივ შემოვლებული აქვს
 ორმაგი თხრილი; ორივე თხრილი გა-
 ნიერია, წინათ კედელი ალიზისა იყო და
 მასზე იდგა ხის კოშკები, მაგრამ ახლა კე-
 დელიც და კოშკებიც გამომწვარი ავური-
 თაა ნაშენი; იგი ნაგებია მავარ საძირ-
 კველზე, მასზე აღმართულია საომარი
 მანქანები...

ცოტა ქვემოთ არიანე განაგრძობს:

ἔπειδὴ δὲ καὶ τὸν ἕρμον ἐχρῆν ἀ-
 φαλῆ εἶναι ταῖς ναυσὶ καὶ ἕσα ἕξω τοῦ
 φρουρίου κατακείτο ἑπτά τε τῶν πεπαισμέ-
 νων τῆς στρατιᾶς καὶ τινῶν καὶ ἄλλων
 ἐμπορικῶν ἀνθρώπων, ἔδοξέ μοι ἀπὸ
 πῆς διπλῆς τὰφρου, ἣ περιβέβληται
 τῇ τείχῃ, ἄλλην τὰφρον ἐμβάλεῖν ὡς
 ἐπὶ τὸν ποταμόν, ἣ τὸ τε ναύσταθμον
 περιέξει καὶ τὰς ἕξω τοῦ τείχους
 οἰκίας.

რადგან თითონ ნავსადგურიც უნდა
 წარმოადგენდეს გემებისთვის უშიშარ
 საფარს, აგრეთვე ის ადგილებიც, რაც
 ციხის გარეთ დასახლებულია სამსახუ-
 რიდან გადამდგარი სამხედროებით და
 ზოგიერთი სხვა მოვაჭრე ხალხით, ამი-
 ტომ გადავწყვიტე ორმაგი თხრილიდან
 დაწვებული, რომელიც კედელს აქვს
 შემოვლებული, გამეყვანა სხვა თხრილი
 მდინარემდე, თხრილი შემოევლება ნავ-
 სადგურს და კედელს იქით (გალავან-
 გარეთ) მღებარე სახლებს².

ციხის აღწერილობა არიანეს
 არქეოლოგიური ძიების დროს მისი
 წყალობით:

იმდენად ზუსტად აქვს მოცემული, რომ
 მიგნება ძნელი არაა შემდეგი ნიშნების

¹ აგათია, III, 19; გეორგიკა, III, 97.

² რუდოლფ ჰერნერის 1885 წ. გამოცემით, გვ. 91—92.

1) ციხის კედელი ანუ გალავანი (τεῖχος) და კოშკები გამოიწვარი, თაა ნაშენი მაგარ საძირკველზე;

2) ციხეს ირგვლივ შემოვლებული აქვს ორი წყება განიერი თხრილი;

3) ციხე თხრილებითურთ უნდა ყოფილიყო არა იქ, სადაც ფაზიანელთა ქალღმერთის ქანდაკება იყო აღმართული და სადაც არიანეს ანახეს ლუზები, ე. ი. არა მდინარის მარცხენა ნაპირზე, არამედ შესაძლებელია მარჯვენა ნაპირას, ვინაიდან ამ წყლის თხრობას ავტორი თითქოს უბიროსპირებს წინა წ-ში თქმულს და ამ აზრით იწყებს კიდევ წინადადებას დაპირისპირებითი კავშირით *μαρσι* (ხოლო, გარნა, კი, არამედ თითონ ციხე...);

4) იგი ზღვაზე შორს არ იყო, რადგან «ნავსადგური უშიშარი საფარი უნდა ყოფილიყო გემებისთვის»; არც მდინარეს იყო ძალღან დაშორებული: მესამე თხრილი მდინარემდე უნდა გაეყვანათ და იმიტომ;

5) იგი მიღებარებდა შედარებითი მიდამოებთან მაღლობ ადგილზე, ვინაიდან არიანეს ის «მტკიცე ეჩვენა მიღებარეობის ბუნებრივ თვისებათა გამო» (*τη τε φῦσιν τῆν ἄριστον ἔχουσαν εἰς ἐπιβῆναι*);

6) მესამე თხრილი დაშორებული იქნებოდა ციხეს, რადგან ის იფარავდა ბარბაროსთაგან ნავსადგურს და, ასე ვთქვათ, ციხის უბანს; თითონ ქალაქი კი, სადაც ჭარბად იყო ადგილობრივი კოლხური ელემენტი (გავიხსენოთ სტრაბონის თქმა — *ἐμπόριον τῶν Κόλχων*—და ისიც, რომ შენაგების უმაღლეს არიანეს თვალში ეცა ფაზიანელთა ქალღმერთის აღალმა), გაშენებული იყო ზღვისა და მდინარის შესართავის ახლოს, მარცხენა ნაპირზე.

საინტერესოა, რომ ამ ასი წლის წინათ შვეიცარიელმა ფრედ. დიუბუა დე-მონპერემ მართლაც ნახა ნაციხვარი ქალაქის დასავლეთით 6—7 ვერსის მანძილზე და რიონის მარჯვენა ნაპირზე 700 ბიჯის დაშორებით. ნაციხვარის აღწერილობა ასეთია:

«მედიოდი მარტო. არავინ მოსურვა გამოუმოლოდა, გარდა ერთი ჯარისკაცისა, რომელსაც არყის გროშებს დაეპირდი ვერ წარმოიდგენთ, რა ჯაფა დამადგა, სანამ მივალწვდ იმ არამალად ბორცვს, რომელიც სულ თვალწინ მიკრთოდა, როგორც სანუკვარი კუნძული რამ! ბოლოს ჩვენი ფეხი (დიუბუასი და გამეოლისა. მ. ბ.) შესდგა რალაც ხმელეთზე და ეს ხმელეთი, ჭაობის შუაგულში, მდინარისგან 700 ნაბიჯზე დაშორებით, იყო მხოლოდ ხაზი აგურით ნაშენ იმ კვადრატული ციხე-სიმაგრისა, რომელშიაც კაცმა ადვილად შეიძლება შევიდნოს სწორედ ის, რაც აღწერა და განახლა არიანემ. ოთხი მხრით მაღლა აზიდულა კვადრატული კოშკები, გარედან 40—40 ბიჯის სიგრძისა, ციხის კარი მიმართულია ზღვისკენ. შენობაზე ნახშირი აგურები სიგრძით 10 დიუმი და 6 წირია, სიგანით 6 დიუმი და სისქით 1 დიუმი¹; აგურები ერთმანეთში დაკავშირებულია რალაც მოწითალო დუღაბიანი მასით.

ციხის ეზო, სიგანით 140 ბიჯიანი, სწორედ იმოდენი ფართობისა, რაც საჭირო იყო 400 რომელი ჯარისკაცისთვის, მის გარნიზონს რომ შეადგენდნენ, ახლა წარმოადგენდა ზამთარ-ზაფხულ ტალახიან ტბორეს, ხოლო შესავალი კარი ლამით ამოვსებულ არს ჰგვანდა. კოშკების ჩამონანგრევებისაგან გაჩენილი გორაკები გადაუსილია რიონის ღამის სქელი ქვიშოვანი ფენით»².

¹ მეტრის სისტემაზე გადმოტანით ნაციხვარის აგურის ზომა ასეთია: სიგრძე 26, 25 სმ., სიგანე 15 და სისქე 2,5 სმ. შდრ. G. Cagnat et V. Chapot, Manuel d'archéologie romaine, t. 1, Paris, 1917 p. 12—14.

² Voyage autour du Caucase, v. III, Paris, 1839, p. 67—69.



რასაკვირველია, ადგილობრივ უნახავად და შეუმოწმებლივ შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, რომ დიუბუას მიერ ნახული ნაციხვარი წამლედი არიანესული ციხეა, ოღონდ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ექვსი ნიშნიდან, რაც გამომდინარეობს არიანეს აღწერილობიდან, ოთხი უთუოდ ემთხვევა არიანესულ ციხეს¹, სახელდობრ:

1) კედელი და კოშკები აგურით არის ნაშენი; დიუბუა აგურის ზომასაც კი ასახელებს: 10 $\frac{1}{2}$, დიუიმი სიგრძით, 6 დ. სიგანით და 1 დ. სისქით, რაც—აქვე ვიტყვიტ—არ უდგება ანტიკური დროის აგურის ცნობილ ზომებს; საძირკველიც მაგარი ჩანს, რამდენადაც ნაციხვარმა ჟამთა სრბოლას გაუძლო;

2) ნაციხვარი, თუმცა მთლად ჩაფლულია რიონის ლაშში, დიუბუას «სულ თვალწინ უკრთოდა როგორც სანუკვარი-რამ კუნძული»; მაშასადამე, მას თავის დროზე მარჯვე სტრატეგიული მდებარეობა ჰქონია;

3) იგი აგებულია მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ვივარაუდეთ კიდეც არიანეს ფრაზის *τὸ μόνον φέρει αὐτὸν ἀπὸ... μὲν ἔτι*, მეტადრე დაპირისპირებითი კავშირის *μόνον*-ს ანალიზის შედეგად ჩვენს შრომაში². დანაკვის ასეთი დამთხვევა სინამდვილესთან დიუბუას ნაციხვარს ჩვენს თვალში ინტერესს უძლიერებს;

4) ნაციხვარი არაა შორს მდინარეზე; დიუბუას სიტყვით, იგი მხოლოდ 700 ნაბიჯით არის რიონს დაცილებული.

როგორც ვხედავთ არიანეს ციხისა და დიუბუას ნაციხვარის ნიშანთა შედარებით ღია და გაურკვეველი რჩება მართა ორი ნიშანი, რომელთაც დიუბუამ ყურადღება არ მიაქცია და ამიტომ ახლა ესაჭიროებათ შემოწმება. ესაა ორი განიერი თხრილი ციხის შორი-ახლო ერთის მხრით და მეორე მხრით მესამე თხრილი, მდინარემდე ჩაყვანილი და საკმაოდ დაშორებული პირველ ორ თხრილს, რამდენადაც მას ბარბაროსებისაგან უნდა დაეფარა ნავსადგური და ციხის უბანი.

რაც შეეხება იმას, რომ არიანეს ციხე ზღვასთან შორს არ იყო (ის იცავდა ნავსადგურს), დიუბუას ნაციხვარი კი ზღვას საკმაოდ დაცილებულია (ის მდებარეობს ჭალადიდის დასავლეთით 6—7 ვერსის მანძილზე), ეს სხვაობა უნდა მოიხსნას, ვინაიდან გეოლოგიურად გამორკვეულია კოლხეთის ამ უბანში ხმელეთის ზრდა ზღვის ხარჯზე და ამიტომ ზღვის დახვეა დასავლეთისკენ გასაგები და ბუნებრივია 1800 წლის განმავლობაში.

ამრიგად: დიდ დამთხვევას ვხედავთ არიანესულ ციხესა და დიუბუას ნაციხვარს შორის; მაინც საბოლოო აზრის გამოთქმამდე საჭიროა ნაციხვარისა და მისი მიდამოების ადგილობრივ შემოწმება და შესწავლა. ამის შედეგად ისიც სავსებით დასაშვებია, რომ გამართლდეს ჩვენი სიფრთხილე, ამგვარად გამოთქმული: „ციხის მდებარეობა მდინარის მარცხენა ნაპირსავე, სადაც ალაღმა იდგა და ლუზები იყო, ჩვენ მიერ სრულიადაც არაა გამორიცხული“³.

¹ თუ შესწავლისას ეს ძველი ნამდვილად ანტიკური დროისა აღმოჩნდა, მაშინ იგი საიმედო ორიენტირი იქნება ფაზისის მიგნებისათვის.

² ჩვენი „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“, 1940—1941, თ. IX, § 13.

³ „ფაზისის ისტორიისათვის“, თ. IX, § 13, № 256.

10. ფაზისის ბუნებრივ მიჯნად, ეს თავშიაც ვთქვით, ნაჩვენებია ტბაც: მას სტრაბონი ორჯერ იხსენიებს და მასვე, როგორც ქალაქის ნიშნობღივ მიჯნად იხსენიებს, ასახელებს აგათიაც. გადმოგვეცემს რა, რომ ციხის წინ ამართულ მიწა-ყრილის გვერდით ბიზანტიელებს გაეჭრათ განიერი თბრილი, რომელიც პირ-თამდე წყლით ამოევსოთ, იგი დასძენს: «იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ეგქსინის პონტოს უერთდებოა-ო. (τῆς γὰρ λίμνης, ἣν δὴ σμακρὰν φάλατταν ὀνομάζουσι τῆν ἐς τὸν Ἐἰξείνον Πόντον ἐκροίην φερομένην...)»¹.

ცხადია, აგათია გულისხმობს პალიასტომის ტბას, რომელიც შავ ზღვას უერთდება ამჟამად მდინ. კაპარჭინათი (იგი გამოდის ტბის ჩრდ.-დას. კუთხი-დან, მიემართება ჯერ ჩრდ-ით, ფოთისკენ, მერე კი უცბად უხვევს და მიედ-ნება სამხრეთით ტბის დასავლ. ნაპირის გაყოლებაზე, ერთვის რა ზღვას უფრო სამხრეთით, დედაბერასა და მალთაყვას წყალთან ერთად); ცხადია ისიც, რომ ეს ტბა, მაშინ პატარა ზღვად წოდებული, შავი ზღვისგან იზოლირებული არა ყოფილა: ის ხოი „პონტოს უერთდებოდა“. მაშასადამე, მდ. კაპარჭინა, როგორც ტბისა და ზღვის შემეერთებელი, აგათიას დროსვე ყოფილა და ამიტომაც შაფრანოვის აზრს, თითქოს იგი 400 წელზე ხნეიერი არ იყოს², დამაჯერებლობა ეკარგება. ოღონდ შესაძლოა მისი კალაპოტის განი უფრო ფართო იყო, სრუტის მსგავსი, და იგი ზღვას ერთვოდა ტბიდან გამოსვლის ახლოსვე და დასავლეთის მიმართულებით და არა სამხრეთისკენ მიმავალი, როგორც ეს დღეს არის.

ასეთ ვარაუდს უნდა ემთხვეოდეს ვახუშტის აღწერილობაც: «ფოთის სამხრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღვას მდინარე ამისიეე. აქი დამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსვენებისათვისა»³.

გარდა ამისა აგათიას სიტყვებში კიდევ ისაა საგულისხმო, რომ მის დროს და იქნებ ადრეც, სტრაბონის ხანებში, იგი თუმცა ტბა (λίμνη) იყო, მაინც ადგილობრივ იწოდებოდა პატარა ზღვად (σμακρὰ φάλαττα). და აი სწორედ ეს თქმა—მას პატარა ზღვას ეძახიანო—უნდა იყოს მითითება ტბის უფრო ადრინდელ ვითარებაზე, როცა ის მოზრდო ყურეს წარმოადგენდა და მართლაც ზღვას ჰგავდა⁴. ამის გამოხმაურება ჩანს დღევანდელ სახელშიაც: პალიასტომი,

¹ აგათია, III, 21; გეორგიკა, III, 102.

² Н. Шафранов, Где была греческая колония Фазис? газ. „Кавказ“, 1880 г. № 71.

³ მ. ჯანაშვილის გამ. თბ., 1904, გვ. 320; თ. ლომოურისა და ნ. ბერტენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 174.

⁴ Н. Шафранов. Образование Палеостомы и истока его Капар-чая: СМОМПК. II, 1882; К. Сатуниин, Изменение Кавказского берега Черного моря: ИКОРГО, т. XXIX, № 1, стр. 109—110.

Παλαιὸν στῆμα, ძველი ღრუ, ძველი შესართავი, რასაც ყურადღება მიქცევდა უკვე დიუბუამ¹.

11. თემატიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არხის ხსენებაც აგათიას თხრობაში. გვიამბობს რა ბიზანტიელების მიერ მიღებულ თავდაცვით ზომებზე ფაზისის პირას, იგი აღნიშნავს შემდეგს: ციხის წინ მიწაყრილის ახლოს ბიზანტიელებმა «განივრად გაჭრილი თხრილი წყლით ამოავსეს პირთამდე ისე, რომ მთლად დაფარა და დამალა პალოები, რომლებიც იქ მიჯრით იყო ჩარჭობილი»; წყალი კი ამ უგანიერეს თხრილში გადმოუშვეს ტბიდან (τῆς λίμνης... ἐνταύθα μετοχρῆσαν αὐτῆς)².

ეს ტბა, როგორც ვთქვით, პალიასტომია, ხოლო მეტად განიერი თხრილი, ტბიდან გადმოვღებულ წყლის მეოხებით არხად ქცეული, უნდა იყოს დღევანდელი ნადორტა (რუკებზე ნელაარტიც), უნდა კი იყოს იმიტომ, რომ აგათიას შიერ დასახელებული მანძილი წესოს-ფაზისს შუა საოცარი სიზუსტით ემთხვევა, როგორც ვნახავთ, სწორედ ნადორტას დასავლეთ მიდამოებს.

აგათიას დროინდელი არხის დადგენა კი ჩვენ საშუალებას გვაძლევს მაშინდელი ციხე მიწაყრილითურთ და ქალაქი ვივარაუდოთ არხის მახლობლად დასავლეთის მხრით და რიონის სამხრეთით.

მაგრამ აგათიას არხის გაიგივებას ნადორტასთან ორი რამ ვერ ევლება. ერთი ის, რომ ნადორტა დღეს დაკავშირებულია ტბის შენაკად ფიჩორასთან და არა უშუალოდ ტბასთან, როგორც გარკვეულად აღნიშნავს აგათია. მეორე კიდევ ისაა, რომ ნადორტა ამჟამად სამხრეთისკენ მიმდინარეობს და ფიჩორას ერთვის და არა ზრდილოეთისკენ მიდის, როგორც უნდა იყოს აგათიას მიხედვით: ის ხომ ტბიდან იყო გადმოშვებული და იმიტომ.

რასაკვირველია, ამ ორი გეომორფოლოგიური შეუსაბამობის საბოლოო დადგენა სათანადო სპეციალობის კომპეტენციას შეადგენს, მაინც, შეძლები-საებრ, ვცადოთ მათი მორიგება.

პირველი კითხვა — დასაშვებია თუ არა, რომ 1400 წლის წინათ ნადორტა ტბასთან იყო დაკავშირებული და არა ფიჩორასთან? — შეიძლება დადებითად გადასწყდეს; თუ იმ აზრს შევქაყნარებთ, რომ მაშინ პალიასტომის ტბა აღმოსავლეთისკენ იმდენად იყო განფენილი, რომ აღწევდა ახლანდელ ნადორტამდე, ე. ი. რომ ტბა აღმოსავლეთით მიდიოდა, სულ ცოტა, 3,2 კმ-ის მანძილზე მაინც, რამდენითაც დღეს ნადორტა დაცილებულია ტბას.

¹ Voyage autour du Caucase. Paris, 1839, III, p. 72. მ. ჯანაშვილი კი ფიქრობს: „აღლად ძველად იყო პალიას-ტომი, ე. ი. ტბა პალიასი ანუ მშალი ტბა“. იხ. ვახუშტის გეოგრაფია, მისი რედაქციით, გვ. 320, შენიშვნა 526.

საგულისხმოა, რომ პალიასტომის სახელი აღნიშნულია პასკვალინის (1408), ბიანკოს (1436), ბენინკაზას (1480) და ფრედუჩის (1497) რუკებზე alliostoma, palostomo, paliastoma, palostoma-ს სახით. იხ. Ф. Брун, Черноморье, ч. II-ая. Топографическая таблица Восточного берега Черного моря по периплу Безыменного и по компасовым картам в сравнении с нынешними: Зап. одесского о-ва истории и древностей, т. 9.

² აგათია, III, 21; გეორგიკა, III, 102.

ამგვარი აზრის შეწყნარება თავისუფლად შეიძლება და აი რატომ. ერთი, ჩვენთვის საინტერესო ტბის ამ უბანში, ჩრდ.-აღმ. კუთხეში, ნაპირი დღესაც მყარი არაა, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ხმელეთი გვიანდელი წარმოშობისაა. მნიშვნელოვანია ამ მხრივ სპეციალისტების მითითება: „Местами берега образуют непролазную топь. Особенно неустойчив берег в сев.-вост. углу озера, в так называемой Кутанке“¹.

მერე კიდევ, პალიასტომის ტბის არე, სპეციალისტებისავე ჩვენებით, თანდათან მცირდება ნაპირების გაყოლებაზე ტორფის მატების გამო². ეს ცხადია შემდეგიდანაც: ამ ასი წლის წინათ, დიუბუას სიტყვით, მისი არე იყო 7 ვერსი სიგრძით და 4 ვ. სიგანით³, ე. ი. იყო 28 ვერსის ანუ 29—30 კმ-ის კვადრატურისა; ნახევარსაუკუნის შემდეგ, შაფრანოვის სიტყვით, ტბის კვადრატურა შეადგენდა უკვე 20 ვერსს ანუ 21 კმ-ზე მეტს, ხოლო ბოლო ხანებში მისი არე არის ზუსტად 17,34 კმ. მისი უდიდესი სიგრძე შეადგენს 4,7 კმ, ხოლო მაქსიმალური განი 3,8 კმ.-ს.⁴ მაშასადამე, ასი წლის მანძილზე პალიასტომის კვადრატურა 30 კმ-დან დასულა 17,5 კმ-მდე, ე. ი. შემცირებულა 12—12,5 კმ-ით. ამიტომ ბუნებრივად დასაშვებია, რომ ტბის არის კლება წინა საუკუნეებშიც ხდებოდა.

თუ რა სიგრძისა იყო ტბა წარსულში, ამაზე შაფრანოვი შემდეგს მოგვითხრობს: „Палеостом имеет в настоящее время ок. 5 в. в длину и ок. 4 в. ширину; но поверхность его постоянно уменьшается от нарастания торфа по берегам. Первоначальную величину озера можно определить, зная границы залегания торфа в его окрестностях. К северу от Палеостома залежи торфа простираются на 2 и 3 версты; к востоку—до первого притока Пичоры, считая от устья⁵; к югу до наносов р. Супсы, которые отложились на север от берегов реки не далее 2 верст“⁶.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში ყურადსაღებია შაფრანოვის მიერ დასახელებული ჩრდილოური და აღმოსავლური საზღვრები ტორფის განთენისა; ჩრდილოეთით იგი საზღვარი მიდის 2—3 ვერსზე, ხოლო აღმოსავლეთით აღწევს წითელწყამდე, ე. ი. ტბის აღმოსავლეთ ნაპირიდან 6,9 კმ. მანძილზე; მაშასადამე, ის რაიონი, სადაც დღეს ნადორტა ერთვის ფიჩორას, ე. ი. ტბიდან 3,2 კმ. მანძილზე დაშორებით, წინა დღევანდელსავით ტორფოვანი ქაობი კი

¹ Справочник по водным ресурсам СССР. XI. Закавказье. Л. 1935, стр. 404. პროფ. ბ. ყავრიშვილს ვმადლობთ, რომ შეგვაძლებინა ამ იშვიათი წიგნით სარგებლობა.

² გავისენოთ: „Берега (Палеостома) кольцеобразно наступают на свободную его поверхность, где отлагались ил, песок и органические вещества“. ib. 56 კიდევ: „Поверхность его (Палеостома) постоянно уменьшается от нарастания торфа по берегам“. მითითება ქვემოთ.

³ Voyage autour du Caucase, t. III, 1839, p. 72

⁴ Справочник..., стр. 404.

⁵ ერთვერსიან რუკაზე ეს შენაკადი წითელწყლად არის სახელდებული.

⁶ Н. И. Шафранов, Образование Палеостома и истока его Капар-чая: СМОМПК, вып. II. 1882, стр. 50—51).

არ იყო, არამედ ტბით ყოფილა დაფარული და, ergo, აქედან წყლის გადაგდება საგანგებოდ გაჭრილ განიერ არხში აგათიას დროინდელ ხანტიელებს თავისუფლად შეეძლოთ. ამრიგად, არ შეეცოდათ ისტორიული სინამდვილის წინაშე, თუ ვიტყვით, რომ ნადორტა მაშინ უკავშირდებოდა უშუალოდ პალიასტომის ტბას, როგორც ამბობს აგათია, და არა ფიორას, როგორც ეს ამჟამად არის. ოღონდ მართლა საკმარისია თუ არა 1400 წელი პალიასტომ-ნადორტას შუა მანძილის (3,2 კმ.) ტორფით ამოვსებისათვის და აქ ხმელეთის გასაჩენად, ამის გადაწყვეტა საბოლოოდ სპეციალისტების საქმეა.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც არ ეგუება, როგორც ვთქვით, აგათიას ჩვენებას ტბიდან (S-დან) არხის გადმოვადების შესახებ, ვინაიდან დღევანდელი ნადორტა უკვე ფიორას ერთვის და არა მისგან გამომდინარეობს, მარტივად: მას დაქანება აქვს NS მიმართულებით და არა SN, როგორც ჩანს აგათიას მიხედვით.

მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ამ მომენტსაც მოვევლება. ჯერ ერთი არხს, როგორც ხელოვნურ მდინარეს, შეიძლება მიეცეს ყოველთვის სასურველი მიმართულება და ეს აზრი გაიზიარა პროფ. ბ. ყაჯრიშვილმაც. მერე და: ჩრდილოეთის არეში წერტ N° 39-მდე არხი მშრალია¹. მას ცხადია, თუ არხს სათავე N-ში აქვს, იგი არ დაშრებოდა. შემდეგ: დიუბუა კატეგორიულად მოწმობს, რომ არხი „ამას წინათ იქმნა ამოწმენდილი“-ო (nettoyé dernièrement ce canal)² და შესაძლებელია წინანდელთან შედარებით (SN) პირუკუ დაქანება (NS) სწორედ ამ ამოწმენდისას მიეცა. ბოლოს: იმავე დიუბუას განცხადებით, „არხი გამომდინარეობს პალიასტომის ტბიდან“ (canal, qui sort du lac Paléostome)³.

ამიტომ დასაშვებია, რომ აგათიას წინაუქმო მიმართულება ნადორტას მიეცა მხოლოდ წარსულ საუკუნეში, როცა ცარისტულმა ხელისუფლებამ დაიწყა არხების მშენებლობა. გავიხსენოთ თუნდაც დადიანის შიერ 1824-25 წლებში ამოქმედებული არხი ყორათი, რომელიც რიონს აერთებდა ცივ-ხობ-ზღვასთან⁴.

ამგვარად არაფერი უდგას წინ დღევანდელი ნადორტის გაივივებას აგათიას არხთან და არც შეეცდებით, თუ აგათიას დროის ფაზის ხსენებული ნადორტის დასავლეთ მიდამოებში დავუწყებთ ძიებას.

12. ასეთ აზრს განსაკუთრებით გვიცხოველებს აგათიას ერთი მეტად ძვირფასი, თემატიკური თვალსაზრისით, ცნობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს

¹ Физико-географич. очерк Колхидской низменности... Тбили., 1928, стр. 91, Перечный ход. N° 13: "Уровнь воды... у точки N° 39... (до этого места канал Надорта сухой)".

² Voyage... p. 72.

³ ibid., p. 77. რუკაზე კი აღნიშნული აქვს ტბის აღმოსავლეთით.

⁴ მარენასის ფრანგული წერილი პასკევიჩთან, 1830 წ. 5 აპრ. თარიღით, ყულევიდან: Акты Кавк. Археогр. Ком., VII. стр. 210, № 146; შდრ. დ. უჩანეიშვილი, მასალა მე-19 საუკ. სამეგრელოს ისტორიისათვის (ქთ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941). ამაზე მიხითებისათვის ვმადლობთ დოქ. ი. ცინცაძეს.

მეტნაკლებად დავაზუსტოთ მისი დროის ქალაქ ფაზისის მდებარეობა. ეს კითხვა უმძიმესია:

ἀφ'εστιαε δὲ τῆς Νῆσου ἕξ μάλιστα (ქალაქი) ნესოსს, სულ დიდი, ექვსი *παρὰσάγγυαις ἐπὶ δὲσμίεον ἤλιον.* ფარასანგით არის დაშორებული დასავლეთით¹.

თუ აგათიას მიერ დასახელებულ მანძილს ფაზის-ნესოსს შუა აღვია-რებთ ზუსტად და მეორე მხრით პროფ. ს. ყაუხჩიშვილის დამაჯერებელ აზრსაც გავიზიარებთ ბიზანტიური ნესოსის ახლანდელ ისულა II ისულეთთან იდენტიფიკაციის შესახებ², მაშინ მხოლოდ შემდეგი დასკვნა უნდა მივიღოთ:

ისულა, ტეხურ-რიონის შესართავთან მდებარე, დაშორებულია დღევანდელი ფოთის ცენტრს, რიონის სამხრეთი ტოტიდან გადაზომვით მდინარის გაყოლებაზე, 51,5 კმ-ით³; ხოლო თუ მდინარის გაყოლებაზევე გამოვაკლებთ 6 ფარასანგს ანუ 180 სტადიონს (სტადიონი=184,75 მ), ე. ი. დაახლოებით 33 კმს, აგათიას მანძილს ნესოს-ისულასა და ფაზისს შორის, გამოდის, რომ აგათიას დროის ფაზისი ახლანდელი ფოთის ცენტრს დაშორებული იყო მდინარის გაყოლებაზე დაახლ. 18,5 კმ-ით, პირდაპირი გადაზომვით კი 8,5—9 კმ-ით და რომ იგი მდებარეობდა დაახლოებით დღევანდელი პატარა ფოთის (ჭიჭიე ფუთის) გადასწვრივ რიონის მარცხენა ნაპირზე, ნადორტას ისევ დასავლეთით. მაგრამ რამდენად სამხრეთით რიონისა, ამის გარკვევა მოხერხდება მხოლოდ მისი მდინარეების უწინდელი ხაზის დადგენის შემდეგ.

დასკვნა

1. ანტიკური დროის საღისტანციო ციფრებიდან სიზუსტით გამოარჩევა ერთ-ერთს თენეს ცნობა ფაზის-დიოსკურიას შორის მანძილის შესახებ, რომელიც უდგება ფოთ-სოხუმის მანძილს და ფაზისს გვაგულისხმებინებს ფოთის მახლობელ ხაზზე;

2. სტრაბონი გვირკვევს ფაზისის მიდამოების რელიეფს, ახლანდელის შესაბამს;

3. სტრაბონის, არიანეს და პროკოპი კესარიელის მითითებანი ადასტურებენ მდ. ფაზისის იგივეობას აწინდელ რიონთან;

4. სტრაბონის მიერ დასახელებული ბუნებრივი საზღვრები ფაზისისა, სხვათა შორის, არკვევენ ქალ. ფაზისის მდებარეობასაც მდინარის მარცხენა ნაპირზე, რასაც ადასტურებენ შემდგომი დროის ავტორებიც, განსაკუთრებული კატეგორიულობით კი V ს. პერიპლუსის ანონიმი ავტორი;

¹ აგათია, III, 19; გეორგიკა, III, 97.

² გეორგიკა, III, შენიშვნა, გვ. 97—99.

³ ვაზომვა აქაც და ნადორტის მიმართაც ნაწარმოებია ერთფერისიან გეგმა-რუკის მიხედვით, რომელიც დართული აქვს ინჟ. ი. გ. ხუტურიდის წიგნს—*Физико-географический очерк Колхидской низменности и мелиорация ее заболоченных районов. Тифл., 1928.*

5. სტრაბონის ორი რეალია არკვევს, რომ ქ. ფაზისი მდებარეობდა მდინარესთან უფრო ახლოს, ვიდრე ტბასთან, რასაც ადასტურებს აგათიანის თავისი დროის ქალაქის მიმართ;

6. არიანეს მიერ აღწერილი ციხე არაერთი ნიშნით ემთხვევა დიუბუას მიერ ნახულ ნაციხვარს და, თუ დამტკიცდა მისი ანტიკური დროინდელი, გამოდგება საიმედო ორიენტირად ქ. ფაზისის მისაგნებად;

Партизанская война, начавшаяся тотчас после вступления Наполеона в пределы России, с особенною силой разгорается после оставления французами Москвы.

Из всех партизанов 1812 г., насколько нам известно, оставил мемуарно-автобиографический материал один только Денис Васильевич Давыдов, который в своем „Опыте теории партизанского действия“ (М. 1822; 2-е изд.) и в своих — „Дневнике партизанских действий 1812 г.“ и „Партизанской войне“ (Д. Давыдов, Военные записки, М. 1940, стр. 194 — 309 и 419 — 429), рассматривая партизанство 1812 г. как единый стратегический план, сообщает ряд

интересных подробностей, как о себе самом, так и о других партизанах — зяте Кутузова Н. Д. Кудашеве, А. Н. Сеславине, А. С. Фитингове, А. И. Чернышеве и др. (см. РБС).

Миновал 1812 год... Преследуя через всю Европу Наполеона, русские по его пятам дошли до Парижа и в течение нескольких лет оставались за границей. Из своего заграничного пребывания они вынесли отрицательное отношение к отечественной действительности и новые идеи — гражданской свободы и политического правопорядка. Подготавливавшиеся классовые противоречия получили идеологическую формулировку. Начало подготавливаться движение декабристов. В заключительной сцене „Войны и мира“ дана мастерская картина подготовки этого движения. В кабинете у Николая Ростова беседуют Пьер и отставной генерал Денисов, критикуя правительство. Благодушный Пьер толкует о немецком тугендбунде. Пылкий Денисов заявляет, что он не понимает, что это такое, и даже не может выговорить это слово „а не нгавится, так бунт, вот это так. Я — к вашим услугам“. В это время маленький Никулушка Болконский, притаившись за письменным столом и с горящими глазами следуя за разговором старших, нервно ломает на столе сургучи и перья, за что, в конце концов, ему и досталось от его грубоватого дядюшки... 14-е декабря положило конец всем этим „бессмысленным мечтаниям“...

Победа на Сенатской площади была в сущности легкая победа: против нескольких батальонов двух-трех гвардейских полков был двинут весь столичный гарнизон и участники восстания были как-бы задавлены обрушившеюся на них лавиной войск. Но Николай I сделал отсюда несколько рискованные выводы: он усвоил мысль, что он может обрушиться на европейскую революцию и задавить ее, как 14 декабря ему удалось обрушиться и задавить восставших на Сенатской площади. Оказалось не так-то легко, и в конечном результате это привело к краху всей николаевской системы. Но это произошло значительно позднее, в 30-х же гг. николаевская показательная военщина могла, казалось, торжествовать, что и выразилось в целом ряде актов, долженствовавших демонстрировать мощь николаевской России. Большинство таких демонстративных выступлений связывалось с памятью о 12 годе, а иногда и с памятью о 14 декабря 25 года. Еще в 1829 году в Петербурге был сооружен Спассо-Преображенский собор в честь л-тв. Преображенского полка, остававшегося на стороне Николая 14-го декабря. В 1832 году перед Зимним дворцом (по соседству с Сенатской площадью) была воздвигнута Александровская колонна в память 12 года. Приблизительно около этого времени в самом Зимнем дворце была организована „Военная галерея“ — собрание портретов участников 12 года. Деятельное участие в организации этой галереи принимал

военный историк А. И. Михайловский-Данилевский (см. стр. 6), положивший начало научной разработке истории войн Александровской эпохи. В 1837-м году на юге России, в Вознесенске, были проведены большие маневры в присутствии представителей Австрии, Пруссии и др., имевшие определенное политическое значение. В том же году в Петербурге состоялось торжественное открытие памятников Барклаю-де-Толли и Кутузову и, в память 25-й годовщины Бородина, состоялись маневры на Бородинском поле, где был воздвигнут памятник павшим в бою, в ограду которого позднее было перенесено тело погибшего в Бородинском сражении Багратиона (о памятниках на Бородинском поле см. гр. Шереметев, Бородино: Русский Архив, 1891 г., кн. 6).

Бородинская годовщина вызвала оживление в мемуарной литературе, появился ряд воспоминаний о 12-м годе. Из числа таких мемуарных документов назовем воспоминания Вяземского, Ф. Глинки и Шаховского.

В появившихся впервые в 1869 г. „Воспоминаниях о 1812 г.“ (1452) Петра Андреевича Вяземского — комментариях к его стихотворению „Поминки по Бородинской битве“ сообщаются обстоятельства вступления автора в московское ополчение и отмечаются отдельные моменты сражения, которых он был свидетель: ранение А. Н. Бахметева и смерть П. П. Валуева. Есть небольшая характеристика Милорадовича. В конце автор делает неудачную попытку оправдать Ростопчина (убийство Верещагина). В начале воспоминаний — суровая критика „Войны и мира“, как „опошления“ войны 12 года — друг Карамзина, Жуковского и Пушкина, Вяземский к 60-м годам начал уже отставать от жизни (см. БЭ)... В „Очерках Бородинского сражения“ (1428; 1) ветерана Бородина Федора Николаевича Глинки, брата С. Глинки (см. стр. 9), личные переживания (срав. 1428; 2) переработаны и дополнены на основании других источников: автор развертывает перед нами четкую картину боя на всем его протяжении во всех его деталях. Слог „Очерков“, при всей его наивной высокопарности, не лишен выразительности. „Очерками“ Глинки пользовался Лев Толстой в „Войне и мире“ (срав. Апостолов, стр. 34 и 151); „Очерки“, надо полагать, читал и Лермонтов, когда создавал „Бородино“ (см. РБС). Известный драматург Александр Александрович Шаховской также оставил нам свои воспоминания, которые были составлены по предложению Михайловского-Данилевского (см. стр. 13): 1. „1812 год“ (1468; 1) и 2. „Первые дни в сожженной Москве“ (1468; 2). Оба эти №№, за исключением мелких поправок, дословно тождественны между собою. Шаховской писал свои воспоминания на склоне лет, когда он уже оставил свою театральную деятельность (см. РБС). Шаховской служил в Тверском ополчении, которое, по взятии Москвы французами,

поступило под начальство ген. Винцингероде. Шаховской комиссаром авангардом этого ополчения, который вступил в Москву тотчас после выхода оттуда французов. В своих воспоминаниях Шаховской зарисовывает ряд ярких сцен пробуждения жизни в момент возвращения русских. Опытный драматург чувствует в этих зарисовках, а в распоряжениях самого Шаховского в это время — искусный режиссер. Далее в воспоминаниях следует как-бы отчет о состоянии кремлевских „святынь“ по выходе из Кремля французов. В заключение Шаховской подробно передает те разговоры, которые он вел с вернувшимся к этому времени в Москву Ростовичиным и московским гражданским губернатором Н. В. Обрезковым (см. РБС).

Откликнулся на годовщину и Лермонтов, бросив в своем „Бородине“ горький упрек николаевской показной военщине.

„Да, были люди в наше время,

Не то, что нынешнее племя:

Богатыри — не вы!“...

Так отразился „1812 год“ в воспоминаниях и письмах современников... Мы с большим увлечением работали над этим материалом, и это увлечение обуславливалось не только нашими профессиональными интересами — интересами историка, но и семейными воспоминаниями: наш дед был ветеран 12-го года. Работая над этим материалом, мы тщательно регистрировали, как читатель мог заметить, весь тот обильный мемуарный фонд, который был в распоряжении Л. Толстого, когда он создавал роман „Война и мир“ — это было сделано не случайно, для лишней, так сказать, библиографической цитаты. Дело в том, что как-раз в годы создания „Войны и мира“ (1864—69) мемуарный фонд, в особенности с появлением в свет „Русского Архива“, чрезвычайно разросся; кроме того, Толстой мог пользоваться и устными сообщениями современников 1812 г. (как мы знаем, он, действительно, такими сообщениями пользовался — срав. Апостолов, стр. 45 и 46). Л. Толстому, человеку 60-х годов, легче было понять людей нач. XIX в., чем в настоящее время, подобно тому, как Пушкин понимал людей XVIII в. Отсюда большая убедительность для нас образов „Войны и мира“. О Л. Толстом можно повторить слова Ключевского, сказанные им о Пушкине: „Для историка большая находка, когда между собою и мемуаристом он встречает художника“ (В. Ключевский. Очерки и речи; стр. 66, М. 1912).

Строить очерк того или другого исторического явления на основании одного только мемуарного и эпистолярного материала, конечно, методологически неправильно (срав. стр. 2); но и полное иг-

норирование этого материала, облекающего плоть и кровь исторического явления, было бы не менее грубою методологической ошибкой. Настоящий очерк, при всей его неполноте, дает общую характеристику такого материала о 1812-м годе. Это будет не бесполезно для каждого, кто заинтересуется историей первой Отечественной войны. А кого могут не интересовать такие темы о „нашествии иноплеменных“ в наше время, когда угроза черного фашизма нависла над нашей родиной и всем культурным человечеством?

(Поступило в редакцию 15, V. 1942).

246. გეოგრაფია

სახელთა ბრუნვის ისტორიიდან ქართულში

ფუძე-უკვეცი სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის
ფორმანთა ემოლუციისათვის¹

I

სახელთა ბრუნება ქართული ენის მორფოლოგიის ყველაზე მარტივი უბანია. მაგრამ ამ მარტივ სინამდვილეშიც მოიპოება ზოგი საკითხი, რომელიც სრულებითაც არაა მარტივი.

ქვემოთ ერთი ასეთი საკითხთაგანია მსჯელობის საგანი. ამ საკითხის დასმა ქართული ენის ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისითაც საჭიროა და პრაქტიკული, სასკოლო, სინამდვილის თვალსაზრისითაც გადაუდებელი საკითხი ჩანს.

მხედველობაში გვაქვს ფუძე-უკვეცი სახელების ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანში -**ე** ელემენტი:

ნათეს.	წყარო-ს-ი	ყრუ-ს-ი
მოქმედ.	წყარო-თ-ი	ყრუ-თ-ი

ამგვარივე ფორმები აქვს ყველა სხვა ფუძე-უკვეცი სახელებს:

ა. აღამიანთა სახელებს, რომელთა ფუძე ბოლოვდება ა, ე, ი, უ ხმოვნებზე: თომა, პეტრე, ანდრო, დუტუ...

ბ. ზოგად სახელებს, რომელთაც ბოლოს საწარმოებელი -**ა** მოუდის:

სამყურ-**ა**, კრიკინ-**ა**, ცხვირ-**ა**, კატაბალან-**ა**...

გ. ნასესხებ ზოგად სახელებს, როგორცაა კუპე (ნათეს. კუპე-ს-ი), კაშენე (ნათეს. კაშენე-ს-ი), ბე (ნათეს. ბე-ს-ი)...

¹ წაკითხულია მოსწავლეთა უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის საენათმეცნიერო სექციის სხდომაზე 11. IV. 1942.—**აქ** წარმოდგენილია ნაწილი, რომლის ცალკე გამოყოფა შესაძლებელიცაა და მიზანშეწონილიც.



ყველა ამ სახელისათვის საერთოა ბოლოკიდური ხმოვნის უკვეთება. ნიმუშად ჩვენ ვიღებთ -ო და -უ-ზე დაბოლოებულ ზოგად სახელებს.

II

ძველს ქართულში, როგორც ცნობილია, ამგვარ სახელებთან ნათესაობითისა და მოქმედებითის დაბოლოება -ახ, -ახთ სახეს იღებდა, იქმნებოდა დამავალი დიფთონგები **ოა, უა**; ახალმა ქართულმა კი აკ. შანიძის სიტყვით რომა ვთქვათ, „დიფთონგის გამოთქმა ვერ შეიგუა და მის მეორე ნაწილზე, რომელიც სუსტი იყო, სრულებით აიღო ხელი. ამის წყალობით ნათესაობითის -ის და მოქმედ. -ით დაბოლოებათაგან მივიღეთ ახალ ქართულში -ს და -თ შესაბამისად“¹.

ძვ. ქართ. წყარო-ახ- ყრუ-ახ- ახ. ქართ. წყარო-ს-(ი) ყრუ-ს-(ი)
წყარო-ახთ- ყრუ-ახთ- წყარო-თ-(ი) ყრუ-თ-(ი)

აკ. შანიძე შენიშნავს: „ერთმარცვლიანმა სახელებმა ნათესაობითისა და მოქმედებითში შეიძლება უცვლელადაც დაიცვას ბრუნვის ნიშნები:

ღრო-ის, ღრო-ით, რუ-ის, რუ-ით და მისთ... იშვიათად ამას შეიძლება სხვაგანაც შევპხვდეთ, მაგ. „შოთასი სულის ღვნენამა“ (ვაყა-ფშავ.)².

წყარო-ს, წყარო-თ... ყრუ-ს- ყრუ-თ (ცალკე აღებული დაერთავს ხოლმე -ი-ს: წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი... ყრუ-ს-ი, ყრუ-თ-ი...)

რის მაქნისია ეს -ი? აკ. შანიძე წერს: „გავრცელებულია აზრი, რომელიც ძველ გრამატიკებში დოგმად არის ქცეული, თითქო ბოლომეტყვეცელ სახელებს ნათესაობითის ნიშნად სი მოუდიოდესთ, თითქო, მაგ., შოთასი, პეტრესი, ვასოსი, დუტუსი და მისთ. ნათესაობითის ფორმები იყოს. არა! ესენი ყველა სახელობითის ფორმებია და არა ნათესაობითისა. მაგ. შოთაც სახელობითია და შოთასი'ც, პეტრე'ც და პეტრესი'ც, უთო'ც და უთოსი'ც, ძუძუ'ც და ძუძუსი'ც. აქ ორი სხვადასხვა ფორმაა სახელობითისა, როგორცა ვთქვათ, კაც-ი და კაცური-ი ან სულ-ი და სულიერი-ი. მართლაცდა, რომ აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არაა, იქიდანა ჩანს, რომ ნამდვილი ნათესაობითის ფორმა ყოველთვის იგუებს თავის თანდებულს, მაგ. კაცის-თვის (ან კაცისა-თვის), დედის-თვის (ან: დედისა-თვის), ხის-თვის (ან: ხისა-თვის) და მისთ., მაგრამ არ ითქმის: შოთასი-თვის, პეტრესი-თვის, ვასოსი-თვის, დუტუსი-თვის, არამედ: შოთას-თვის, პეტრეს-თვის, დუტუს-თვის და მისთან.“³

ავტორის აზრით, ამგვარად, „წყაროსი“—სახელობითია ნანათესაობითარც; თვით ნათესაობითს არავეთარც -ი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

მოქმედებითი ბრუნვა? შეიძლება თუ არა მოქმედებითში ფუძე-უკვეც სახელებს ჰქონდეს -ი—წყაროთი—თუ ი აქაც სხვა ბრუნვის ნიშანია?

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I მორფოლოგია. თბილ. 1930, § 34, გვ. 31.
2 იქვე, § 35, გვ. 33.
3 იხ. ხსენ. შრომა, § 35, გვ. 33—34.



ავტორი წერს: „როცა მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ცალკეა ხმაერთობით, მაშინ -თ დაბოლოებას -ი დაერთვის კიდევ და ამგვარად -თი სუფიქსს ვიღებთ. ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, თითქო -ით სუფიქსში ხმოვანი იქნა გადასმული და ასეთი გადასმის შედეგად -თი მივიღეთო. არა, თ. სუფიქსს ახლად განუვითარდა ბოლოში ი, როდესაც მის წინ -ი უკვე დაკარგული იყო. ეს ი მხოლოდ არ ვითარდება ინზე გათავებული ფუძეების მოქმ. ფორმაში, მაგ. ჩიი-თ (და არა: ჩიი-თი) ¹.

ზემოთქმულის შესაბამისად აკ. შანიძე იძლევა „ბოლო-უკვეცელთა კლასის“ ასეთ ბრუნებას:

სახელ.	შოთა	პეტრე	გიორგი	წყარო	ძუძუ
ნათეს.	შოთას	პეტრეს	გიორგის	წყაროს	ძუძუს
მოქმედ.	შოთათი	პეტრეთი	გიორგით	წყაროთი	ძუძუთი ² .

როგორც აქედანა ჩანს, აკ. შანიძის შეხედულების თანახმად:

1) წყაროს -ი და წყაროთ -ი-ს ბოლოკიდური ი სხვადასხვა მონაცემია: პირველში (—წყარო-სი—) ი სახელობითის ნიშანია, წყაროსი ნაგენეტივარი სახელობითია.

2) მეორეში (—წყაროთი—) -ი სახელობითის ნიშანი არაა, ის მოქმედებითი ბრუნვისა! -ით სუფიქსის ი ახლადაა განვითარებული ბოლოში. რის შანსია? როგორ განვითარდა? ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ვარ. თოფურიია „წყაროსი“ ფორმას აგრეთვე ნანათესაობითარ სახელობითად თვლის, ხოლო „წყაროთი“ პირველის ანალოგიით ნაწარმოებიაო, ამბობს ³.

აკ. შანიძის „ქართულ გრამატიკაზე“ დამყარებით H. Vogt-მა თავის შრომაში „Esquisse d'une grammaire du géorgien moderne“ მოგვცა ბოლო-უკვეც ფუძეთა ბრუნების სქემა, სადაც ნათესაობითი და მოქმედებითი ერთმანე-


¹ იქვე, § 84, გვ. 32.

² იქვე, გვ. 32. ასეთივე სქემაა მოცემული იმავე ავტორის „ქართული ენის სასკოლო გრამატიკაში, გვ. 30 (1939 წლ. გამოცემა): მოქმედებითში ით დაბოლოების ი იკარგება და რჩება თ, რომელსაც სამაგეროთ დ ბოლოში ერთვის ი და გვაქვს: -თი: წყაროთი, ოქროთი... ცრუთი და სხვ.

ნათესაობითის შესახებ კი ნათქვამია გვ. 30—31):

„მთავარი თავისებურება ამ ქვეჯგუფის სიტყვებისა მაინც ის არის, რომ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება (ის) ხმოვანს კარგავს და რჩება თანხმოვანი ს. ამის გამო ნათესაობითის ფორმა მიტემითისას ემსგავსება; მაგ. „წყაროს“ მიტემითი იქნება („ტყვეში წყაროე წავაწყდი) და ნათესაობითიც („წყაროს წყალი დავლიე“).

³ „ქართული ენა“, სახელმძღვანელო დაუსწრებელი პედინსტიტუტისათვის, თბილისი, 1933, განაკვეთი III—IV, გვ. 41—42.



თისაგან გამიჯნულია და სავანგებოდ აღნიშნულია: „ნათესაობითი მითი ერთმანეთს ხვდებაო“¹—იგულისხმება საპარადიგმო ფორმები:

იხ. გვ. 29:	სახ.	რკო	გვ. 31:	შოთა
	ნათ.	რკო-ს		შოთა-ს
	მოქმ.	რკო-თი		შოთა-თი

ნ. მარი თავის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (ლენინგრადი, 1925) გაკვრით აღნიშნავს, რომ:

„ცოცხალი მეტყველების ზეგავლენით:

ა) მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებაში ქრება *მ ე. ი. ოათ-* (ემფ. *ო-ათა*)-ს ნაცვლად ჩნდება *ო-თ* (ემფ. *ო-თა*), მაგალ. საფასო-ათა-ს ნაცვლად საფასო-თ-ა;

ბ) -ით დაბოლოება შეიძლება იცვალოს თი-დ: კალო-თი, საფასო-თი (მიუთითებს „ქართლ. ცხოვრებაზე“: სუმბატ. 52₁₈) (იხ. ხსენ. შრომა, § 68, გვ. 52).

მოქმედებ. -ით-დაბოლოების თი-დ გადაქცევაზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს ნ. მარი § 33-ში (გვ. 21):

„მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება ხანდახან რთულდება ი. ხმოვნის დართვით: -ით: ქალაქ-ითი ქალაქად.“

ორმარცვლოვანი დაბოლოება -ითი არაა პირვანდელი სახის ით სუფიქსი, ი დართული. მასში ბრუნვის დაბოლოების -ით-ის ხმოვანმა ი-მ ადგილი იცვალა და მივიღეთ თი, მაგ. ცოტა-თი, წინამავალი ი კი სახელობითი ბრუნვის ი ნიშანია, შეხორცებული ფუძეს: ქალაქ-ი-თი. ასეთი წარმოება ჩვეულებრივი მოვლენაა იაფეტურ ენათა შიშინა წრეში და არის სრული პარალელი ჰანურის მოქმედებითი ბრუნვის ე-თე დაბოლოებისაო“.

როგორც აქედან ჩანს, ნ. მარი მოქმედებითი ბრუნვის თი- დაბოლოებას ით-ის გადასმით მიღებულად თვლის; ძვ. ქართულის ი-თი (ქალაქითი) ჰანურის ე-თე-ს ბაღლად აქვს დასახული.

ასე რომ, აქ ერთ სიბრტყეზეა დასმული განვითარების სულ სხვადასხვა საფეხური: ძველი ქართული, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ჰანური, რომელიც სახელობითის ნიშანს ფუძესთან შეხორცებულად წარმოგვიდგენს².

ნათესაობითის სი (კალოსი) მოქმედებითთან დაკავშირებით ნახსენები არაა: მაგრამ „ჰანური ენის გრამატიკაში“ შესაბამი მოვლენა -ში ნათესაობით-ში წინამავალი ი-ს გადასმითაა ახსნილი (იხ. § 12, გვ. 10).

ნ. მარისა და ბრიერის ავტორობით ფრანგულად გამოსულ „ქართული ენის გრამატიკაში“ ახალი არაფერია. ბრუნების პარადიგმები მარტოოდენ ძველი ქართულის ფორმებზე მიუთითებს, თუმცა „გრამატიკა“ ქართული ენისაა და არა „ძველი ქართულისა“.

¹ „Le datif et le génitif sont identiques“—ხსენ. შრ. გვ. 29.

² იხ. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, § 14.

III

რის მაქნისია ის -ი, რომელიც უკვეც ფუძეთა ბრუნებისას ნათესაობითსა და მოქმედებითში ახალ ქართულს აღმოაჩნდება ხოლმე:

წყაროსი ძუძუსი
წყაროთი ძუძუთი

არის თუ არა ეს სხვადასხვა ოდენობა? რა წარმომავლობისაა და რა ფუნქცია აქვს მას (თუ მათ)?

ამაში გარკვევა გაადვილდება, თუ გავითვალისწინებთ იმ პროცესს, რომელიც აკავშირებს ძველი ქართულის ფორმებს ახალი ქართულისასთან.

განვითარების ეს რგოლი არაა გათვალისწინებული, როდესაც ახალი ქართულის წყაროსი — შეპირისპირებულია უშუალოდ ძველი ქართულის წყაროსასთან.

შუა რგოლში ეგულისხმობთ ახალი სალიტერატურო ქართულის სათავეებს: იმ ენას, რომლითაც დაწერილია „ვეფხისტყაოსანი“ და საერო ლიტერატურისა თუ ისტორიის ძეგლები XII—XVIII საუკუნეთა მანძილზე და რომელსაც ტრადიციულად, თუმც დაუსაბუთებლად, საშუალო ქართული ეწოდება.

-ო და -უ-ზე დაბოლოებულ ფუძეთა ნათესაობითი და მოქმედებითი „ვეფხისტყაოსანში“:

უსხოსი ← უსხო-ას-ი (შდრ. უფრო-ს-ი ← უ-ფრო-ას-ი):
უცხოსა: ძვ. ქართ. უცხო-ას-ა: უცხოასა სანახავისა.

- 85_ა: კელთა ნაქედი მათრაკი ჰქონდა უსხოსი მკლავისა¹
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.
- 1149_ა: ვარ მნახვი ყოვლისავე უცხოსა და ძვირფასისა...

საროსა მჯობი: საროსა მჯობი.

- 40_ა: ავთანდილ იყო სპასებტი ძე ამირსპასალარისა
საროსა მჯობი, ნახარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა.


საწუთროსა ვალი: ძვ. ქართ. საწუთროსა ვალი:

- 342_ა: მაშინ დავიწყე გარდაკა მე საწუთროსა ვალისა...
- 63_ა: ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა...
- 390_ა: ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვი საწუთროსა გმობანი...
- 347_ა: მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებანი...
- 1025_ა: იტყვს: „მოგშორდი, სიცრუვე, ვა, საწუთროსა კრულისა“...

სასიძოსა მოყვანებად: ძვ. ქართ. სასიძოსა მოყვანებად:

- 516_ა: კელა გაგზავნეს სსუანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად...

¹ რიცხვი მიუთითებს ტაბესა და სტრიქონს. ვამოცემა 1937 წლისა (კომისიის ტექსტი).
? და უმარცვლო უ-ს მართლწერა ისტორიული გვაქვს დაცული.



საზაროსა თქმა : ძვ. ქართ. საზაროჲსა თქმაჲსა

126₁ : ყმაჲან ჰკადრა საზაროსა ჩემჲან თქმადა ვით იქმნების...

ტანტი ოქროსა... ოქროსა ჯამი...

ძვ. ქართ. (ტანტი) ოქროჲსა... ოქროჲსა ჯამი...

152₂ : შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადანშისა თლიღისა...

1188₂ : დაუდგეს ტანტი ოქროსა, წითლსა მალრიბულისა...

1385₁ : თულ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა...

1366₄ : ვინმცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა...

385₁ : ასმათს მიგართვი რჩეული თვალი, ოქროსა ჯამითა...

1374₄ : მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღუნა...

საროსა მსგავსი : ძვ. ქართ. საროჲსა მსგავსი :

1073₂ : საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შეიღისა

1179₃ : იგი რა ნახა მეფემან, საროსა მსგავსი ნარები... ვაკრთობით უთხრა...

უბედოსა ბედითა : ძვ. ქართ. უბედოჲსა ბედითა :

1141₃ : ღარიბი ვინმე შემსწრთბი ვარ უბედოსა ბედითა

უებროსა პირისა ← უებროჲსა პირისა :

1196₃ : გამოპარება დასკვნეს მის უებროსა პირისა...

წყაროსებრნი ← წყაროჲსებრნი :

1102₃ : ცრემლთა მისთა მონადუნთა წყაროსებრნი ისმუნს წყარნი...

გულანშაროს ქალაქი ← გულანშაროჲს ქალაქი :

1065₂ : თუით გულანშაროს ქალაქი, საგსე ტურფითა მრავლითა...

სალხინოსა ← სალხინოჲსა... სირინოსა ← სირინოჲსა...

ფარდაგები ოქსინოსა ← ფარდაგები ოქსინოჲსა...

341₄ : ბაღა ვნაზე უტურფესი ყოფლისავე სალხინოსა, მფრინველთაგან კმა ისმოდა უამესი სირინოსა, მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა, კარსა ზედა მოჭარვიდა ფარდაგები ოქსინოსა...

უგულოთა გულითა ← უგულოჲთა გულითა...

უსჯულოთა სჯულითა ← უსჯულოჲთა სჯულითა...

1215_{1,3} : სახლი და შეილი მომძულდა, ეჯდო უგულოთა გულითა...


უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩნს უსჯულოთა სჯულითა...

უცხოთა ტანითა ← უცხოჲთა ტანითა :

1131₂ : აჰკადეს, ქალი გარდმოსუეს უცხოთა რამე ტანითა...

უებროთა ტანითა ← უებროჲთა ტანითა :

1112₁ : ავთანდილ გავლო ქალაქი მით უებროთა ტანითა...



ოქსინოთა მოფარდაგული ← ოქსინოთა მოფარდაგული

331₁ : სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა...

გულანშაროთ ← გულანშაროთ (=გულანშაროდან):

1227₂ : გულანშაროთ მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენით...

(137-თან): წასვლა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარეგლის შეყრა...¹

ახლოთ ← ახლოთ:

402₃ : შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკენ მიონსხანია...

ნათესაობითსა და მოქმედებითში ოფ, უფ კომპლექსები გამარტივდა: დიფთონგის ადგილი დაიკავა ცალმა ხმოვანმა (ო, უ).

აკ. შანიძის მოსაზრება, რომ დიფთონგის დაშლაში მდგომარეობს ის პროცესი, რომელსაც ნათესაობითსა და მოქმედებითში ვხედავთ, სამართლიანია.

ამაში გვარწმუნებს ერთი გარემოებაც:

სახელობითის ნიშანი ფ (← ი) ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთან იკარგება იმავდროულად, როცა ფ ქრება ნათესაობითსა და მოქმედებითში: ძვ. ქართულის ძმა-ფ, დღე-ფ, წყარო-ფ, ყრუ-ფ... იცვლება ახალი სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ძმა-, დღე-, წყარო-, ყრუ- თი: დიფთონგის მეორე წევრი გაუჩინარებულია.

„ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის ესაა გრამატიკული ნორმა, რომელიც განუხრელად ტარდება; ამიტომ შეიძლება დავჯერდეთ რამდენიმე ნიმუშის დასახელებას:

32_{1,3} : იყო არაბეთს როსტევან, მღფე ღმრთისაგან სვიანი...
მოსამართლე და მოწყალე; მორბული, განგებანი...

33₁ : სხვა ძე არ ესუა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული...

34_{2a} : რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია...

გუერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბარია...

36_{1,3a} : მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია...

რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელი!

ჩემი ძე დაესვათ კელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია...

40₃ : ჯერ უწუერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა...

102₁₋₃ : თინათინს ესმა მამისა ეგეთი დაღრეჯილობა;

ადგა და კარსა მივიდა, ჰქონდა მხისაცა ცილობა;

მიღარე იკმო, უბრძანა: „ძილია თუ დვიძილობა?“

მან მოაკვნა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილობა“.

158₃ : გლახაკთა მივე საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია...

170₂ : წელსა ოქრო შემოირტყა, საღარბოდ მოეკაზმა...

743₂ : შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს...

263₃ : სანაპირო გაამაჯრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა...

¹ სთათურია; იმავე ნორმას იძლევა, რაც ტექსტს ანასიათებს. ამდენად შეიძლება დავიწყოთ.



- 162_ა : კაცი ც რ უ და მოღალატე კამს ლახურითა დასაქრელად...
- 339_გ : ც რ უ და მუხთალი სოფელი მიწყვე ავისა მქმნელია...

იმავე „ვეფხისტყაოსანში“ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს შენარჩუნებული აქვს სახელობითის ნიშანი; გვაქვს:

ერთაი, ყუელაი, ყუელაკაი, პაშტაი, ცოტაი:¹

ერთაი:

- 63₁ : ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა...
- 70₂ : ერთაი შენი შერმადინ, არს მათად დასადარებლად...
- 1240₄ : ციხეს დაუსუამს, ხადუმი ერთაი უახლებია...

ყუელაი, ყუელაკაი:

- 81₁ : ორთავე ერთგან მოკლული ყუელაი ასჯერ ოცია...
- 564₅ : ამოწყდა მათი ყუელაი, მამული თქუენ დაჯრხომია...
- 1408₃ : გაიყუეს კაცი ას-ასი, ყუელაი გმირთა სახები...
- 632₁ : ფრიდონს უთხარ ყუელაკაი, ჩემი, თავსა გარდასრული...
- 588₈ : თანა მყოლი ყუელაკაი ამომიწყდა, დამეკოცა...

პაშტაი:

- 421₁ : დავადე მზღარი ინდოთა, მეგლო პაშტაი ხანია...

ცოტაი:

- 433₁ : მჴ მამისა თქუენისაგან ვარ ცოტაი ჭანაზარდი...
- 1236₄ : ცოტაი ღნინი მომეცა შგავსი დრამისა წონისა...

რატომ შეგვრჩია ამ სიტყვებში სახელობითის ნიშანი? იმიტომ, რომ აქ -ი სრულია, მარცვალმქმო და, მაშასადამე, წინა ხმოვანთან ერთად დიფთონგს არ აწარმოებს. -ი სრული ხმოვანი რომაა, ამაში ეჭვი არაა: თექვსმეტმარცვლოვან ლექსში ეს ი ერთ-ერთი მარცვლის წარმომქმნელია.

ამგვარად, ერთაი, ცოტაი, ყუელაი... არ უარყოფს დებულებას, რომ დიფთონგის დაშლის პროცესია, სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში დასტურდება რომ იძლევა; პირიქით, ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ ჩვენ წინ ფონეტიკური პროცესია (და არა მორფოლოგიური — ბრუნვის ნიშნის დაკარგვა):

- დაკარგება ხმოვნების შემდეგ იმიტომ, რომ დიფთონგის ნაწილია; -ი შენახულია იმიტომ, რომ დიფთონგს არა ქმნის, სრული ხმოვანია.

იმავე „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ცოტა, ყუელა- ფორმებს; ასეთი ვარიანტები არც ისე ხშირია, როგორც ცოტაი, ყუელაი, მაგრამ, მაინც საკმაო რაოდენობითა გვაქვს:

¹ იხ. ავტორის „დიალექტიზმების საკითხისათვის“ „ვეფხისტყაოსანში“; ვინიკის მ-აბზე, III (1938), გვ. 225.

- 197₄ : ტიროდეს და იჭიროდეს, ცოტა ედგა მას, გლან, სული...
 600₄ : ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწოდომელი...
 456₃ : სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყუჭლა კვლთა მომათუაღე...
 119₃ : ღია გასცა საბოძვარი, ყუჭლა დარბაზს შემოხადა...

ამგვარად, ცოტაი-ც შესაძლებელია და ცოტა-ც; შეუძლებელია ცოტაჲ, ჰა დიფთონგის შემცველი ფორმა.

იქნებ ესაა „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება? არა, ეს ახასიათებს XII—XIII საუკ. საერო ხასიათის სალიტერატურო ქართულს მეტყველებას, საერთოდ. ასე, მაგალითად, ანალოგიურ ფაქტებს ვპოულობთ ლაშა გიორგის დროინდელ შემატიანესთან (XIII საუკ. ძეგლში)¹: დიფთონგები აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ მხოლოდ პირველი წევრითაა წარმოდგენილი.

ცხორება... ჩოჭა... სქემა...

...წარვლო ცხორება და შიიწია სრულ-ქმნილი სიბერესა, შეიმოსა ჩოკა
 და იკურთხა სქემია... (ლაშა გიორგის მემბტი, გვ. 12)

სასოება ← სასოებაჲ:

...შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთ მეფისა წარიწირა სასოება ყოველმან
 ამან სამეფომან... (იქვე, გვ. 17).

გლოვა, ტყება, ფხურა, გულისკმის ყოფა, მოთქუმა:

...რაოდენ უღბინებელი გლოვა, ტყება და თმათა ფხურა იქნებოდა... საკმარ
 იყო გულისკმის ყოფა შეცნიერთაგან, მოთქუმა ნუგეშინისმცემელთაგან... (იქვე, გვ. 17)

სიბრძნე... სიმდიდრისა... ღთისა... უფლისა... გონება...

ში სიბრძნე სიმდიდრისა და სიბრძნე ღთისა... გინ ცნა გონება უფლისა... (იქვე, გვ. 17)

ქართველობისა ← ქართველობისაჲ:

...ესოდენ სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა...
 (იქვე, გვ. 16)


მეფე... მოლაშქრე... ← მეფე... მოლაშქრე...

...თამარის ჭმარი დავით. ის ჭმარი იყო ოვსთა მეფე... მოლაშქრე მკურცხლი...
 (იქვე, გვ. 16)

„ამავე წელსა დემეტრე მეფე მოკუდა და დაჲ დემეტრესი თამარ... იგიცა გარდაი-
 ცვალა: და დაჲ მისი კატა დედოფალი საბერძნეთს გათხოვილი იყო... (იქვე, გვ. 12).

ორად ორი შემთხვევაა აქ მოყვანილი: დაჲ; ორგანვე წინ უძღვის კავ-
 შირი და: ცხადია, აქ ძვ. ქართულის დაჲ — დიფთონგიანი — ამ წინამავალ

¹ იხ. „ლაშა-გიორგის დროინდელი მემბტიანე“, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბილ., 1927 (ქართული ძეგლები, III, საისტორიო მწერლობა, № 2).



და-საგან განსასხევებლადაა ნახპარი: სტილისტიკური საქიროებრისა-
თვის შეგნებულადაა შეცვლილი მორფოლოგიური ნორმა.

დრო... სამეფო... სამოქალაქო...

- ...და ათ დღე [დაყო] დრო იყო წასულისა მისისა... (იქვე, გვ. 19)
- ...და სამეფო განუხეთქელად დაიცვა... (იქვე, გვ. 16)
- ...ამერი და იმერი, ძუელი სიმეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა...
და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად
იმოსებოდეს... (იქვე, გვ. 16)
- ...და იყო სამეფო მისი დაწყნარებასა შინა... (იქვე, გვ. 18)
- ...შეყარა სამეფო მისი... (იქვე, გვ. 19)
- ...აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით.
(იქვე, გვ. 14)

ბოლო-უკვეც ფუძეთა ნათესაობითი და მოქმედებითი ც-
რა თქმა უნდა, დიფთონგსარ იწყნარებს:

სამეფოსა ← სამეფოჲსა... ოქროსათა ← ოქროჲსათა:

- ...მოვიდა რუქნადინი... წადებად ამის სამეფოსა... (იქვე, გვ. 15)
- ...და იქმნეს ტკივილი და ნაცრისა თავსა სმანი ვაზირთა და დიდებულთა და ყოფ-
ლისა სამეფოსაგან... (იქვე, გვ. 19)
- ...ვეცხლის ჭურჭელთა და ოქროსათა სადა იყო სიმრავლე... (იქვე, გვ. 15)

საფასოთა ← საფასოჲთა... ოქროთა ← ოქროჲთა:

- საბერძნეთისა, მთაწმიდისა, იერუსალემისა და შავისა მთისა საყდარნი და ეკლესიანი
რომელნიმე დარღუეულნი აღაშენნა, მათითა საფასოთა დაიკანა ხარკისაგან უცხო
თესლთასა... (იქვე, გვ. 14)
- ...საქურჭლისა ზანდუკთა, ოქროთა და მარგალიტითა საყსეთა... სადა იყო სიმრავლე...
(იქვე, გვ. 15)

„ვეფხისტყაოსნისა“ და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატრიანის ენობრივი
ფაქტები ცხადად მოწმობენ, თუ როგორია ნორმა XIII საუკუნის სალიტერა-
ტურო ქართულისათვის.

ამიტომ არქაიზაციის ბეჭედი აზის ფორმას „საქართველოსა“ XIII საუ-
კუნის მეორე ნახევრის საბუთში, დავით ნარინის სიგელში (1266—1268 წწ.):
...ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელმან...
„საქართვე. სიძველენი“, II, გვ. 6.

შდრ. XI საუკუნის ძეგლში, ბაგრატ IV სიგელში, ძველი ქართულის ნორ-
მის შესაბამისად გამართული ფორმები:

- ...ავილე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბარევანი
ხოფელი და მივეც კობიზართა... „საქართვე. სიძველ.“ II, გვ. 4.
- ...დასავლით — ეჭუნთა ქელი და ჩრდილოით — დიდუბისა ხერთვისი...

იქვე.

XIII საუკუნის ძეგლში „საქართველოსა“ ნახმარია ცნობილს სანახლო ფორმულაში: ეს უთუოდ აადვილებდა ძველი ტრადიციის შენარჩუნებას.

მსგავსი რეციდივი XV საუკუნის ძეგლშიც დასტურდება:

...ჩუენ წყალობითა ღმრისათა ორისავე ტახტისა და სამეფოსა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა მტკიცედ მქონებელ-მყრობელმან... (1453 წლით დათარიღ. სიგელი გიორგი IX-ისა, „საქართვ. სიძველ.“ II, გვ. 16).

იმევე ძეგლში ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს სახელობითში -ო არსად მოკეპოვებათ:

...ჩუენგან არა ვეთოვებოდეს არა მალი, არა დუინო, არა ზროზა-საკლავი, არა გოჭ-ქათამი, არა მუშაობა, არა ულუფა, არა საჯინიბო... არა საბაღახო და სათესავი... არა საყველიარო... (იქვე).

და სწორედ ესაა დამახასიათებელი.

XIV—XVII საუკუნეთა მანძილზე საისტორიო საბუთებშიცა და სიტყვაკაზმულ მწერლობაში იმგვარივე ნორმებია წარმოდგენილი, როგორც „ვეფხისტყაოსანსა“ და „ლიწა-გიორგის დროინდელ მემატეანეში“ დადასტურდა.

წარმოვადგენთ ქრონოლოგიურად დალაგებულს საილუსტრაციო მასალას საისტორიო ძეგლებიდან:

ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა ← ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა :

1348 წ.: ...ქონდენ ქუენიფნაველის წითლოსანსა (!) შვილთა და მამავლთა მისთა ყოველთავე ქართლის სოფელი კარბაი და გარეჯარ ბაკურის ზუბანი მათთა სამართლიანითა მძღვრითა, მითთა, ბარითა, ტყითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა... სათიბითა, ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა, ... მათთა საკმარითა და უკმარითა... (ქვენიფნაველ წითლოსანის სიგელი, — „საქართვ. სიძველ.“ II, გვ. 11—12).

ს ა ს ა ხ ლ ო თ ა ← (ს ა ს ა ხ ლ ო თ ა) ... ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა ← (ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა) ...

1440 წ. ... [განაცოფისეული სრულად მონასტრითა, ციხითა, სასახლოთა, გლეხებითა, ჟანითა, ვენაკითა, ... ტყითა, ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა, მითთა და ბარითა, საკმარითა და უკმარითა, საძებარ-ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა და საძებარ-უძებრითა... (სიგელი ჯავახიშვილებისა, — „საქართვ. სიძველ.“ II, გვ. 15).


ს ა ყ ა ნ ო თ ა (←ს ა ყ ა ნ ო - თ ა) ... ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა (←ს ა ნ ა დ ი რ ო - თ ა) ...
ს ა ს ა ძ ო ვ რ ო თ ა (←ს ა ს ა ძ ო ვ რ ო - თ ა) ... ს ა ს ა ხ ლ ო თ ა (←ს ა ს ა ხ ლ ო - თ ა) ...

1451 წ.: ...მოგებოდეთ თქუენი მკუიდრი. მამული... მისითა მიდგომითა და გასათუაღვითა... გელითა, ვენაკითა, საყანოთა, ტყითა, ს ა ნ ა დ ი რ ო თ ა, ჭალითა, სათიბითა, სასაძოვროთა, ... საკმარითა და უკმარითა, მათთა ჭურ-მარნითა, სასახლოთა და მისითა სამართლიანითა, ერთობ სრულად და უკლებლად გქონდეს... (გიორგი IX-ის სიგლის პირიქი — „საქართვ. სიძველ.“ I, გვ. 1—2).

ს ა მ ე ფ ო ს ა (←ს ა მ ე ფ ო - ა ს ა) ... ს ა ს ი ს ხ ლ ო ს ა (←ს ა ს ი ს ხ ლ ო - ა ს ა) ...

1460 წ.: ორსავე (!) ტახტის [და] სამეფოსა, ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა... მეფეთ მეფემან გიორგი...

...ნუმცა ვინ არის მშლელი და მქცეველი ჩუენგან ბძებულისა ამის სასისხლოსა სიგლისა... (ჭურულის სიგელი [ნაყალბევი?], „საქართვ. სიძველ.“ I, გვ. 3, 5).



საგერშოთა (← საგერშო-ათა)... სანახშიროთა (← სანახშირო-ათა)

1455 წ.: ...და ჯაჟინეთ სისხლად ორას ოცი ათასი ძველი ცხუმური მისითა საგერშოთა და სანახშიროთა (?)..

...და გავაჩინეთ ორასოცი ათასი ძველი ცხუმური თეთრი, მისითა საგერშოთა და სანახშიროთა... (სასისხლო სიგელი გამყრელიძეთა, გიორგი IX—ის. „საქართვ. სიძველ.“ ტ. II, გვ. 18).

სანადიროთა (← სანადირო-ათა)... კალოს-კაბიწი (← კალო-მს-კაბიწი...)

1463 წ. ...გულ-განწმენდით და ალაღად თქუნთუის გუბოძებია და დაგუმტიციებია ცხირეთის გუერდი და ხანდიკი... ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, შესავალ-გამოსავლითა, სამზღურითა და მისითა სამართლიანითა ყუელათა უკლებად...

...ჩუენი შესაწერი და სათხოვარი არა შევიდეს და არა ეთხოვოს, არა დიდი უღუფა, არა რიგის პური და კალოს-კაბიწი, არა საჯინიბო და სახორსალარო... (ჯავახიანთ სიგელი,—„საქართვ. სიძველ.“ II, გვ. 21).

სასაფლაოთა (← სასაფლაო-ათა)... სანადიროთა (← სანადირო-ათა):

1545 წ.: ვიციდე ფარსმანაყანეც მარდალაშვილები კვამლი (!) რვა... მათითა მამულითა, ეკლესიათა (!), სასაფლაოთა, წყლითა, ... ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათევზითა... (იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სიგელი,—„საქართვ. სიძველ.“ I, 21).

საუფლოსა (← საუფლო-მსა)... რუს შიგნით (← რუ-მს შიგნით)
ლილოს გუერდით (← ლილო-მს გუერდით)

1579 წ.: ...სამსახურებელად... კუართისა საუფლოსა...

...სამგორში თამარ მეფისაგან აღებულს რუს შიგნით... („საქართვ. სიძველ.“ I, გვ. 8)

...ლილოს გუერდის სოფელი ახლდაბა... (იქვე, გვ. 11).

საბატონოსა (← საბატონო-მსა):

1590 წ.: ...ვისცა ჩუენის საბატონოსა რამ მოეპაროს ის შვიდეულად აზღვევიონ... („საქართვ. სიძველ. II, გვ. 24).

დაუსაბამოსა (← დაუსაბამო-მსა):

1636 წ.: ...სახელითა სახიერისა არსება და უსაბამოსა ლთისა შამისა... (იოსამ ამილახორისადმი ბოძებული სიგელი თეიმურაზ I-ისა,—„საქართ. სიძველ.“ III, 1).

უმიზეზო-ს (← უმიზეზო-მს)... საუკუნოს (← საუკუნო-მს)...


სათევზო-თა (← სათევზო-ათა)... სანადირო-თა (← სანადირო-ათა):

1611—1657 წ.: ...შეუსაზღურებელისა, უმიზეზოს, უკვდაუსის, საუკუნოს ცხოვრებისა მოუკლებელისა, დაუსრულებელისა... („საქართვ. სიძველ.“ I, გვ. 24)

...მის შესავლითა, გასავლითა, წყლითა, ტყითა, სანადიროთა, სათევზოთა, საყანი-თა, უძებრითა და საძებრითა... (იქვე, გვ. 27).

ჩრდილოსა (← ჩრდილო-მსა):

1682 წ.: ჩვენ... ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზმან, პატრონმან გრიგოლ შემოგ-წირეთ... („საქართვ. სიძველ.“ I, გვ. 42).



ურულოსა (←ურულო-მსა)... ურამოსა (←ურამო-მსა)...

1725 წ.: არსება დაუსრულებელისა... ურულოსა, ურამოსა... („საქართველ. სიძველ.“ I, გვ. 85).

საქართველოსა (ა) ← საქართველო-მს(ა):

1740 წ.: ...მოვიდნენ და ჩვენ ყოვლის საქართველოს კათალიკოზს-პატრიარქს ...მოგვახსენეს (!) ...

...დავსხით ..საქართველოს დარბაისერნი...

...თანა მოწმებითა საქართველოს მთავართათა...

...ჩვენ ყოვლისა საქართველოსა პატრიარქი ასრე ვამტიყებთ... (განქორწინების ოქმი—„საქართველ. სიძველ.“ I, გვ. 90—91).

1745 წ.: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (=სამეფოსა საქართველომსამსა): (ვახუშტის გეოგრაფიის სახელწოდება ავტორისეული რედაქციით)¹.

შენიშვნა. ეს არქაული ნორმა, აქა-იქ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში რომ ამოტივტივდება:

...ცხრა ეხი, სავსე ოქროთა,

ვერსით ჩაუვა წყალია... „კობალა“, თხზულ. III ტ.

(1930 წ., გვ. 96).

...რომ იმის დედის ძუძუთა

ვსუქდები ცოდვილიანი... „ბახტრიონი“, იქვე, გვ. 165.

ჩვენთვის საინტერესო ფაქტები სიტყვა-კანონულ მწერლობაშიც მოიპოვება. აქ მიუფიქრებლად შეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრისეულ ძეგლებზე, — ორიგინალურსა და ნათარგმნზე.

პირველის ნიმუშად „არჩილიანს“² ვიყენებთ (გადაწერის თარიღი 1705 წ.) მეორისად — „შაჰ-ნამეს“³.

„არჩილიანი“:

ახლოსა ← ახლო-მსა:

ვით მთვრალს არ ძალუტ ვაზომა ახლოსა ან სიშორისა, გვ. 189.

უდედოსა ← უდედო-მს:

მსგავსი ვარ ყრმისა უდედოს, ძიძისა არ შეწყობილის... გვ. 190.


უსამართლოსა ← უსამართლო-მსა:

ვინ მიხსნას, მთაბადისა უსამართლოსა ზელთაგან... გვ. 165.

¹ ხელნაწერის აღწერილობა ნ. ბერძენიშვილისა იხ. ამ შრომის წინასიტყვაობაში, გვ. XXI: ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941. (უნივერსიტ. გამომცემლ.).

² იხ. „არჩილიანი“ — აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, I, თბილისი, 1936 წ., შესავალი „არჩილიანის ტექსტისათვის“, გვ. XII.

³ „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები“, თბილ. 1916, იუსტინე აბულაძის გამოცემა.



უბაღოსა ← უბაღო-მსა:

უბაღოსა საქმისათვის ჭრთამი ბრძენსა ვის გაეღოს... გვ. 184.

უსამართლოს ← უსამართლო-მს:

ნუ თუ გული განიწმინდოს უსამართლოს ჩემის წყენის... გვ. 187.

საბრალოს ← საბრალო-მს:

შეწყალება ჰხამს საბრალოს მიჯნურის ამისთანისა... გვ. 191.

საწუთროსა ← საწუთრო-მსა:

საწუთროსა ღბინი სრულჰყვეს; მაგრი ედგმს ედრებოდეს... გვ. 177

სულს ნუ გამყრი, ყმაწვილი ვარ საწუთროსა უნახავი... გვ. 194.

ოქროს ← ოქრო-მსა:

ნატყლად ოქროს თურინჯითა მოგიჭედა სახლთა ჭერი... გვ. 180.

ჰამოს ხმითა ← ჰამო-მს ხმითა ← ჰამო-მთა ემითა:

ორხალს ჰკრევედა ჰამოს ხმითა, მხმენელთ ღბინით აავსებდა... გვ. 186

შდრ.: მდუღრის ცრემლითა ტირიდა, ვაებით მიწყვი ახვედა... გვ. 187

...მისის კენესით იადონი რტოზე მჯდომი ჩამოვარდის (იქვე)

...ძლივ ათასის ფერობითა მე რას ვიტყვი ვედრებასა... გვ. 193.

შდრ. ჭემოთ: ამოთა სიტყვითა...

უფასოს მარგალიტებით ← უფასო-მს მარგალიტებით ← უფასო-მთა მარგალიტებითა:

შეაბო თვალთ ბრწყინვალით, უფასოს მარგალიტებით... გვ. 182.

ამოთა სიტყვითა ← ამო-მთა სიტყვითა:

...შაროს ეუბენ ამოთა სიტყვითა შეტყობილითა... გვ. 170.

უტკბოთ ენით ← უტკბო-მთა ენითა:

შაქრის უტკბოთ ენით შენით საუბარი ამოწყვი... გვ. 181.

ცეცხლით უთმინოთ ← ცეცხლითა უთმინო-მთა:

მარგე რა ცეცხლით უთმინოთ დამწვარსა მე, დადნობილსა... გვ. 190.

კუბოთ ← კუბო-მთა:

ასი აქლემი კუბოთ და სამასი ლარკიდებული (გაუგზავნა)... გვ. 172.

„ზ ა ჰ - ნ ა მ ე“:

ოქროსა (სელი) ← ოქრო-მსა (სელი):

...ოქროსა სელი დაუდგეს, ზედ დაჯდა ედგმს ხებული... გვ. 151 (ტ. 510)

...ოქროსა სელი დაუდგეს, საამ ზედ დაჯდა მთა ვითა... გვ. 180 (ტ. 601)



...ზოგს დაადგეს ოქროსა¹ და ზოგს ვერცხლისა უნაგრები... გვ. 82 (ტ. 269)
ოქროსა ლახტი მთართეს - ფრიდონის განაჯავნია... გვ. 68 (ტ. 214).

უტკბო-სი (← უტკბო-მსი)... სარო-ს (← სარო-მს):

სულისაცა უტკბოსი ხარ, აღვის ნორჩო, საროს ტანო გვ. 104 (ტ. 345).

საწუთროსა (← საწუთრო-მსა):

წესი არის საწუთროსა: ბოლოდ ლბინსა დამწარებს... გვ. 182

ოქროთა (← ოქრო-მთა)... ოქროთ (← ოქრო-მთა):

- ორმოცდაათი (!) ბედაური, ცხენი ოქროთ შეკაზმული და ასი კმალი ოქროთა და ვერცხლით მძიმედ მოკედელი... გვ. 80 (ტ. 261)
- ...სტოები ოქროთ ნაჭედი ჰქონდა, რაც იდგა ხევანი... გვ. 77 (ტ. 248)
- ...ქიანურსა დროსა ოქროთ მოსჭედეს ტარია... გვ. 65 (ტ. 202)
- ...ასი ტაიჭი რჩეული ოქროთა დაკაზმულია... გვ. 34
- ...პირველ საამს გაუგზავნა სპილო ოქროთ კიდებული... გვ. 80

სპილოთ (← სპილო-მთ):

- ...სპილოთ გარდმოცდა სარუშა, ჯარი შორს დადგა კრებული... გვ. 68 (ტ. 212).
- ...ფრიდონ სპილოთ გარდამოცდა, ნახეთ მისი გრძნების ქნანი... გვ. 86 (ტ. 281)

„არჩილიანიდანა“ და „შაჰ-ნამედან“ მოყვანილ მაგალითებში ყურადღებას იქცევს:

1. ემფატიკურ -ს-ს მოკვეცის ფაქტები: -> ეგვეცება მსაზღვრელად გამოყენებულ სახელს, წინამავალსაც და მომდევნოსაც, აგრეთვე ზმნის ან სახელის მიერ მართულ სახელს:

წინამავალი მსაზღვრელი:	მომდევნო მსაზღვრელი:
საროს ტანი	ყრმისა უდედოს...
საბრალოს მიჯნურის	
უსამართლოს ჩემის წყენის	
უტკბოთ ენით	ცეცხლით უთმინოთ...

მართული სახელის როლში:

ასი აქლემი კუბოთ და... ოქროთ ნაჭედი... ოქროთ მოსჭედეს...

მეტადრე საინტერესოა ეს უკანასკნელი ფორმები: კუბოთ, ოქროთ... უთმინოთ (მოქმ.); უტკბოთ (მოქმ.): ახალ ქართულში ასეთი რამ - ურთ,

¹ შდრ. იქვე: ოქროსი: მეტად საინტერესო ფორმა, თუ შემთხვევითი არაა: ...თეფში, ზარფუში ოქროსი ყვარა, ვითა მჭელია... გვ. 81. (ტ. 267)
...თეფში, ზარფუში ოქროსი, არა სპილენძი ფერული... გვ. 62

-გან თანდებულთა დართვისას-ლა დასტურდება¹: ოქროდან←ოქროდ-გან←
ოქროთგან... (მხედველობაში გვაქვს სახელთა ბრუნება; შდრ. ზემო-
ზემო-ათ... ქვემოთ←ქვემო-ათ... გარე-თ... და სხვ.).

მართალია, ხსენებული ფორმები ლექსში გვაქვს, მაგრამ შემთხვევითა მეტ
წილში ლექსის საჭიროებით გამოწვეული ხელოვნური ფორმა არა ჩანს.

2. მეჩვიდმეტე საუკუნის ამ ძეგლებში უკვე მოიპოება იმის მაგალითები,
როდესაც მსახლვრელი ნათესაობითშია და საზღვრული მოქ-
მედებითში:

ჰამოს ხმითა... ათასის ფერობითა... უფასოს მარგალიტებითა... მდურის
ცრემლით...

8. გვაქვს თანამედროვე სალიტერატურო ქართულის დამახასიათებელი
-ი-ც.

...თეფში, ზარფუში ოქროსი ვყარა ვითა მჭელია... „შაჰ-ნამე“, გვ. 81

...თეფში, ზარფუში ოქროსი, არა სპილენძი ფერული... იქვე, გვ. 62.

მეთვრამეტე საუკუნის ისტორიულ საბუთთა ენაშიც შე-
ხედება კაცი მსგავს მაგალითებს:

სასაფლაოთი:

1725 წ.: გიბოძეთ დიღვამს შენის ბიძაშვილების... ნაქონი... მამული სახლით, კართი,
ვენაკით, სასაფლაოთი, ჭურ-მარნითა, კალო-საბძლითა... (იხ. „დოკუმენტები საქართვე-
ლოს სოციალური ისტორიიდან“ ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ენიმკის გამოცემა,
1940 წ., გვ. 218).

საწყლისპიროთი... საუფროსოთი...:

1750 წ.: ...დამეჭირა და მოგყიდე ჩემის ნება-წადილითა ჩემი სამკვიდრო ...მამული
თავისის შესავლითა, გასავლითა, მითთა, ბართთა, საწყლისპიროთი, ვენაკითა, საძებრი-
თა, უძებრითა... („ნასყიდობის წიგნი“ [დედანი],—იხ. „საქართვე. სიძველ.“ I, გვ. 142).

საუფროსოთი... საჭირნახულოთი...:

1778 წ.: ჩემის ნებით... მოგე..., რაც-პაპას ჩემს თავისის საუფროსოთი სახლის კა-
ცებიდამ წილი გამოჰყოლია... რაც შენ შენის საჭირნახულოთი და ან შემატებულებით...
მამული და ყმა მოგყოლიყოს, ის ისევ სრულებით შენი იყოს, და ასრეთვე, რაც მე ჩემის
საუფროსოთი და ან შემატებულებით... მომყოლიყოს, ის ისევ სრულებით ჩემი იყოს...²
(„შეყრილობის წიგნი“ [დედანი],—საქართვე, სიძველ.“ I, 97—98).

¹ „ძუძუთ ვათირებთ ბაღლებსა

რძისთვინ რო აბირდებიანი“ ვაჟა-ფშაველა, „ბაზტრონი“, თხზ. III, გვ. 169.

ასეთი რამ (ძუძუთ—ძუძუთი) იმდენად იშვიათია, რომ წესზე გაგლენას ვერ მოახდენს.

² 1454 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში გვაქვს „სასაფლაოთი“, „ყველათი“
(იხ. „საქართვე. სიძველ.“ II, 38), მაგრამ იქვეა „ტყითა, სამკვიდროთა, მითთა, ბართთა“...
მერე: საბუთი გამოცემულია პირის მიხედვით. დედანში ამ დროისათვის მსგავსი ფორმა მო-
სალოდნელი არაა.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილს სახელთა
რატურო ძეგლში „დავითიანი“ ანალოგიური ფაქტების ნიმუშა: წყაროთი,
ალაბულათი, ძალათი, საწუთროსი, სხვასი (ყველა ფუძე-
უკვეცია!):

წყაროთი:

1774 წ.: უკვედავებისა წყაროთი მოგართმევ საესეს სურასა... (დავით გურამიშვილი:
„დავითიანი“, — აღ. ბარამიძისა და სოლ. იორჯანიშვილის გამოცემა, 1931 წ. გვ. 25).

ალაბულათი:

...ალაბულათი ნუ ავსებ წმინდად გარცხილსა მენასა... (იქვე, გვ. 20).

ძალათი:

...მტერს დამორჩილდა ნებითა, ვეღარა ქნა რა ძალათი... (იქვე, გვ. 83).

საწუთროსი:

...ვით საწუთროსი მზესთანა, მიჩნს თინათინის შვენება... (იქვე, გვ. 90).

სხვასი:

...და სხვასი (sic!) ნურას მოინდომებს მახედ მეტსა უსაშართლოს... (იქვე, გვ. 5).
შდრ. წყაროსა წყალი წყურთდა... (იქვე, გვ. 56).


თუ მხედველობაში მივიღებთ დავ. გურამიშვილის ენის ხსენებულ
ფაქტებს, გასაგები გახდება ანტონი პირველის გრამატიკაში (1753 წ.,
1767 წ.) წამოყენებული დებულება: ა, ე, (ო, -უ) ბოლოკიდური ხმოვნები
აღამიანთა სახელებში არ იკვეცება, ამგვარ სახელებს ნათესაობითში -ხი და-
ერთვისო: ანასი, იერემიასი, ესაიასი, ნინასი... ალექსანდრესი, პეტრესი...
აბოსი... იესუსი (იხ. „ქართ. ღრამატიკა“ 1885 წლ. გამოცემა, გვ. 3, 4, 7...)

აღამიანთა სახელების ბრუნება ახალ ნორმებს მისდევს (მაშინ, როდესაც
ოქრო-, კუ- ტიპის სახელთა ბრუნებისას ანტონის დაცული აქვს ძველი ქარ-
თულის ნორმები: ნათეს. ოქრო-მსა, მოქმ. ოქრო-მთა...).

ძეგლებიდან დამოწმებული მასალა საილუსტრაციათა; მისი დანიშნულებაა
-ო და -უ ფუძიან სახელთა ბრუნების ვარიანტთა მეტ-ნაკლებ გავრცელებუ-
ლობას გაგვიცნოს.

რას იძლევა -ო და -უ ფუძიან სახელთა ბრუნების ისტორიის გათვალის-
წინება, იმ შუარგოლის აღდგენა, რომლითაც ძველი-ქართულის ფორმა
უკავშირდება ახალი ქართულის თანამედროვე ფორმას?

ნათესაობა:	ძვ. ქართ.	წყარო-მს-ა	ყრუ-მს-ა
	ახ. ქართ. (XII—XVIII ს.)	წყარო-ს-ა	ყრუ-ს-ა
	„ „ (თანამედრ.)	წყარო-ს-ი	ყრუ-ს-ი.
მოქმედ.	ძვ. ქართ.	წყარო-მთ-ა	ყრუ-მთ-ა
	ახ. ქართ. (XII—XVIII ს.)	წყარო-თ-ა	ყრუ-თ-ა
	„ „ (თანამედრ.)	წყარო-თ-ი	ყრუ-თ-ი



გამოირკვა, რომ:

1. ნათესაობითსა და მოქმედებითში -ი ჩნდება ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე პირობებში.

2. ორსავე შემთხვევაში ამ -ს უჭირავს ის ადგილი, რომელიც ემფატიკურ -ა-ს ეკავა: ემფატიკური -ა ასეთ შემთხვევაში არა ჩანს.

მაშასადამე:

1. არ შეიძლება ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმების ი (წყარო-ხ-ი, წყარო-თ-ი) მოვწყვიტოთ ერთმანეთს, დავსახოთ სხვადასხვა ოდენობად (როგორც ამას ვარაუდობენ აკ. შანიძე და პ. ფოხტი;—იხ. ზევ. გვ. 5—7)¹.

2. მოქმედებითის -თ-ი არ შეიძლება იყოს ნათესაობითის ხ-ის ანალოგიით მიღებული (ვარ. თოფურია): ნათესაობითის ხ-ი და მოქმედებითის -თ-ი ერთდროულად ყალიბდება. ცხადია, პირველი (ნათესაობ.) გერქნებოდა საფუძველი მეორისათვის (მოქმედებ.)

3. ნათესაობითისა და მოქმედებითის -ი ერთი და იგივე ოდენობაა; ეს ერთი და იგივე ოდენობა არც მოქმედებითთან არის სახელობითის ნიშანი და არც ნათესაობითთან. ესე იგი: წყარო-ხ-ი ისევე არაა ნანათესაობითარი სახელობითი, როგორც წყარო-თ-ი არაა ნამოქმედებითარი სახელობითი.

წყარო-თ-ი სახელობითად არც ერთ ავტორს არ მიუჩნევია. ისეთივე -ი წყარო-ს-ი ფორმაში, ცხადია, სახელობითის საწარმოებელი ვერ იქნება.

წყარო-ს-ი რომ არაა ნანათესაობითარი სახელობითი, დასტურდება სინტაქსურადაც. ნანათესაობითარი სახელობითი შეიძლება წინ უძღოდეს საზღვრულს ანდა მოსდევდეს მას ისევე, როგორც სხვა მსაზღვრელი:

მისი საქმე (შდრ. ახალი საქმე) საქმე მისი (შდრ. საქმე ახალი)

სხვისი საქმე („ ძველი საქმე) საქმე სხვისი („ საქმე ძველი)...


მისი, სხვისი ნანათესაობითარი სახელობითია; ადგილმდებარეობისდა მიუხედავად -ი—სახელობითს ბრუნვაში—მათ ბუნებრივად შერჩებათ. ასევეა ნამოქმედებითარი და ნაგარდაქცევითარი სახელობითი:

რიცხვითი სახელი —სახელი რიცხვითი... უარყოფითი დასკვნა — დასკვნა უარყოფითი... ფულადი სახსარი—სახსარი ფულადი... გულადი მეომარი—მეომარი გულადი...

მისი, სხვისი, ... უარყოფითი, რიცხვითი... ფულადი, გულადი... ყველა სახელობითია და ყველას შერჩება სახელობითის -ი ნიშანი მაშინაც, როცა ისინი წინ უძღვიან საზღვრულს.

შეიძლება თუ არა ეგევე ითქვას წყარო-ს-ის ტიპის ფაქტებზე? არა, არ შეიძლება:

¹ მით უფრო არ შეიძლება ეს -ი, თუნდაც მოქმედებითში, მივიჩნიოთ გადასმულ სუფიქსისებულ -დ (წყარო-ათ- → წყარო-თ-ი), როგორც ამას ნ. მარი ფიქრობდა (იხ. ზევ. გვ. მ): ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ასეთი -ი -ით სუფიქსისა ფორმასაც დაერთვის: იმ-ით-ი!



წყალი წყარო-სი	წყაროს წყალი
შდრ.: საქმე მ-ის-ი	მ-ის-ი საქმე
საქმე სხვ-ის-ი	სხვ-ის-ი საქმე...

უშუალოდ წინამავალი მსახდრელი „წყაროს-ი“ ვერ იქნება: მას -ი ეკვეცება¹ და ეს მაშინ, როდესაც ნანათესაობითარ ნამდვილ სახელობითს (მისი, სხვისი) -ი არ ეკვეცება. დასკვნა: წყარო-ს-ი და მსგავსი ფორმები სინტაქსური როლის მიხედვითაც ვერ გაუთანაბრდება სახელობითს.

ამრიგად, არც მორფოლოგიური და არც სინტაქსური თვალსაზრისით წყაროსი ტიპის წარმოება ახალი ქართულასათვის არაა ნანათესაობითარი სახელობითი (სწორედ ისევე, როგორც წყაროთი არაა ნამოქმედებითარი სახელობითი).

იმის ნათელსაყოფად რომ წყაროს-ის -ი სახელობითის ნიშანია, სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ერთ გარემოებაზე: თანდებულის დართვისას ეს -ი უნდა მოეკვეცოს (წყაროს-თვის, შოთას-თვის...). წყაროს-ი რომ ნათესაობითი ყოფილიყო, -თვის თანდებულის დართვისას -ი არ მოეკვეცებოდაო (იხ. აკ. შანთძე; „ქართ. გრამატ.“ § 35, გვ. 33—34).

მართლაცდა, თანდებულის წინ სახელობითის-ის ქართულში ვერ ვიპოვიო², მაგრამ აქედან ვერ გაკეთდება დასკვნა: ყოველი -ი, რომელიც თანდებულის დართვისას სიტყვას ეკვეცება, სახელობითის დაბოლოებააო.

-ი ეკვეცება მოქმედებითს ბრუნვაში -გან, -ურთ თანდებულთა დართვისას ფუძე-უკვეც სახელებს:

წყარო-თ-ი: წყარო-თ-გან → წყარო-დ-გან → წყარო-დ-ან...
წყარო-თ-ურთ...

¹ სწორედ ამიტომ წყარო-ს-ი შეიძლება შეგვეპირისპირებინა ძვ. ქართ. დავით-ის-ისთვის; დავითის-ი ისევე, როგორც ახ. ქართ. წყაროს-ი მომდევნო მსახდრელის ფორმაა: ძმ დავით-ის-ი—წყალი წყარო-ს-ი. წინამავალ მსახდრელს,—თუ ასეთად იქნებოდა ნახშიარი დავითის-ი—ი არ შერჩებოდა.

მაგრამ „დავითისი“ და „წყაროსი“ სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ფაქტია; მერე—სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა ჯგუფთა სახელებთანაა ნახშიარი (ადამიანის სახ.,—ზოგადი სახელი). და რაც მთავარია, დავითისი (ძმ დავითის-ი) წინ დასმისას რომ უინოდაა,—ამას ახსნა ჰირდება. და სანამ ეს ახსნილი არაა, მანამდი დავითისი, როგორც სახელებითი, უფრო საკითხია, ვინემ ფაქტი, რომლის მიხედვითაც სხვათა კვალიფიკაცია შეიძლებაღდეს. (ქარპ. დონდეუა ამ ფორმას უწოდებს *родительный с отношением*.—ნათესაობითი სამიმართებო იხ. „К вопросу о родительном эмпатическом...“; Изв. Ак. Наук, 1930). ეს საკითხი რთულ სინტაქსურ საკითხთა წყევბასადძრავს: მართვა გვაქვს თუ შეთანხმება „მსახდრელ“—„სახდრულს“. შორის ძველსა და ახალ ქართულში?—ამ საკითხს ცალკე დაეუბრუნდებით.

² კაცივით მხედველობაში არ მიიღება.—იხ. თ. შარაძენიძე, ვით თანდებული ქართულში: „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტ. შრომები“, ტ. X (1939).

ეს -ი ისევე შეუძლებელია დაცულ იქნეს, როგორც ემფატიკური ბრუნვაში ხსენებულ თანდებულთა წინ:

გზ-ით-ა: გზ-ით-ვან → გზ-ილ-ან
სოფლ-ით-ა: სოფლით-ვან → სოფლ-ილ-ან...

არც ამ -ა-ს, და არც -ი-ს (წყაროთ-ი) სახელობითის ნიშნად არავინ თვლის იმის გამო, რომ ეს -ა, -ი „ეკვეცება“¹ ბრუნვის ფორმას თანდებულის დართვისას.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნაცვალსახელოვანი წარმოშობისაა (-ა ← შა-ნ. მარი; -ი ← იგი-ა. შანიძე) და ორივეს თავდაპირველი ფუნქცია ერთნაირი უნდა ყოფილიყო, — განესაზღვრა ფუძე თუ ბრუნვა (კაც-ი—კაც-ის-ა):² აქ ჩვენ გვიანტერესებს ამ მონაცემთა ურთიერთობა არა გენეზისის მიხედვით, არამედ მათი ფუნქცია ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

ამ მხრივ კი წყაროს-ი, წყაროთ-ის -ი და ემფატიკური -ა გაცილებით უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვინემ სახელობითის ი და წყაროს-ის ი. იგულისხმება შემდეგი:

თუ ნათესაობითი მსაზღვრელის როლში გვევლინება და მოსდევს საზღვრულს, -ა ისევე აუცილებელია, როგორც -ი:

წყალი მდინარ-ის-ა წყალი წყარო-ს-ი...

-ა, -ი თუ აქვს ნათესაობითის, ეს ნათესაობითი წინამავალ საზღვრულთან დაკავშირებული გამოდის; უამისოდ კი ნათესაობითი შეზღუდული არაა: მომდევნო სიტყვას ისევე შეიძლება დაუკავშირდეს, როგორც—წინამავალს:

შდრ. კავშირი ინგლისისა კოლონიებთან (ვისი კავშირი? ინგლისისა)

კავშირი ინგლისის კოლონიებთან (ვის კოლონიებთან? ინგლისის კოლონიებთან).

-ი, -ა მომდევნო საზღვრულს დაერთვის და გვაძლევს დახშულ კონსტრუქციას (შეიძლებაოდა გვეთქვა: ფინიტურ კონსტრუქციას)³.


ამაზე შეიძლება გვითხრან: -ი და -ა სხვა მხრივ განსხვავებულია; ემფატიკური -ა თანდებულის წინ რჩება, -ი—არასოდეს (ძმ-ის-თვის || ძმ-ის-ა-თვის—

¹ „ეკვეცება“—ზუსტი არაა: თანდებული დაერთვის ფორმას, რომელიც ამ -ა-, -ი-ს შემატებამდის გვექონდა.

² იხ. ავტორის: „ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის“; საქართვე. მეცნიერ. აკად. მოამბე, III, № 6.

³ იხ. კარკ. დონდუა: „К вопросу о родительном эмпатическом в древнелитературном грузинском языке“; Известия Академии Наук СССР, 1930, გვ. 207.

ფინიტურობის საკითხისათვის აფხაზურში იხ. ქ. ლომთათიძე: „ძირითად დროთა წარმოება აფხაზურში“, „ენიმკის მოამბე“ II. ამავე საკითხს ქართულ დამოკიდებულ წინადადებაში ეხებოდა ქ. ლომთათიძისავე მოხსენება (ამოსავალი იყო ქართულ დიალექტთა მონაცემები).



წყაროს-თვის...), და ეს განსხვავება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსგავსება დახშული კონსტრუქციის შექმნის თვალსაზრისითო.

საქმე ისაა, რომ ეს განსხვავება ნათესაობითს ბრუნვას დართულ თანდებულებთან იჩენს თავს (ძმის-თვის || ძმისათვის; ძმის-გან || ძმისა-გან... ძმისკენ || ძმისაკენ). სხვა ბრუნვებში ასეთი მდგომარეობა არა გვაქვს:

მიცემ.: მიწა-ში ← მიწა-ს-ში... ← მიწა-ზე ← მიწა-ს-ზე...

მიწას-თან... კედელ-თან ← კედელ-ს-თან...

მოქმედებ.: მიწი-ღ-ან ← მიწით-გან... მიწით-ურთ...

გარდაქცევ.: მიწა-მდის ← მიწა ღ-მდის...

ყველგან თანდებული დაერთვის ბრუნვის ფორმას, რომელსაც ემფატიკური -ა არ მოეხოვება:


ემფატიკური -ა ისევე შეუთავსებელი აღმოჩნდა აქ თანდებულთან, როგორც -ი ნათესაობითში ან მოქმედებითში. მაშასადამე, ზემოხსენებული სხვაობა -ა-სა და ი-ს შორის ნათესაობითს ბრუნვაში -თვის (-გან) თანდებულთა დართვისას, არ შეიძლება პრინციპული ხასიათისად მივიჩნიოთ, ეს სხვაობა კი არაა ნიშანდობლივი, არამედ მსგავსება, რომელიც -ზე, -ში, თან, -გან (მოქმედ.), -ურთ, -მდე თანდებულებთან გვაქვს. ნათესაობითის ჩვენება თვით მოითხოვს ანსნას, როგორც, საფიქრებელია, მეორეული მოვლენა (ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ამთავითვე ასეთი ფაქტი: ერთი და იგივე -გან თანდებული ნათესაობითში ემფატიკურ ა-ს იგუებს—ძმის-ა-გან || ძმის-გან—, მოქმედებითში კი -ა შეუძლებელია -გან თანდებულის წინ გვექონდეს: მიწი-ღ-ან←მიწით-გან).

ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძე-უკვეც სახელებთან ემფატიკურ -ა-ს გააუჩინარება და -ი-ს დამკვიდრება არაა არც კერძობითი მოვლენა და არც შემთხვევითი ფაქტი: ამას მოწმობს ზანური (და სვანური).

როგორც ცნობილია, ქანურსა და მეგრულში ბოლოკიდური ხმოვანი სახელს არ ეკვეცება, სამაგიეროდ ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი იკარგება:

შლრ.	ქართ.	ძმა	მეგრ.	ჯიმა	ქან.	ჯუმა
		ძმ-ის-ა		ჯიმა-შ-ი		ჯუმა-შ-ი
		ძმ-ით-ა		ჯიმა-თ-ი		[ჯუმა-თ-ე] ¹

¹ ეს -ე -ი-ს ფონეტიკური შესატყვისი ჩანს, მაგრამ აქ ჯუმათე-ფორმას მხედველობაში არ ვიღებთ: ეს -ი შესაძლოა დღით-ის -ინს უკავშირდებოდეს. -სამწუხაროდ, ამ -ი-ს სადაურობაც არაა სპეციალურს ლიტერატურაში გარკვეული.



ნ. მარცია და ი. ყიფშიძეც ნათესაობითში ბოლოკიდურ -ი-ს მიღებას
სმის გზით მიღებულად მიიჩნევენ¹: ჯიმა-ში ← ჯიმა-იშ-ი...

საქმის ვითარებას ეს არ გამოხატავს: „კოჩ-იშ-ი“—რიგის მაგალითიდან
ცხადია, რომ ვადსმის გზით არაა მიღებული ბოლოკიდური -ი. სუფიქსისეული
-ი აქ (ჯუმა-შ-ი) დაკარგულია ისევე, როგორც ქართულ ფუძეუკვეც სახელებში
(ოქრო-ჲსა → ოქრო-სა...). ჩანს, ფუძისეული ა მომდევნო ი-სთან დიფთონგს
ქმნიდა: აი → აჲ: ჯიმა-იშ → *ჯიმა-ჲშ → ჯიმა-შ-ი...

დიფთონგის დაშლა აქ დაიწყო უფრო ადრე, ვინემ ქართულში: სვანურ-
ში ვარ. თოფურიას დადგენილი აქვს, რომ ფუძისეული -ა, ამჟამად დაკარ-
გული, ნათესაობითში არ იგვეცებოდა, ბრუნვის ნიშანი -იშ კი—ზანურიდან
მომდინარე—კარგავდა თავკიდურ -ი-ს (ბოგა „ხიდი“—ნათეს. *ბოგა-ში). მეტი
კიდევ: მრავლობითის სახელობითის -ე-ც შერჩება ფუძეს და იწვევს ნათესაო-
ბითისეული -ი-ს დაკარგვას (ჯანარე „ხარები“—ნათეს. ჯანარ-ე-ში-ი).

ვარ. თოფურიას სამართლიანად ასკვნის: „ადრინდელი სვანური თავის
სახელობითისა და ნათესაობითი ბრუნვების დაბოლოებით... ახლოსა დგას მეგ-
რულთან, ხოლო ჯანურის სრულ ანალოგის წარმოადგენს, როგორც მხოლო-
ობითში, ისე—მრავლობითში“².

სვანური იყენებს ზანურ -იშ-სუფიქსს; ფუძისეული -ა სახელს არ ეკვეცება
ისევე, როგორც ზანურში, სამაგიეროდ -იშ სუფიქსი კარგავს თავკიდურ -ი-ს:
აჲ- დიფთონგი დაშლილია.

ფუძისეულ ხმოვანთა უკვეცობა ერთი და იმავე მიზეზითაა გამოწვეული,
და ის საერთოა ზანურისა და სვანურისათვის. უკეთ: სვანური ზანურს იმეო-
რებს.³

ფუძეუკვეც სახელებს -შ-ი, -თ-ი აქვს მეგრულში (ქანურშიც) ისევე, რო-
გორც ქართულში -ხ-ი, -თ-ი (აგრეთვე ფუძეუკვეც სახელებს: წყარო-ს-ი, წყა-
რო-თ-ი).

აქედან პროცესი გავრცელებულა თანხმოვანზე დამთავრებულ ფუძეებზეც:
კოჩ-იშ-ი, „კაცისა“, „მენძელიში“—„მასპინძლისა“ და სხვ.

-თი (-ცა) ნაწილაკის დართვისას ეს -ი ნათესაობითისა და მოქმედებითის
გარდა სხვა ბრუნვებშიც შეიმჩნევა:

ჯიმა-ქ-ი-თ(ი) მიწუ „ძამაც მითხრა“
ჯიმა-ს-ი-თ(ი) ვუწი „ძმასაც ვუთხარი“...

¹ იბ. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, 1910, § 15, გვ. 10; И. Ки-
шидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, § 15, გვ. 20. შდრ.
არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, § 14, გვ. 56—60...

² ვ. თოფურიას, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: ტფილ. უნივერს.
შრომებ, VII (1927), გვ. 314. სვანური ქანურთან უფრო ახლოს იმითმანა, რომ ქანურში შე-
ფუძნება ამ მხრივ ძველი ვითარება: სახელობითის ნიშანი -ე მეგრულმა შეცვალა ქართულიდან
შეთვისებული -ი-თ.

³ ზანურ-სვანურ ნორმას უპირისპირდება ქართული -ა, -ე ზმოვანთა მოკვეცბით ზოგად
სახელებში. იბ. არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, § 14, გვ. 56 და შემდგ.

მოვლენის განვითარების თვალსაზრისით საგულისხმოა ორი რამ: ქართული
ენათმეცნიერება

1. ნათესაობითის -ი შერჩება წინამავალ მსაზღვრელსაც (მოვლენა —
ახალია):

ჯიმაში ნარაგადუ „ძმის ნათქვამი“
ორქოში ფარა „ოქროს ფული“...

2. წინამავალი მსაზღვრელი წინათ ისევე უ-ი-ნო უნდა ყოფილიყო, როგორც ქართულში: ამაზე მიუთითებს გაკომპოზიტიებული გამოთქმები:

თემი-შარა ← თემიშ შარა „შარა გზა“ (ზედმიწვევით: „თემის გზა“)
ცხენი-წყარი ← ცხენიშ წყარი „ცხენის წყალი“
უფალი-კარი ← უფალიშ კარი „უფლის კარი“¹ (სოფლის სახელია, ძველი)

ქართულ დიალექტებსა და სალიტერატურო ენაში დასტურდება არა ერთი ფაქტი მოსალოდნელი ემფატიკური -ა-ს გაუჩინარებისა და მის ადგილას -ი-ს დამკვიდრებისა.

მაგალ. იხ. ფშაური: დაუცავ პალო რკინისი... გონება კაცის-ი აქვ... თამარ მეფისი ეგ ნიშია... თიჯისია ევა... ეგ ჯვრისია... ციცო გშმაკისია... მამას უთქომ: „შვილოო, ღმერთმა გაგზარდოსო იმოდენაო, რო იყოსო ომიო თათრებისიო და ფშავლებისიო, მაიგმარო ჩემ ია-რაღიო...“

დისწული იყო ხარანაულთი...

„ასეთი წარმოება ახალი უნდა იყოს; მის გვერდით ვხვდებით ძველ სახეებსაც: კაც-ის-ა(ი)“—შენიშნავს ალ. ლეკიაშვილი, რომლის წერილიდანაც ამოღებულია ხსენებული მაგალითები².

ი-ანი ფორმები—რკინისი, კაცისი, მეფისი, თიჯისი, ჯვარისი..., არაა ნანათესაობითარი სახელობითი (ისევე, როგორც წყარო-სი): კონსტრუქციის შებრუნებისას -ი მოეკვეცება: პალო რკინისი—რკინის პალო...

ფშაურის ეს ფაქტები იმის დასაწყისია, რაც მეგრულსა და ქანურში უკვე ღამთავრებული სახით წარმოგვიდგება (იხ. ზემოთ).

განსხვავება იმაშია, რომ ზანურში ფუძეთა უკვეცობა აადვილებდა პროცესს, აქ კი კვეცად ფუძეთანაც გვაქვს უ-ი-ნო ფორმები ბრუნვისა, -ი-ღარ-თული (რკინ-ის-ი).

სალიტერატურო ქართულშიც მოიპოვება ფორმები ბოლოკიდური -ი-თ, მოქმედებითს ბრუნვაში, მასთან ფუძეკვეცად სახელში:

იშით.ი (=იშით-ა):

¹ ზოგი სხვა მაგალითი ნაჩვენებია აქვს ი. ყიფშაძეს: Грам. мингр. яз. § 16.

² იხ. ალ. ლეკიაშვილი. ივრის-ნეგური ფშაური: სტუდ. სამეც. შრომათა კრებული I, (1941), გვ. 163.

სავსებით ასეთივეა ვაჟახ ლექსებიდან ცნობილი: ტყისი, მგლისი, ხისი...



...სითბო? დიდი რამ არის! დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება...
წუთი-სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა... (ილ. ჭავჭავაძე,
გლახის ნამბობი, თხზულ. კრებული, III, „ქართ. წიგ.“ გამოც. გვ. 76).

...რა ვუყოთ? ზოგი გულის ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდ-
საც უქებს და ზოგი კი იმითი, რომ ცუდსაც უწუნებს... (ილ. ჭავჭავაძე,
კაცია-ადამიანი?! იქვე, გვ. 145—146).

...ახლა ამითი გვატყუებენ თავადებსაც და გლეხებსაც... იქვე, გვ. 187.

დასკვნა

1. ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითს განვითარების
სამი საფეხური აქვს გამოვლილი:

XII საუკუნემდის:	ნათეს.	წყარო-ახ-ა	მოქმედ.	წყარო-ათ-ა
XII—XVIII ს.ს.	„	წყარო-ხ-ა	„	წყარო-თ-ა
თანამედრ.:	„	წყარო-ხ-ი		წყარო-თ-ი

2. ნათესაობითსა და მოქმედებითში -ა-ს ადგილას -ი ჩნდება ერთსა და
იმავე დროს ერთსა და იმავე ფონეტიკურ პირობებში და წარმოადგენს ერთსა
და იმავე ოდენობას. მაშასადამე, არ შეიძლება ერთ-ერთ მათგანს
შიეცეს ისეთი განმარტება, რომელიც შეუფერებელი იქნე-
ბოდა მეორისათვის.

3. წყარო-ს-ი ისევე არაა ნანათესაობითარი სახელობი-
თი (იხ. მაგალ. მ-ი-ს-ი), როგორც წყარო-თ-ი არაა ნამოქმედე-
ბითარი სახელობითი (იხ. მაგალ. უარყოფ-ით-ი, დროებ-ით-ი...).

მასთან ეს -ი (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი) ბრუნვის ნიშნის კუთვნი-
ლება არც ნათესაობითშია და არც მოქმედებითში: ბუნებრივი
იქნებოდა ის მოგვექცია ემფატიკურ -ა-ს მწკრივში:

მიცემ.	წყარო-ს-(ა)
ნათეს.	წყარო-ს-(ი)
მოქმედ.	წყარო-თ-(ი)

4. გენეზისის თვალსაზრისით სახელობითის -ი, ემფატიკური -ა და
ფუძეუკვეც სახელთა ბოლოკიდური -ი არსებითად ერთნაირ ოდე-
ნობას წარმოადგენენ, მაგრამ ქართული ენის ისტორიაში მა-
თი ადგილი განსხვავებულია.

კერძოდ, სახელობითის -ი და ფუძეუკვეც სახელთა -ი განვითარების სხვა-
დასხვა ეტაპის ფაქტია.

ფუძეუკვეც სახელთა -ი—მორფოლოგიურ და სინტაქსურ თვისებებში
ხედვით—არსებითად ეტოლება ემფატიკურ -ა-ს.

5. -ი ჩნდება ბრუნვის ბოლოს ფუძეუკვეც სახელებში, მაგრამ გრცელდება ხმოვანზე დაბოლოებულს ფუძე-კვეცადს სახელებშიც და თან-ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებშიც (იმიო-ი... დიალექტ.: რკინ-ის-ი... კაც-ის-ი... შდრ. მეგ.-ქან. კოჩ-იშ-ი...).

(შემოვიდა რედაქციაში 15.V.1942)

Арн. Чикобава

Из истории склонения имен в грузинском языке: форманты родительного и творительного падежей в именах с неусекаемой основой

(Резюме)

1. В истории склонения имен существительных с неусекаемой основой в грузинском языке различаются три ступени развития:

V—XII в.в.:	род.	წყარო-აბ-ა	ყაგო-ის-ა	„родника“, „источника“
„ „	твор.	წყარო-ათ-ა	ყაგო-იტ-ა	„родником“, „источником“
XII—XVIII в.в.	род.	წყარო-ბ-ა	ყაგო-ს-ა	„родника“...
„ „	твор.	წყარო-თ-ა	ყაგო-ტ-ა	„родником“...
Современ.:	род.	წყარო-ბ-ი	ყაგო-ს-ი	„родника“
„ „	твор.	წყარო-თ-ი	ყაგო-ტ-ი	„родником“...

Дифтонг **აბ** **ოქ**, образовавшийся в древне-грузинском литературном языке из стечения гласного исхода основы **ა** **ო** (равно **უ** **ი**) и последующего гласного падежной флексии **ი** **ი** → **ა** **ქ**, распался: второй элемент **ა** **ქ** исчез (А. Шанидзе). Таким образом, фонетическим процессом дедифтонгизации обусловлены изменения, наблюдаемые в склонении имен данного типа.

2. В специальной литературе (Н. Марр, А. Шанидзе, Н. Vogt) не учитывается наличие второй ступени, выступающей в качестве

связующего звена между древне-грузинским и ново-грузинским вариантами; при этом конечное *o i* (წყარობ-ის-ი... წყარობ-ის-ი) трактуется или как элемент флексий *-ob- -i-s-*, *-ob- -it-*, перемещенный к концу (Н. Марр), или же, как флексия именительного падежа, образующая таким образом „прилагательное“ из основы родительного падежа (А. Шанидзе, В. Топуриа...). В последнем случае *o i* в творительном падеже (წყარობ-ის-ი წყარობ-ის-ი) или остается совершенно без всякого объяснения (А. Шанидзе) или же считается результатом аналогии с родительным падежом (В. Топуриа).

3. Элемент *o i* в окончаниях родительного и творительного падежей появляется в одинаковых фонетических условиях одновременно на месте эмфатического *o a*, как то видно из примеров, приведенных в § 1, являясь в обоих падежах равнозначной величиной.

Следовательно, а priori неподходящим надо признать всякое толкование этого элемента *o i*, применимое лишь к одному из этих падежей.

4. Элемент *o i* нельзя сводить к составной части флексии *-ob -is -o -i-*, перемещенной к концу: диалект. ჯობ-ობ-ო ჯაც-ის-ი „человека“ („родит. с отношением“—К. Дондуа), равно как аналогичные факты мегрело-чанской речи, исключают эту возможность: *o i* налицо и в флексии падежа, и в конце слова.

Говорить об аналогии применительно к творительному падежу также вряд ли приходится: элемент *-o -i-* в обоих падежах появляется одновременно.

Признать в этом *o i* (в форме родительного падежа წყარობის წყარობის) показатель именительного падежа невозможно, поскольку такое же *o i* в творительном падеже совершенно не поддается подобному же толкованию.

При всем этом ясно, что интересующий нас элемент *-o -i-* не является органической частью падежной флексии, функционально оказываясь фактом такого же порядка, как эмфатическое *o a*.

5. Генетически—флексия именит. падежа *-o -i-*, эмфатическое *o a*, и конечное *-o -i-*, заступающее место эмфатического *o a*, суть однородные явления: это—местоименные частицы (Н. Марр, А. Шанидзе), детерминирующие или основу имени (в именительном пад.) или падежную форму (эмфатич. *o a*, далее *-o -i-*); но место, занимаемое ими в истории грузинского языка, различно. В частности, нельзя идентифицировать *-o -i-*, флексию именительного падежа, и *-o -i-* в окончании родительного и творительного падежей (წყარობ-ის-ი წყარობ-ის-ი): это факты разных этапов развития грузинского языка.

И морфологически, и по синтаксическим функциям -o -i в окончаниях родительного и творительного падежей по существу равнозначно эмфатическому -s -a.

6. Зародившись в процессе склонения неусекаемых основ -o -i проявляет тенденцию распространиться и на другие группы основ, как уссекаемых, так и с согласным исходом (см. литер. იმ-ით-ი im-it-i „тем“... диалектн.: რკინ-ის-ი rkpin-is-i „(из) железа“... კაც-ის-ი kac-is-i „человека“ (родит. с отнош.“)... мег. и чан. კობ-იშ-ი kob-is-i...).

85. ფანჯიშვი

ფრ. ენგელსის «ფრანკული დიალექტი» და მისი მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის.*

1. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა ცალკე წიგნად გამოსცა ფრ. ენგელსის მეტად საყურადღებო ენათმეცნიერული შრომა «ფრანკული დიალექტი» («Das fränkische Dialekt»)¹.

მეცნიერული სოციალიზმისა და დიალექტიკური მატერიალიზმის ფუძემდებელი — მარქსი და ენგელსი — ღრმად მოაზროვნე ენათმეცნიერნიც იყვნენ. ორივემ მშენებრად იცოდა ბევრი ენა პრაქტიკულად და, რაც მთავარია, თითოეული ცალ-ცალკე და ორივე ერთად საყურადღებო თეორიულს საენათმეცნიერო პრობლემებს სვამდა და არკვევდა, რის გამოც მათ შრომებში გვაქვს ბევრი ფრთხად მნიშვნელოვანი დებულება არა მარტო მეთოდოლოგიური, არამედ პრაქტიკულ-ენათმეცნიერული ხასიათისაც². ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ფრ. ენგელსის შესახებ, რომელსაც ზოგ შემთხვევაში კ. მარქსიც მიმართავდა ხოლმე კონსულტაციისათვის კონკრეტული საენათმეცნიერო საკითხების გასარკვევად.

«ფრანკული დიალექტი» წარმოადგენს მთლიან ენათმეცნიერულ ნარკვევს და, რაც მთავარია, იგი ემყარება გარკვეულს კონკრეტულ ენობრივ მასალას,

* თავდაპირველად წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდომაზე (1936 წლის 11 დეკემბერს), განმეორებით — ფრ. ენგელსის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილს ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატ. კულტ. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე (1940 წლის 2 დეკემბერს).

¹ Институт Маркса-Энгельса-Ленина. Фридрих Энгельс. Франкский диалект. Партиздат ЦК ВКП (б). 1935. გერმანული და რუსული ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებით.

მარტო რუსული ტექსტი შემდგომ დაიბეჭდა: К. Маркс и Фр. Энгельс. Сочинения, XVI, 1. 1937. გვ. 412—439.

² იხ. კრებული: Маркс, Энгельс, Ленин, Сталин. О проблемах языка и мышления. С предисловием Н. Я. Марра. Ленинград. 1933.



როგორც ეს ჩვეულებრივია სპეციალურ ენათმეცნიერულ გამოკვლევებში, ვარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს სარედაქციო წინასიტყვაობა:

„მიუხედავად იმისა, რომ სტატია «ფრანკული დიალექტი» წარმოადგენს მხოლოდ ისტორიული ნაშრომის შენიშვნას, მას აქვს საკვებით დამოუკიდებელი საენათმეცნიერო მნიშვნელობაც და წარმოადგენს უაღრესად საინტერესო მოვლენას, როგორც ყველაზე დიდი (крупный) ნიმუში ისტორიული მატერიალიზმის გამოყენებისა ენათმეცნიერებაში“¹.

ამ წერილში ჩვენ მიზნად ვისახავთ, გინეხილთ, შეძლებისდა გვარად, ფრ. ენგელსის ეს შრომა ზოგად-ენათმეცნიერული თვალსაზრისით. გერმანისტიკის და, კერძოდ, გერმანული დიალექტოლოგიის საკითხებს ჩვენ არ ვეხებით: ამ საკითხების შესახებ მიუფიქრებთ სათანადო ლიტერატურას².

2. «ფრანკული დიალექტი» წარმოადგენს ფართო შენიშვნა-ნარკვევს ისტორიული ნაშრომისას: „К истории древних германцев“³. ამ შენიშვნაში ფრ. ენგელსი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს ფრანკული დიალექტი (გერმანული⁴ ენისა) და ზოუძებნოს მას სათანადო ადგილი სხვა გერმანულ დიალექტებს შორის. ფრ. ენგელსის მსჯელობის ძირითადი დებულება და ნაშრომის დედააზრიც მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ ფრანკული დიალექტი არის თავის თავადი, მთლიანი და დამოუკიდებელი ერთეული გერმანულ დიალექტთა შორის. ერთი შეხედვით ვიწრო მნიშვნელობის მქონე დებულებაა. მაგრამ ამ ძირითადი დებულების გაშლისას და ამისათვის საჭირო მასალის ანალიზისას ფრ. ენგელსი იძლევა მთელ რიგ პრინციპულსა და მეთოდოლოგიურს მოსაზრებას.

საქმის ვითარება მოკლედ ასეთია: გერმანული ენის პირველმა ისტორიკოსმა—ი. გრიმმა—გერმანულ დიალექტთა საკლასიფიკაციოდ გამოიყენა ფონეტიკური პრინციპი, სახელდობრ ე. წ. თანხმოვანთა მეორე გადანაცვლების (Lautverschiebung) პრინციპი და ამის მიხედვით გამოჰყო დიალექტები: ზემო-გერმანული (სადაც გადანაცვლება გვაქვს), ქვემო-გერმანული (სადაც გადანაცვლება არა გვაქვს) და შუა-გერმანული (ნარევი ტიპი)⁵. ი. გრიმმა მარტო ამ ფონეტიკური პრინციპის მიხედვით ფრანკული არ მიიჩნია ცალკე დამოუკიდებელ დიალექტად გერმანულ დიალექტთა შორის.

¹ ფრანკ. დიალ., წინასიტყვა, გვ. 5 (ხაზი ჩვენი. ვ. ფ.).

² ფაქტიური მასალის შესახებ მსჯელობისას ვემყარებოდით რ. შორისა და ნ. ჩემო-დანოვის «შენიშვნებს» (ფრანკ. დიალ., გვ. 89—120), ზოგ შემთხვევაში შრომებს: J. Schrijnen, Einführung in das Studium der indogermanischen Sprachwissenschaft. Heidelberg, 1921 და H. Hirt. Geschichte der deutschen Sprache². München, 1925. ნაწილობრივ გამოვიყენეთ: В. М. Жирмунский. «Франкский диалект» Фр. Энгельса: Известия Академии Наук СССР, 1936 г. № 4 (ამ წერილში უმთავრესად განხილულია გერმანული დიალექტოლოგიის სპეციალური საკითხები).

³ К. Маркс и Фр. Энгельс. Сочинения. XVI, 1, გვ. 339—439.

⁴ ქართული «გერმანული» შეესატყვისება დედნის ორ ტერმინს: germanisch და deutsch.

⁵ ფრანკ. დიალ., შენიშვნ., გვ. 89 შმდ.

ფრ. ენგელსი აღნიშნავს ამ გარემოებას: „... გრიმმა იგი ჩაანთქმევინა ვულსა და ზემო-გერმანულს...“¹.

გერმანული დიალექტების შემდგომი მკვლევრები გაჰყვნენ ი. გრიმის მიერ ნაჩვენებ გზას: დიალექტთა კლასიფიკაცია მხოლოდ ამ ფონეტიკური ნიშნის მიხედვით წარმოებდა. ყველაზე გარკვევით ეს ვითარება ფრ. ენგელსის დროისათვის აისახა ვ. ბრაუნეს შრომაში². ვ. ბრაუნე ემყარებოდა ნეო-გრამატიკოსთა საერთო მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომელნიც ენობრივი კვლევა-ძიების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფონეტიკურ კანონზომიერებათა გამოვლენას. ვ. ბრაუნეც იძლეოდა გერმანულ დიალექტთა კლასიფიკაციას ფონეტიკური პრინციპის—თანმოფანთა მეორე განაწილებების—მიხედვით³. ფრანკული დიალექტი მის შრომაშიც ჰკარგავდა დამოუკიდებლობას: „... ბრაუნე სულ მარტივად მიაკუთვნებს ყველა ნაძღვრულ ქვემო-ფრანკულ დიალექტს ზოგს საქსურს, ზოგს კი—ნიდერლანდურს...“⁴, — ამბობს ფრ. ენგელსი.

ფრ. ენგელსი ეკამათება ვ. ბრაუნეს და სხვა ავტორებს (რომელნიც ფრანკულ დიალექტს ართმევენ თავისთავადობას) და ცდილობს ფაქტიური ფლობრივი მასალის განხილვით აღადგინოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ფრანკული დიალექტი მისი დამახასიათებელი ნიშნებით.

მ. უბირველეს ყოვლისა ფრ. ენგელსი ილაშქრებს ვ. ბრაუნეს და სხვათა მეთოდოლოგიის წინააღმდეგ. მას არ მიაჩნია მართებულად ის, რომ მარტოდ-მარტო ერთი ფონეტიკური ნიშნის მიხედვით ფრანკულმა დაჰკარგა დამოუკიდებლობა და თავისთავადობა (გათქვიფა სხვა დიალექტებში). იგი თავიდანვე სრული გარკვეულობით სვამს საკითხს და ამბობს:

„მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავარ განსასხვავებელ საშუალებად გამოვიყენებთ იმას, თუ რამდენადაა შეჭრილი ზემო-გერმანული ბგერათგადანაცვლება დიალექტებში, შეუძლია კაცს ეს სამი ენობრივი შტო [ტიურინგენის, ჰესენისა და მაინის ფრანკონიის დიალექტები. ვ. ფ.] ფრანკულს მიაკუთვნოს. მაგრამ ეს არის სწორედ ის ხერხი (Verfahren), როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, რომელსაც შეაქვს სრული არევე-დარევა არა-ფრანკულ მსჯელობაში ფრანკული ენის შესახებ“⁵.

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ფრ. ენგელსის აზრით ფონეტიკური ნიშნის მთავარ ნიშნად მიჩნევას გერმანულ დიალექტთა კლასიფიკა-

¹ ფრანკ. დიალ., გვ. 12.

² W. Braune, Zur Kenntnis des Fränkischen und zur hochdeutschen Lautverschiebung. Halle, 1874. იხ. ფრანკ. დიალ., გვ. 92 შმდ.

³ ამ პრინციპით გერმანულ დიალექტთა კლასიფიკაციისათვის შდრ. ფრანკ. დიალ., გვ. 134, რუკა № 1; აგრეთვე H. Hirt, Gesch. d. deutschen Sprache. გვ. 84 შმდ.

⁴ ფრანკ. დიალ., გვ. 12.

⁵ ფრანკ. დიალ., გვ. 14: „Nur wenn man den Grad, in welchem die hochdeutsche Lautverschiebung in die Dialekte eingedrungen, als Hauptunterscheidungsmittel anwendet, kann man diese drei Sprachzweige dem Fränkischen zuweisen. Es ist aber, so werden wir sehen, gerade dies Verfahren, dass all die Verwirrung in der Beurteilung fränkischer Sprache durch Nichtfranken verursacht“.



ციისას „არევედარევა“ შეაქვს მსჯელობაში (კერძოდ, ფრანკული დიალექტისა და ლის გარკვევაში). ფრ. ენგელსი ფაქტიური ენობრივი მასალის განხილვით ამტკიცებს, რომ მარტოდ-მარტო ერთი ფონეტიკური ნიშანი არაა საკმარისი დიალექტთა საკლასიფიკაციოდ, იგი არ გვაძლევს საკმაოდ დასაყრდენს იმისათვის, რომ სოციალურად დავახასიათოთ რომელიმე კილო, რომ რომელიმე ენობრივი ერთეული მივიჩნიოთ ან არ მივიჩნიოთ დიალექტურ ერთეულად¹.

მაგრამ თუ დიალექტთა, საკლასიფიკაციოდ არ განმოდგება მარტო-მარტო ფონეტიკური პრინციპი, თუ ფონეტიკური მოვლენა არსებითად არ ახასიათებს დიალექტს, მაშინ რა უნდა დაედოს საფუძვლად დიალექტთა კლასიფიკაციას? ფრ. ენგელსი იძლევა ამ ზოგადი საკითხის პასუხსაც.

ფრ. ენგელსი კვალდაკვალ მიჰყვება ფრანკული დიალექტის განვითარებას და მიდის მის საწყისამდის: გერმანულ ტომთა ჩამოყალიბების ხანამდის. იგი ითვალისწინებს პლინიუსის მიერ მოცემულ გერმანულ ტომთა განდასებას, უძარებს მას თანამედროვე გერმანულ კილოთა ვითარებას და შემდეგს ამბობს:

„ამრიგად, პლინიუსის კლასიფიკაცია გასაოცარი სიზუსტით შეესატყვისება შემდგომში ცნობილი გერმანული კილოების ნაშდვილს დაჯგუფებას. ჩვენ არ ვიცით ისეთი დიალექტები, რომელნიც არ მიეკუთვნებოდნენ ან გუთურს, ან ფრიზულ-ქვემოაქსონურს, ფრანკულს, ზემოგერმანულს ან სკანდინავიურს, და ჩვენ ამ უკმადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ პლინიუსის ეს კლასიფიკაცია სანიშნუშოდ“².

ხოლო სხვა ადგილას ფრ. ენგელსი უმატებს: „ამრიგად, ჩვენ გვაქვს ხუთი ძირითადი გერმანული ტომი ხუთი ძირითადი დიალექტით“³.

როგორც ირკვევა, ფრ. ენგელსი მის თანამედროვე გერმანულ დიალექტთა დაჯგუფებას უფარდებს გერმანულ ტომთა ისტორიული ხანის კლასიფიკაციას, ე. ი. ისტორიულ-ტომობრივი კლასიფიკაცია საფუძვლად ედება თანამედროვე დიალექტთა კლასიფიკაციას. სხვა ადგილას ცალკე დიალექტის არსებობის საბუთად ფრ. ენგელსს მოჰყავს სწორედ ის გარემოება, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე გარკვეული ტომობრივი ერთეული მოსახლეობს. იგი ამბობს:

„ჰესენსა და ტიურინგიას აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი დიალექტები ისევე, როგორც ისინი დასახლებული არიან დამოუკიდებელი ტომებით“⁴.

¹ უკანასკნელი ხნის კვლევა უკვე ფაქტიურად ვეღარ ემყარება თანხმობანთა გადანაცვლების ფონეტიკურ პრინციპს. საყურადღებოა ამ მხრივ ჰ. ჰირტის განცხადება: „... ამ ცვლილებებს ვუწოდებთ ჩვენ ზემო-გერმანულ ბგერათგანაცვლებას. ახალი კვლევა-ძიების მიხედვით იგი არ წარმოადგენს მთლიანად ერთობლივ მოვლენას, რადგან გადანაცვლების შედეგები სხვადასხვაგვარია როგორც ცალკეული ბგერების მიხედვით, ისე სხვადასხვა კილოს მიხედვითაც“ (H. Hirt, Etymologie der neuhochdeutsch. Sprache, გვ. 10).

² K. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, XVI, 1, გვ. 351 (ხაზი ჩვენია. ე. ფ.) შდრ. ფრანკ. დიალ., გვ. 97—98.

³ იქვე, გვ. 388 (ხაზი ჩვენია ე. ფ.).

⁴ ფრანკ. დიალ., გვ. 14: „Hessen und Thüringen haben ihre eigenen selbstständigen Dialekte, wie sie von selbstständigen Stämmen bewohnt werden...“ (ხაზი ჩვენია. ე. ფ.).

ამ ამონაწერთა გათვალისწინებით, ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრ. ენგელსს დიალექტის წარმოშობისა და განვითარების საფუძვლად მიაჩნია ტომობრივი ერთეულის წარმოშობა და განვითარება; რომელიმე ენის თანამედროვე დიალექტები წარმოადგენენ ისტორიულ განვითარებაში ჩამოყალიბებულ სათანადო ტომობრივ ენებს (resp. დიალექტებს). ამიტომაც დიალექტთა ძირითად საკლასიფიკაციო პრინციპად უნდა მივიღოთ ტომობრივ ერთეულთა ჩამოყალიბებისა და მათი ისტორიული განვითარების ბედობა. ასეთია ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ ფრ. ენგელსის ამ ნაშრომიდან.

4. მაგრამ მხოლოდ იმაზე მითითება, თუ რომელი ტომობრივი ერთეული დაედო საფუძვლად დიალექტის წარმოშობას, არაა საკმარისი ამ დიალექტის კვალიფიკაციისათვის: საჭიროა დაიძებნოს დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები. დიალექტთა საფუძვლის გარკვევის შემდეგ ფრ. ენგელსი იწყებს მათ დახასიათებას. იგი დაწვრილებით არკვევს გერმანული კილოების—კერძოდ ფრანკული დიალექტის—თავისებურებებს—ფონეტიკურსა თუ მორფოლოგიურს. ასე, მაგალითად, ძირითადი გერმანული ტომებისა და შესატყვისი დიალექტების გამოყოფის შემდეგ ფრ. ენგელსი ამბობს:

„ამ სამ [ტომს] უპირისპირდება ორი სამხრეთის ტომი: ისკვეონური და გერმანული, მოგვიანო ტერმინოლოგიით—ფრანკული და ზემო-გერმანული. საერთო ორივესთვის—მამრობითი სქესის სუსტი ბრუნება -ო-ზე; ... აწმუდ დროში უღვლილები მისხედვით ორივე დიალექტი ერთმანეთთან ახლდა, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ეს დავადასტურთ ფრანკულისათვის, და გუთურის მსგავსად [ისინი] მჭიდროდ უკავშირდებიან იმთავითვე (искоини) მონათესავე ენებს...“¹


ამას მისდევს მეტად საყურადღებო შენიშვნა, რომელშიც ხაზგასმულია ენის ისტორიის კავშირი ხალხის ისტორიასთან:

„მაგრამ რომ ორივე დიალექტი ერთ ერთეულად გავაერთიანოთ, ამის ნებას არ გვაძლევს ენის მთელი ისტორია—დაწყებული უძველესი ფრანკული დიალექტის მეტად არსებითი არქაული თავისებურებებით და გათავებული ამ ორი დიალექტის კილოკავებს შორის არსებული დიდი სხვაობით—ისევე, როგორც თვითონ ხალხთა (народностей) მთელი ისტორია ნებას არ გვაძლევს გავაერთიანოთ ისინი ერთ ძირითად ტომში“².

ამ მსჯელობაში ნათლად ჩანს ორი ძირითადი პრინციპი, რომელთა მიხედვით უნდა წარმოებდეს დიალექტის კვლევა. ერთი მხრით, დიალექტთა განყოფის საბუთად გამოყენებულია ენის ისტორია, რაც უსათუოდ ჰგულისხმობს დიალექტის ენობრივი ნიშნების ისტორიულ ცვალებადობას. ხოლო მეორე მხრით აღნიშნული ვითარების საფუძვლად მიჩნეულია ისევე ხალხის (resp. ტომის) ისტორია.

¹ К. Марке и Фр. Энгельс. Сочинения. XVI, 1, гл. 388.

² იქვე, გვ. 388 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).



ფრანკული დიალექტის დაწვრილებითს ენობრივ დახასიათებას გელსი გვადლევს თავის შრომაში. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფრ. ენგელსი დიალექტის დახასიათებისას ძირითად ყურადღებას აქცევს მორფოლოგიურ მხარეს. ამგვარი ვითარების გასამართლებლად ფრ. ენგელსი იძლევა დასაბუთებასაც. იგი ამბობს:

„თუ მე მთელს ამ გამოკვლევაში ყურადღებას ვაქცევდი მხოლოდ დაბოლოებათა ფორმებს და არა ბგერათა შესატყვისობას, ეს აიხსნება იმ მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომელნიც ამ შესატყვისობებმა განიცადეს—ყოველ შემთხვევაში, ბევრს დიალექტში მაინც—I საუკუნესა და იმ ჩვენი ძველესი ძეგლების შედგენის ხანას შორის, რომელთაც წყარობად ვიყენებთ ენათა შესასწავლად; გერმანიისთვის საჭიროა მოვიგონო თუნდაც მხოლოდ თანხმოვანთა მეორე გადანაცვლება* 1.

ამ შემთხვევაში მორფოლოგიური მოვლენები დაპირისპირებულია ფონეტიკურთან და თანაც ხაზგასმულია ის, რომ ფონეტიკური ნიშნები ადვილი ცვალებადობის გამო ნაკლებ საიმედოა დიალექტური ერთეულის დასახასიათებლად.

ფრანკული დიალექტის ენობრივ ნიშნებს ფრ. ენგელსი აღნუსხავს ისტორიულად, ფრანკულის განვითარების მთელ სიგრძეზე. უძველესი ხანისათვის იგი იყენებს წერილობითს ძეგლებს და ტოპონიმიკის მონაცემებს, ხოლო თანამედროვე მდგომარეობას ითვალისწინებს ცოცხალი მეტყველების მიხედვით 2.

ნარკვევში მოცემულია დიდი ფაქტიური მასალა ფრანკულის დასახასიათებლად. ამ მასალიდან გამომდინარე დასკვნები და ფრ. ენგელსის ბევრი კერძობითი დებულებაც დღეს უკვე წარმოადგენს გერმანული დიალექტოლოგიის კუთვნილებას 3.

5. ზემოთქმულთან ერთად დიალექტის დასახასიათებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაც, რომელიც მას აპირისპირებინებს თავს სხვა კოლექტივისათვის, და რომლის მიხედვით ერთი ენობრივი კოლექტივი გამოჰყოფს თავის თავს სხვა ენობრივი კოლექტივისგან. ამ საკითხის შესახებ ფრ. ენგელსი გარკვეულ მოსაზრებას გამოთქვამს, როდესაც ეკამათება თანხმოვანთა გადანაცვლების პრინციპის გამოყენებას დიალექტთა საკლასიფიკაციოდ (მსჯელობა შეეხება შუა და ქვემო-ფრანკულის ერთმანეთისაგან გამიჯვნას):

„სწორედ ეს არა ყოველთვის თანამიმდევრული შეჭრა ზემო-გერმანული გადანაცვლებისა ამ სამ შემთხვევაში არის ის, რაზედაც ემყარება შუა და ქვემო-ფრანკულის ჩვეულებრივი გამიჯვნა ერთმანეთისგან, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად თვითნებურად და სრულიად შემთხვევითი ნიშნის მიხედვით ერთმანეთისგან ითიშება გარკვეული ბგერითი მმართველი ერთმანეთთან დაკავშირებულ კილოთა ჯგუფი, რომელნიც (კილოები) ხალხის ცნობიერებაშიც ჯერ კიდევ ერთმანეთთან დაკავშირებულად მიიჩნევიან* 4.

1 K. Маркс и Фр. Энгельс. Сочин., XVI, 1, გვ. 388—389 (ხაზი ჩვენია, ვ. ფ.).

2 შრომის ამ მხარეს ქვემოთ ვეხებით: იხ. აქვე, გვ. 110 შმდ.

3 ამ გარემოებას სპეციალურად არკვევს ვ. ჟირმუნსკი: В. Жирмунский. «Франский диалект» Фр. Энгельса: Изв. Академии Наук СССР, 1936, № 4, გვ. 10—12.

4 ფრანკ. დიალ., გვ. 44.

ფრ. ენგელსი კილოთა ურთიერთობის გასარკვევად იყენებს ვარკვეულ ბგერით შესატყვისობათა ანალიზს, მაგრამ ამის გვერდით მიმართავს „ხალხის ცნობიერებასაც“, რომლის ჩვენებით კილოთა ვარკვეული ჯგუფი ერთ მთლიანად წარმოგვიდგება, ამ ჯგუფის წევრები ენობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულად მიიჩნევა.

მეორე ადგილას ფრ. ენგელსი „ხალხის ცნობიერებას“ იყენებს საფუძვლად, რათა დაამტკიცოს ის, რომ ფონეტიკური მოვლენა არ ჰქმნის საზღვარს კილოთა შორის; იგი ამბობს:

„რანის ფრანკ[ელ]ისათვისაც კი t-ს და [სიტყვის] ბოლო k-ს გადანაცვლების შეჭრა არა ჰქმნის რაიმე ენობრივი საზღვრის შთაბეჭდილებას“¹.

ეს გამონათქვამი, ცხადია, იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ t-სა და k-ს გადანაცვლება ჰქმნის თითქოს ვარკვეულ საზღვარს კილოებს შორის, მაგრამ მოსახლეობის ცნობიერება ამ საზღვარს არ ცნობს...

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამხ. სტალინმა „ხალხის ცნობიერება“, საერთოდ „ფსიქიკური წყობა“ („психический склад“) დასახა ეროვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად. იგი ამბობს:

„ყოველივე ზემონათქვამის გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ერთად ვაერთიანებულ ადამიანთა სულიერი სახის („духовного облика“) თავისებურებანი. ერები განირჩევიან ერთმანეთისაგან არა მარტო ცხოვრების პირობებით, არამედ სულიერი სახითაც („облик“), რაც ეროვნული კულტურის თავისებურებაში გამოიხატება...“². ხოლო შემდგომ დასკვნის: „მაშასადამე, — ფსიქიკური წყობის ერთობა, რომელიც თავს იჩენს კულტურის ერთობაში, — როგორც ერის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანი“³.

6. დიალექტთა კლასიფიკაციის ზრინცივთან დაკავშირებით ისმება ერთი კერძო საკითხიც. დიალექტების ჩამოყალიბების საფუძვლად ენათმეცნიერებს, კერძოდ, ნეოგრამატიკოსებს, მიიჩნდათ ენობრივი დიფერენციაცია და ამის მიხედვით ჩვენი ხანისათვის დიალექტების საზღვრების შემოსაფარგლავად მიღებული იყო ფეოდალურ-ადმინისტრაციული საზღვრები. მაგალითად, ი. სკრაინენი — საკმაოდ ცნობილი ინდოევროპისტი — შემდეგს ამბობს ამ საკითხის შესახებ: „ენობრივი განვითარება და დიალექტთა ისტორია მჭიდროდა დაკავშირებული მხარის ისტორიასთან, და ენათმეცნიერის უმნიშვნელოვანეს ამოცანათაგანს წარმოადგენს, გადმოგვიშალოს ეს ურთიერთკავშირი. თითქმის ყოველთვის ენობრივი საზღვრები ემთხვევა პოლიტიკურ საზღვრებს (ფრიალ ფართო ვაგებით), ანდა ჩვენ ვპოულობთ მხარის საზღვრების ზედმოქმედების გამოძახილს დღევანდელს ენობრივ ერთეულში“⁴.

¹ ფრანკ. დიალ., გვ. 50 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² И. Сталин, Марксизм и национальный вопрос. კრებულში: „Марксизм и национально-колониальный вопрос“. Москва 1934. გვ. 6. ქართ. თარგმ., გვ. 9.

³ იქვე, ქართ. თარგმ., გვ. 10.

⁴ J. Schrijnen, Einführung..., გვ. 101 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).



ფრ. ენგელსი თავისი იმ დებულებით, რომ დიალექტის ჩამოყალიბებაში საფუძველი ტომობრივი ენა (resp. დიალექტი), თითქოს უარყოფს ფეოდალურ საზღვრებს დიალექტთა საკლასიფიკაციოდ. „ფეოდალური“ კილოები წარმოადგენენ „ტომობრივ კილოთა“ გარდასახებას ისტორიული განვითარების შედეგად. ამგვარი დასკვნისათვის ფრ. ენგელსს საფუძველს აძლევს გერმანულ ტომებში ფეოდალიზმის ჩამოყალიბების ისტორია¹ და გერმანული ცოცხალი კილოების მონაცემთა გათვალისწინება (კერძოდ, ფრანკულის ბედ-ილბლის გათვალისწინება).

ამ გარემოების ნათელსაყოფად გამოგვადგება შემდეგი ამონაწერი. ფრ. ენგელსი ამბობს:

„უპირველეს ყოვლისა მოვათავსოთ ფრანკული ენის [გავრცელების] არე-მიდამო (Gehiet) მის ნამდვილ საზღვრებში. ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველი მას [ფრანკულს] მივაკუთვნოთ ტიურინგია, ჰესენი და მაინის ფრანკონია გარდა იმისა, რომ კაროლინგებმა ხანაში Francia სახელწოდებით ისინი იკვლვის ხმებოდნენ... ჰესენსა და ტიურინგიას აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი დიალექტები ისევე, როგორც ისინი დასახლებული არიან დამოუკიდებელი ტომებით“².

ეს ამონაწერი უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: რადგანაც კაროლინგების დროს ზემოჩამოთვლილი მხარეები ერთ ფეოდალურ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა—ერთი სახელწოდებით, ეს არ ლაპარაკობს მისი ენობრივი მთლიანობის შესახებ. პირიქით, მასში შემავალ ცალკე კუთხეებს ახასიათებს ცალკე დიალექტები, რადგანაც ისინი „დასახლებული არიან დამოუკიდებელი ტომებით“. როგორც სხვა შემთხვევაშიც, ფრ. ენგელსი ამ მოსაზრებასაც სათანადო ფაქტიური მასალის ფართო ანალიზით ადასტურებს³.

7. ამგვარად, ფრ. ენგელსმა სხვადასხვა თვალსაზრისით გაარკვია ფრანკულის ადგილი გერმანულ დიალექტთა შორის და მოგვცა დიალექტთა საკლასიფიკაცია ზოგადი პრინციპებით. მაგრამ იგი იკვლევს ფრანკული დიალექტის ისტორიასაც, და ამ კვლევამ საყურადღებო დასკვნები მოგვცა. სახელდობრ, აღმოჩნდა: დღევანდელი ფრანკული აღარ წარმოადგენს მონოლითურ ერთეულს—მის შიგნით ჩვენ გვაქვს ენობრივ ნორმათა მრავალფერობა. ფრ. ენგელსი არკვევს ნორმათა ამ მრავალფერობის წარმოშობის მიზეზებს.

მართალია, დიალექტის საფუძველია ისტორიულად ჩამოყალიბებული ტომობრივი ენა, მაგრამ ენობრივი ერთეული არ ვითარდება სწორხაზობრივად, მისი ენობრივი ნორმები განიცდიან მოსაზღვრე ტომობრივ ერთეულთა გავლენას და ამიტომ თვითონ ხდება ნარევი ენობრივ (resp. დიალექტურ) ერთეულად, თუმცა ეს გარემოება მაინც ვერ სპობს ძველ დიალექტურ საზღვარს, რომელიც ემყარება ტომობრივი ენის (resp. დიალექტის) ძველ

¹ იხ. მისი: К истории древн. германцев, К. Маркс и Фр. Энгельс, Сочин. XVI, 1.

² ფრანკ. დიალ., გვ. 12—14.

³ შდრ. ვ. ჟირმუნსკი, op. cit., გვ. 16 შმდ.

საზღვრებს. ასე განიხილავს ფრ. ენგელსი ფრანკულის რიბუარულ დიალექტს მათში თანხმოვანთა გადანაცვლების გავრცელებას და სათანადო მასალა განხილვის შემდეგ დაასკვნის:

„მოკლედ, მთიანეთისა და დაბლობის კილოები მუდმივად ჯვარედინდებიან ერთმანეთში ისე, რომ ეს გარემოება ოდნავადაც არ უშლის ხელს გადამწერს. როგორც ყოველთვის, ეს უკანასკნელი ტალღა, რომელმაც თანხმოვანთა ზემო-გერმანული გადანაცვლება შეიტანა ფრანკულის მიდამოში, არის ყველაზე სუსტიც და მეჩხვრიც. ცხადია, საინტერესოა, გავავლოთ ის ხაზი, რომელსაც იგი აღწევს. მაგრამ დიალექტის საზღვრის შექმნა ამ ხაზს არ შეუძლია; მას არ შეუძლია დამოუკიდებელი ჯგუფი ძველთაგანვე და მჭიდროდ მონათესავე კილოთა დაშლას და მოგვეცეს საბაზი ირისათვის, რომ ეს ძალით განყოფილი ნამსხვრევები—ყველა სხვა ენობრივი ფაქტის ჩვენებათა საწინააღმდეგოდ—ერთმანეთისგან უფრო დაშორებულ ჯგუფებს მივაკუთვნოთ“¹.

დიალექტთა (resp. ენათა) ურთიერთ-ზედმოქმედება და ენობრივ ნორმათა შერევა ფრ. ენგელსს ესმის თავისებურად და ღრმად. სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ძველ საქსონურში ზმნა მრავლობითის სამივე პირში გვაძლევს ერთ ფორმას: „hebbiad“ ნიშნავს: „wir haben, ihr habt, sie haben“ (ჩვენ გვაქვს, თქვენ გაქვთ, მათ აქვთ). ფრანკულისათვის კი გვაქვს (მაგ., „დასავლეთ რაინის ფსალმუნში“) ცალკე ნიშნები სამივე პირისათვის: 1. პირში—*in*, 2. პირში—*t*, 3. პირში—*nt*... ბერგის ცოცხალ დიალექტში (რომელიც ფრანკულს უნდა მიეკუთვნოს) „...აწმყოს მრავლობითის სამივე პირი იწარმოება აგრეთვე ერთგვარად, მაგრამ არა საქსონურად -*d* [ნიშნით], არამედ ფრანკულად -*nt* [ნიშნით]“².

იმ გარემოების მიხედვით, რომ ბერგის დიალექტში მრავლობითის სამივე პირის ნიშანი ერთგვარია, ვ. ბრაუნე და სხვები ამ კილოს მიაკუთვნებდნენ საქსონურს. ფრ. ენგელსი კი სულ სხვაგვარად სწყევტს საკითხს და იძლევა შემდეგს დებულებას:

„ეს წესი, რასაკვირველია, შემოსულია აქ [ბერგის კილოში] საქსონიიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი შესრულებულია ფრანკულად და ამით ამტკიცებს სწორედ იმის საწინააღმდეგოს, რაც მას უნდა დაემტკიცებინა [ვ. ბრაუნეს აზრით]“³.

ამის მიხედვით ჩანს, რომ გრამატიკული (მორფოლოგიური) ნორმის საწარმოებლად მასალა აღებულია ერთი ენობრივი სინამდვილიდან (აქ—ფრანკულიდან), ხოლო პრინციპი ნორმის ასაგებად მეორიდან (საქსონურიდან) და ხდება მათი (პრინციპისა და მასალის) შეჯვარდინება. ენათა შერევა ამგვარი ურთიერთობის

¹ ფრანკ. დიალ., გვ. 50—52 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² ფრანკ. დიალ., გვ. 20: „Im Bergischen machen wir ebenfalls alle drei Pluralpersonen des Präsens gleich, aber nicht sächsisch auf -d, sondern fränkisch auf -nt“ (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

³ ფრანკ. დიალ., გვ. 18: „Die Regel ist allerdings aus Sachsen hierüber gedrungen, leider aber wird sie fränkisch ausgeführt und beweist damit das Gegenteil dessen, was sie beweisen soll“ (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

შედგად მიიღება. ფრ. ენგელსის ეს მოსაზრება ენათა შერევას ღრმად განსაზრისით აშუქებს და ეწინააღმდეგება შერევის პროცესის გამართლებას (შდრ. ცნობილი სუბსტრატის თეორია და სხვ....).

ენათა შერევის ამგვარი პრინციპის ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ქვემო-იმერულში გავრცელებული წარმოება თურმეობითი I-ისა. მხედველობაში გვაქვს ფორმები: ნაცხოვრება (უცხოვრია), ნაცვარება (ჰყვარებია), ნანდომპ (სდომებია)... ეს ფორმები აგებულია მეგრული ენის ნორმის მიხედვით, ხოლო გაფორმება ხდება ქართული მორფოლოგიურ-ფონეტიკური მასალით¹.

შდრ. მეგრ. : ნა-ცხოვრებ-უ-ე

ქვ.-იმერ. : ნა-ცხოვრებ-ა

ათე დროს ნაცხოვრებზე ართი ტყაში კოჩია: ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. (ивер.) яз. 82_б.—ამ დროს უცხოვრია (ნაცხოვრება) ერთ ტყის კაცს'...

აღსანიშნავია ისიც, რომ ფრ. ენგელსი ანგარიშს უწევს სესხებას ენობრივ სინამდვილეში. მას გარკვეული ენობრივი მოვლენები მიაჩნია მექანიკურად, სესხებით შესულად ერთი ენობრივი წრიდან მეორეში. ეს მოვლენები შედიან ენაში შესული სიტყვების საშუალებით. მაგალითად, ფრ. ენგელსი არუვეს თანხმოვანთა გადანაცვლების საზღვრებს რაინის ფრანკონის ტერიტორიაზე და ამბობს:

„მას [საზღვრების გაურკვევლობას] ხელს უწყობს კიდევ ისიც; რომ კილოებში მრავლად არის შეჭრილი ზემო-გერმანული სიტყვები sz, z, ch და t-ს გადანაცვლებით“².

ჩანს, კილოებში შესულა ცალკეული სიტყვები, რომელთაც უკვე მოკვებოდა გადანაცვლებული თანხმოვნები. ამიტომ თანხმოვანთა გადანაცვლების პროცესს ვერ მივაწერთ ამ კილოებს, არამედ იგი შემოსულია, ნასესხებია, ამდენად კილოთა კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს სესხების ფაქტორსაც.

8. აქამდის ჩვენ ვხეზობდით ფრ. ენგელსის შეხედულებებს დიალექტოლოგიის საკითხების შესახებ. გზადაგზა ფრ. ენგელსი საყურადღებო მოსაზრებებს იძლევა ზოგადი ენათმეცნიერების სხვა საკითხების შესახებაც. პირველ რიგში უნდა შევეხოთ წერილობითი ძეგლების მნიშვნელობას ენათმეცნიერული კვლევისათვის.

ფრანკული დიალექტის ისტორიის ძველი საფხურების გასათვალისწინებლად ფრ. ენგელსი მთლიანად ემყარება წერილობითის ძეგლებს. წერილობითი ძეგლები მას მიაჩნია კვლევა-ძიების მნიშვნელოვან წყაროდ, რადგანაც ისი-

¹ არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატ. ანალიზი. 1936. გვ. 146; ჩენი : ქართული ენის იმერული კილო. 1936. გვ. 90 (ხელთნაწ.).

² ფრანკ. დიალ., გვ. 50 (ხაზო ჩენია. ვ. ფ.).

ნი გამოსახავენ და გადმოგვცემენ ენობრივი სინამდვილის ისტორიულ-ენობრივ ბულ წინა საფეხურებს. ფრ. ენგელსი განსაკუთრებული ყურადღებებით განსახილველად უძველეს Heliland-ის ხელთნაწერს¹ და დიალექტური ლიტერატურის ძეგლებს. მისი მსჯელობა 14—28 გვერდებზე ფრანკულის ენობრივი ფაქტების ანალიზის დროს ემყარება მთლიანად ამ წერილობითს ძეგლებს. აქ ჩვენ გვხვდება ისეთი გარკვეული გამონათქვამები, რომელნიც პირდაპირ მიუთითებენ იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ფრ. ენგელსი წერილობითს ძეგლებს. ერთგვან იგი შემდეგს ამბობს:

„მარტოდ-მარტო ყოტანური ჰელიანდი საკმარისია იმისათვის, რომ მასში მოცემული მტირერიცხოვანი ფრანკული ფორმების მიხედვით უძველეს დავადასტუროთ ზოგიერთი ძირითადი განმასხვავებელი [ნიშანი] ფრანკულსა და საქსურს შორის“².

ესე იგი, ორი დიალექტის განსხვავებულობა ამ შემთხვევაში უძველესობით მტიციდება წერილობითი ძეგლის მიხედვით. ამ დებულებას შემდეგ მოსდევს ენობრივი ნორმების კონკრეტული ანალიზი წერილობითი ძეგლის მასალის საფუძველზე და ეს ნორმები მიჩნეულია ცოცხალი ენობრივი სინამდვილის კუთვნილებად.

აღნიშნულ გარემოებას უნდა მიეთითოს განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენს სინამდვილეში თითქოს გავრცელებულია ერთგვარი, უარყოფითი, დამოკიდებულება წერილობითი ძეგლებისადმი. ზოგ შემთხვევაში ამგვარი ვითარების თეორიულ დასაბუთებასაც კი ცდილობენ (მაგ., ნ. მარი, ი. მეშჩანინოვი...).

ცხადია, ამგვარ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ ფრ. ენგელსის მოსაზრებებს წერილობითი ძეგლების მნიშვნელობის შესახებ განსაკუთრებული მეთოდოლოგიური ღირებულება უნდა მიენიჭოს.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზურგი უნდა ვაქციოთ ცოცხალ კილოებს. ფრ. ენგელსი არ უარყოფს იმას, რომ თანამედროვე ცოცხალ კილოებში ხშირად გვაქვს ძველი ენობრივი ნორმების ჩანარჩენები. მაგრამ დიალექტების მთლიანად გამოცხადება უფრო ძველი ვითარების ამსახველად, ვიდრე ძველი სალიტერატურო ენებია (რომელნიც შემონახული არიან სათანადო წერილობითი ძეგლებით), მეთოდოლოგიურად შემცდარია და არსებითად არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. ამას ნათლად გვიჩვენებს ფრ. ენგელსის კვლევა-ძიება «ფრანკულ დიალექტში», მის მიერ წერილობითი ძეგლების გამოყენება ამ კვლევაში³.

ამასთან ცხადია ისიც, რომ წერილობითი ძეგლები ისტორიულ განვითარებაში ასახავენ ენობრივი სინამდვილის ცვალებადობას. წერილობითი ძეგლი ხშირად ერთდროულად შეიცავს როგორც წარსულის—უკვე მკვდარს, ისე ცოცხალს, ძეგლის თანამედროვე ენობრივ ნორმებსაც. ამიტომ ასეთ ძეგლზე უკრიტიკოდ დაყრდნობა არ შეიძლება; მისი მონაცემები უნდა გულდასმით შემოწმ-

¹ ამ ხელთნაწერის შესახებ იხ. ფრანკ. დიალ., გვ. 90: შენიშვნები.

² ფრანკ. დიალ., გვ. 16.

³ შდრ. აქვე, გვ. 110 შდ.



დეს. ფრ. ენგელსი განიხილავს სალიკური კილოს წერილობით (24—26 გვ.), აღნიშნავს; რომ ისინი მეტისმეტად შერყენილი სახით გვაქვს დარჩენილი, და შემდგომ ამბობს:

„მაგრამ კერძო... შეასწორა ამ დამახინჯებათა მნიშვნელოვანი ოდენობა. და დაადგინა ზოგ შემთხვევაში საიმედო, სხვა შემთხვევაში უაღრესად სავარაუდო ტექსტი და დაამტკიცა, რომ ის [„სალიკური ძეგლისდება“] დაწერილია იმ ენით, რომელიც პირდაპირი წინაპარია საშუალო და ახალი ნიდერლანდურისა“¹. ამას ფრ. ენგელსი უმატებს: „თუმცა ეს რეკონსტრუირებული მასალა, რასაკვირველია, არ შეიძლება მარტივად (ohne weiteres) გამოვიყენოთ გრამატიკისთვის“².

წერილობითი ძეგლის გამოყენება, ამრიგად შეიძლება გარკვეული წინასწარი კვლევა-ძიების ჩატარების შემდეგ.

მეტად საყურადღებოა ფრ. ენგელსის აქ მოყვანილი წინა ციტატის შემდეგი ადგილი: „... ის [„სალიკური ძეგლისდება“] დაწერილია იმ ენით, რომელიც პირდაპირი წინაპარია საშუალო და ახალი ნიდერლანდურისა...“ ფრ. ენგელსს მიაჩნია, რომ გარკვეული ძეგლის ენა წარმოადგენს „წინაპარს“ გარკვეული ენებისათვის; ეს მომდევნო ენები წარმოშობილი არიან განვითარების შედეგად იმ ენისაგან, რომელიც წერილობითი ძეგლით გვაქვს შემონახული (საშუალო და ახალი ნიდერლანდური—სალიკური კილოსგან). ეს გამონათქვამი გვიმტკიცებს აგრეთვე იმასაც, რომ ფრ. ენგელსს წერილობითი ძეგლი მიაჩნდა ცოცხალი ენობრივი სინამდვილის ამსახველად. ეს აზრი თავიდან ბოლომდის გასდევს ფრ. ენგელსის კვლევას ფრანკულ დიალექტშია.

9. მეორე საყურადღებო ზოგადი საკითხია ცოცხალი ხალხური კილოების შესწავლის მნიშვნელობა ენათმეცნიერულ კვლევაში. ფრანკული კილოს ისტორიის გასათვალისწინებლად ფრ. ენგელსს საჭიროდ მიაჩნია წერილობითი ძეგლების მონაცემები საბოლოოდ შემოწმდეს ცოცხალი დიალექტების მასალებზე. მისი აზრით ყოველი ტომობრივი ენა (resp. დიალექტი) წარმოადგენს განუწყვეტელ ერთეულს თავის განვითარებაში. ის მრავალგან აღნიშნავს უძველესი ხანის ენობრივი სინამდვილისა და ცოცხალი კილოების ურთიერთკავშირს. მაგალითად, ის არკვევს „ch“-სა და „g“-ს მონაცვლეობას ფრანკულის ძველ ძეგლებში და შემდეგს ამბობს:

„forsacho-ში ხმოვნებს შორის გვაქვს ch გ-ს მაგივრად: ეს გვხვდება აგრეთვე ძეგლებში სხვა შემთხვევებშიც (rachinenburgius) და წარმოადგენს დღესაც დამახასიათებელ ნიშანს ყველა ფრანკული კილოსათვის პფალციდან დაწყებული ჩრდილოეთის ზღვამდის“³.

¹ ფრანკ. დიალ., გვ. 24—26 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² ფრანკ. დიალ., გვ. 26.

³ ფრანკ. დიალ., გვ. 26.

მასასადასამე, გარკვეული ფონეტიკური მოვლენა ძველი ხანისა (დავით აღმაშენებლის დროს) რეზონანსის მიერ) თავის გაგრძელებას პოულობს თანამედროვე კილოებში, დიალექტის ამ ორ პერიოდს შორის არის უშუალო ისტორიული კავშირი. ამგვარი დებულება კიდევ უფრო გარკვევით არის გამოთქმული სხვა ადგილას:

„... და ამგვარადვე დამტკიცებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის, რომ ფრანკული ტომის ამ ორ შტოთაგან ყოველი ცალკე უკვე ადრე განსაკუთრებულ კილოზე მეტყველებდა, რომ დიალექტი იყოფოდა სალიკურად და რიპუარულად და რომ ზოგიერთი განმყოფი თავისებურება ძველი კილოებისა კიდევ ცოცხლობს დღევანდელს ზეპირ ხალხურ მეტყველებაში“¹.

ამრიგად, ძველი დიალექტის (resp. ენის) მოვლენები ისტორიულ განვითარებაში აღწევენ თანამედროვე ხალხურ კილოებამდის, ცოცხალი კილოები წარმოადგენენ უშუალო გაგრძელებას ძველი დიალექტებისას. ამიტომაც ფრ. ენგელსი თავის შრომაში დაწვრილებით განიხილავს გერმანული კილოების მონაცემებს, დაწვრილებით ეცნობა—როგორც ლიტერატურის მიხედვით, ისე პირადი დაკვირვებით და კვლევით—ამ კილოთა მასალას. და როდესაც ხალხური კილოების მასალა უგულვებელყოფილია მკვლევართა მიერ, იგი გულისწყრომით აცხადებს (რიპუარულ კილოთა ურთიერთობის განხილვის დროს):

„... ყველასათვის, ვინც ამ მხარეში თვითონ შინაურია, ცხადია, რომ აქ „კაბინეტური სწავლულობა“ მისთვის მცირედ ცნობილს ანდა სრულიად უცნობ ცოცხალ ხალხურ კილოებს აპრიორულად კონსტრუირებულ ნიშანთა პროკრუსტეს სარეცელზე ათავსებს...“².

ფრ. ენგელსის მოსაზრებები მნიშვნელოვანია ქართული კილოების შესწავლისათვისაც. ქართულ კილოთა უმრავლესობის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ წინასწარი ცნობები, ისინი საფუძვლიანად გამოკვლეული არ არიან. ფრ. ენგელსის გამონათქვამები ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცოცხალი ხალხური კილოების შესწავლა (კერძოდ, ქართული კილოებისაც) ენის და ისტორიის გასათვალისწინებლად.

10. შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია ენათა ნათესაობის პრობლემა. როგორც ცნობილია, შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება დაკავშირებულია ენათა ნათესაობის თეორიასთან. ამ თეორიის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენება ენობრივ კვლევა-ძიებაში, ხოლო, მეორე მხრით, თვით ეს მეთოდიც ასაბუთებს ენათა ნათესაობის თეორიას.

¹ ფრანკ. დიალ., გვ. 28.

² ფრანკ. დიალ., გვ. 46: „Für Jeden, der im Lande selbst zu Hause [ist], ist es offenbar, dass hier die Stubengelehrsamkeit, die ihr wenig oder gar nicht bekannten lebendigen Volksmundarten in das Prokrustesbett a priori konstruierter Kennzeichen zwängt“.



ენათა ნათესაობის პრობლემა ჯერ-ჯერობით სისრულით არაა შესწავლილი კლდეული მარქსისტული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით¹. ამ პრობლემასთან კი დაკავშირებულია ინდოევროპული ენათმეცნიერების მთელი მეთოდოლოგიური რაობა. მეტად საყურადღებოა ამიტომ ფრ. ენგელსის შეხედულებანი ამ საკითხის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრ. ენგელსი აღიარებს ენათა შერევას, როგორც მნიშვნელოვან პროცესს ენათა განვითარებაში. მაგრამ ენათა შერევა მას ესმის განსაკუთრებული თვალსაზრისით². იგი არ შლის ცალკეულ ენობრივ ერთეულის თავისთავადობას, არ შლის მათ შორის არსებულ საზღვარს. ამასთან იგი არ სპობს ენობრივ ერთეულთა შორის არსებულ ნათესაურ ურთიერთობას. ამ მეორე მომენტის შესახებ ფრ. ენგელსი გვამდევს გარკვეულ მითითებებს. მაგალითად: მან სხვადასხვა საბუთით დაადგინა გერმანულ ტომთა რიცხვი და მათდა შესატყვისად გერმანულ დიალექტთა რიცხვიც, შემდეგ იძლევა მათ (დიალექტთა) დახასიათებას და ამბობს:

„...აწმყო დროში უღვლილების მიხედვით ორივე დიალექტი [ფრანკული და ზემო-გერმანული] ერთმანეთთან ახლოა, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ეს დავადანტურით ფრანკულისათვის, და გუთურის მსგავსად [ისინი] მჭიდროდ უკავშირდებიან დასაბამით განვე (ископи) გონათესავე ენებს...“³

მეორე ადგილას იგი ენობრივად ახასიათებს გუთურ ტომს და ამბობს: „უღვლილებაში თბრობითი კილოს აწმყო დროის ფლექსიის ფორმები კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან დასაბამით განვე (ископи) მონათესავე ენების, განსაკუთრებით ბერძნულისა და ლათინურის, ფორმებს,—თანხმოვანთა გადანაცვლების დაცვით“⁴.

ამის მიხედვით ცხადია ის, რომ ფრ. ენგელსი პრინციპულად სცნობს ნათესაობას, როგორც ერთი ენის დიალექტებს შორის, ისე თვით ინდოევროპულ ენათა შორისაც. ამგვარივე გარკვეული მოსაზრება ენათა ნათესაობის შესახებ ფრ. ენგელსს გამოთქმული აქვს „ანტი-დიურინგიც“⁵. აქ ის ეკამათება ე. დიურინგს სკოლაში ენების სწავლების შესახებ და შემდეგს ამბობს:

„მაგრამ «დედაენის მასალა და ფორმა» მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაგები, თუ მათი წარმოშობა და თანდათანობითი განვითარება გავითვალისწინეთ, ეს კი შეუძლებელია, ერთი მხრით, დედაენის საკუთარი მკვდარი (abgestorbene) ფორმების შეუსწავლელად, ხოლო, მეორე მხრით, მონათესავე ცოცხალი და მკვდარი ენების გაუცნობლად“⁵.

¹ ამჟამად უკვე მოგვეთვება სპეციალური ნარკვევები: არნ. ჩიკობავა, Проблема языка, как предмета лингвистики...: ენიციკ-ს მოამბე, ტ. X, თბილისი 1941); И. Мещанинов, Очередные задачи советского языкознания: Известия Академии Наук СССР. Отделение литературы и языка. 1940, № 3.

² შდრ. აქვე, გვ. 107 შმდ.

³ К. Маркс и Фр. Энгельс. Сочинения. XVI, 1, გვ. 388. შდრ. ფრანკ. დიალ., გვ. 101.

⁴ К. Маркс и Фр. Энгельс. Сочинения. XVI, 1, გვ. 388. შდრ. ფრანკ. დიალ., გვ. 101.

⁵ Fr. Engels, Herrn Eugen Dührings Umwälzung der Wissenschaft. Moskau—Leningrad. 1984. გვ. 317. შდრ. ქართ. თარგმანი: «ანტი-დიურინგი», გვ. 273.

სამწუხაროდ, სისრულით არა გვაქვს გათვალისწინებული, თუ როგორ ემსოდა კონკრეტულად ფრ. ენგელსს ენობრივი ნათესაობის პრობლემა. ამ საკითხს სჭირდება სპეციალური შესწავლა. ამჟამად უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ფრ. ენგელსი სცნობს ენათა ნათესაობას და რომ ინდოევროპული ენები მისთვის იყვნენ „დასაბამიდან მონათესავე ენები“...

11. უკანასკნელად, ენათმეცნიერული და ისტორიული კვლევა-ძიების ურთიერთობის საკითხს უნდა შევხვით. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ფრ. ენგელსის ნარკვევი დაწერილია მისი ისტორიული შრომის: «К истории древних герман» ზოგიერთი საკითხის განსაზღვრავად. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს ენათმეცნიერული კვლევა-ძიების გაპოყენება ისტორიული საკითხების გასარკვევად. ამავე დროს თავის ენათმეცნიერულ კვლევაში ფრ. ენგელსი ფართოდ იყენებს ისტორიულ მონაცემებს. ამ ვითარების მიხედვით «ფრანკ. დიალექტი» იძლევა საყურადღებო მითითებებს ისტორიული და ენათმეცნიერული კვლევა-ძიების ურთიერთობის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ის, რომ ფრ. ენგელსი ფრანკული დიალექტის ენობრივ შესწავლამდის ითვალისწინებს სათანადო ისტორიულ გარემოს. იგი დაწვრილებით იკვლევს ისტორიული წყაროების მონაცემებს (პლინიუსის, ტაციტუსის შრომებში), წერილობითი ძეგლების ისტორიულ მასალას. იგი დიალექტის შესახებ მას შემდეგ იწყებს საუბარს, როდესაც ამ ენ ბრივი კოლექტივის სოციალური ისტორია კარგად გაითვალისწინა. ეს ვითარება ჩვენ მიგვაჩნია მეტოდოლოგიურ პრინციპად. სწორედ ამგვარმა პრინციპმა მიიყვანა ფრ. ენგელსი იქამდის, რომ მან სოციალური ერთეული—ტომი—მიიღო როგორც ამოსავალი პუნქტი დიალექტთა საკლასიფიკაციოდ, საერთოდ დიალექტის რაობის ვასარკვევად. ამას (ტომობრივი ენის აღიარებას დიალექტის საფუძვლად) ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი გვაძლევს დასაყრდენს, რათა ენათმეცნიერების მონაცემები გამოვიყენოთ ისტორიული კვლევისათვის. სახელდობრ—ფრ. ენგელსის მითითებით—ფონეტიკურ მოვლენას არ შეიძლება მოუწინაოთ ყოველ ცალკე შემთხვევაში სოციალურ-ეკონომიური საფუძველი. დიალექტის დახასიათება ფონეტიკური ნიშნით ვერ გადმოვივლის მის სოციალურ არსს. სულ სხვაა ტომი—როგორც სოციალური ერთეული. იგი არსებითადაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიურ განვითარებასთან. ხმდენად მაშინვე დაყრდნობით შესაძლებელია დასკვნა გამოვიტანოთ ისტორიული სინამდვილის შესახებ და ენათმეცნიერული კვლევა-ძიება გამოვიყენოთ ისტორიული კვლევისათვის.

აღსანიშნავია ამ საკითხთან დაკავშირებით ისიც, რომ ფრ. ენგელსი ფრანკული დიალექტის კვლევას იწყებს გარკვეული ისტორიული ხანიდან, სახელდობრ, იმ დროიდან, როდესაც უკვე მოგვეპოვება წერილო-



ბითი ისტორიული წყაროები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სწორედ ისტორიული გაძიების დასაყრდენად. ფრ. ენგელსის მთელი მსჯელობა სწორედ ისტორიული ხანის ჩარჩოებში ტრიალებს და იგი არ გადადის პრეისტორიის ფარგლებში. ამ გარემოებასაც მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მიგვიბრუნებს იმის საჭიროებაზე, რომ კვლევა უნდა შემოიფარგლოს კონკრეტული ისტორიული ხანით, რომლის შესახებაც სანდო ისტორიული წყაროები გაგვაჩინა.

აქვე საყურადღებოა ფრ. ენგელსის მითითება, რომ ისტორიული სინამდვილის შესახებ დასკვნა არ შეიძლება მთლიანად ენობრივ მონაცემებზე დავამყაროთ¹. მისი აზრით, შემცდარი იქნებოდა ჩვენი მუშაობა, თუ მოვინდომებდით თანამედროვე ცოცხალ კილოთა მხოლოდ ენობრივი ნიშნების მიხედვით, უკან სვლით, ძველი ტომობრივი ერთეულისა ანდა მისი ენობრივი ერთეულის აღდგენას. ი. გრიმი ნაწილობრივ ასე იქცეოდა ფრანკულის მიმართ. ფრ. ენგელსი ეკამათება ი. გრიმს და შემდეგს ამბობს:

„მაგრამ გრიმი შეცდომაში შეჰყავს ენას. დაწყებული IX საუკუნის შუა წლებიდან ყველა გერმანულ დოკუმენტს ფრანკთა სახელმწიფოში ადგენდნენ იმ დიალექტზე, რომელიც არ განირჩევა ძველი ზემო-გერმანული ენისგან, ამიტომ გრიმი ვარაუდობს, რომ ძველი ფრანკული დიალექტი უცხო მხარეში დაიღუპა, სამშობლოში კი იგი შესცვალა ზემო-გერმანულმა, და ამ საფუძვლით იგი [გრიმი] ბოლოსდაბოლოს ფრანკებს მიაკუთვნებს ზემო-გერმანულ ტომს“².

ამ ამონაწერით დასტურდება, რომ მხოლოდ ენობრივი მონაცემების მიხედვით მსჯელობამ შესაძლებელია მიგვიყვანოს სრულიად შემცდარ დებულებადის („Гримма вводит в заблуждение язык...“). ასეთი კვლევის დროს საჭიროა მხედველობაში გვქონდეს კონკრეტული ისტორიული ურთიერთობანი, უნდა გავითვალისწინოთ სხვა სფეროების ფაქტიური მასალაც და ისე გამოვიტანოთ დასკვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ შედეგს, როგორსაც გვიხატავს H. Hirt-ი, როდესაც ის გვიხასიათებს ძველი ენათმეცნიერული კვლევაძიების მეთოდოლოგიას: „[მკვლევარნი] კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ არა ენის სიღრმეში, რათა შეემეცნებინათ ის, რაც მასში [ენაში] მოიპოვებოდა, არამედ ენას ევალეობოდა დაემტკიცებინა ის, რაც მათ სხვა გზით მოუვიდოდათ თავში“³.

12. ამგვარია ფრ. ენგელსის შეხედულებები ზოგი ძირითადი საენათმეცნიერო საკითხის შესახებ. შემოთქმულის დამატებით შეიძლება ერთი საკითხიც განვეხილა: სახელდობრ, ენობრივი კანონზომიერების სპე-

¹ ამ საკითხზე იმიტომ უფრო ვჩერდებით, რომ გვაქვს შემთხვევები, როდესაც მხოლოდ ენობრივი ფაქტების ანალიზით დასკვნები არამც თუ ისტორიული ხანის, პრეისტორიის შესახებაც კი გამოაქვთ. ასეთი ვითარება თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი აკად. ნ. მარის უკანასკნელი ხანის ზოგიერთ შრომაში.

² K. Марке и Фр. Энгельс. Сочинения. XVI, 1, გვ. 382 (ზაზი ჩვენია. ვ. ფ.).


³ H. Hirt. Geschichte d. deutsch. Sprache², გვ 5: „Man versenkte sich nicht in die Sprache, um zu erkennen, was darin vorhanden war, sondern die Sprache sollte bestätigen, was man sonst ausgeklügelt hatte“ (ზაზი ჩვენია. ვ. ფ.).

ციფიკის საკითხი. ფრ. ენგელსის მთელ შრომაში ნათლად ჩანს, რომ რითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ენობრივი განვითარება მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ-ეკონომიური ყოფის ცვალებადობას. ენობრივი ცვალებადობა (მისი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სხვა მხარეთა კანონზომიერება) მიზეზობრივად უკავშირდება საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-ეკონომიურ ბაზისს. ამას მიუთითებს, პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ ფრ. ენგელსს დიალექტთა საფუძვლად მიაჩნია გარკვეული სოციალური ერთეული—ტომი და ტომობრივი ენა (resp. დიალექტი). შემდგომ: დიალექტთა ისტორიული განვითარება ფრ. ენგელსს არ წარმოუდგენია კარჩაკეტილად, არამედ იგი დიდ როლს ანიჭებს მათ შორის ურთიერთობას, შერევის პროცესს. იმავე დროს იგი მოითხოვს, რომ დიალექტს არ დაეკარგოს თავისთავადობა. ამ ზოგადი დებულების საფუძველზე ფრ. ენგელსი იძლევა ცალკეული ენობრივი მოვლენების სოციოლოგიურ ანალიზს.

ფრ. ენგელსის თვალსაზრისი ღრმად დიალექტიკურია. ყოველი საკითხის განხილვაში, რომელსაც კი იგი ეხება. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შეხედულება, როცა იგი ენობრივ სინამდვილეს ანიჭებს განვითარების საკუთარ კანონზომიერებას. ენობრივი მოვლენების მიზეზობრივად დაკავშირება სოციალურ-ეკონომიურ გარემოსთან ფრ. ენგელსის აზრით არ ნიშნავს იმას, რომ ეს კავშირი უშუალოა და რომ ენობრივი სამყაროს ყოველი ცალკეული მოვლენა მიზეზობრივად უნდა იყოს გამოწვეული სოციალურ-ეკონომიური ფაქტორისგან. არაჩვეულებრივი სიღრმით ეს დებულება ფრ. ენგელსმა მოგვცა წერილში ი. ბლოხისადმი (1890 წლ. 21—22 სექტემბერს):

„ჩვენს ისტორიას ექმნით ჩვენ თვითონ, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ ექმნით მას ფრიად განსაზღვრული წინამძღვრებისა და პირობების ფარგლებში. მათ შორის ეკონომიურნი საბოლოო ანგარიშით წარმოადგენენ გადამწყვეტს. მაგრამ პოლიტიკური პირობებიც და ა. შ., ადამიანთა თავებში არსებული ტრადიციებიც კი, თამაშობენ გარკვეულ როლს, თუმცა არა გადამწყვეტს. პრუსიის სახელმწიფო წარმოიშვა და ვითარდებოდა აგრეთვე ისტორიული და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიური მიზეზების წყალობით. მაგრამ განა შეიძლება ვამტკიცოთ, თუ არ გვინდა გადავიჭყეტო პედანტებად, რომ ჩრდილო-გერმანიის მრავალ წვრილმან სახელმწიფოთა შორის სწორედ ბრანდენბურგი იყო განკუთვნილი იმ დიდი სახელმწიფოს როლისთვის, რომელშიც ხორცი შეისხა ეკონომიურმა სხვაობამ, ენობრივმა განსხვავებამ, ხოლო რეფორმაციის დროიდან—რელიგიურმა სხვაობამაც, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ამასთან ეს ვითარება წინასწარ განსაზღვრული იყო მხოლოდ-და-მხოლოდ ეკონომიური აუცილებლობით, ხოლო სხვა მომენტები არ ახდენდნენ აგრეთვე გავლენას... საბჭურო ვინემ მთავერხოს, თუ სასაცილოდ არ გაიხდის თავს, ეკონომიური ნიდაღ-ზე ახსნას ყოველი მცირე გერმანული სახელმწიფოს არსებობა წარსულსა და აწმყოში, ანდა ეკონომიური ნიდაღ-ზე ახსნას წარმოშობა თანხმობანთა ზემო-გერმანული ცვლილებებისა, რომელმაც სუდეტებიდან ტაუნუსამდე გადაჭიმული მთაგრეხილით წარმოშობილი გეოგრაფიული განყოფა გააფართოვა ნაპრალამდე, რომელიც გადის მთელ გერმანიაზე“¹.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочин. т. XXVIII, гв. 245—246 (ზაზი ჩვენია- გ. ფ.).



ეს ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს საერთოდ ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიურ რაობას, ხოლო კერძოდ იმას, რომ არ შეიძლება ყოველ ცალკე შემთხვევაში ენობრივი მოვლენის ეკონომიური ფაქტორით ახსნა; ცხადია, თუ არ გვინდა „გავხდეთ სასაცილონი“. ენობრივ კვლევა-ძიებაში ყურადღება უნდა მიექცეს ენის სპეციფიკურ კანონზომიერებას. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ სრულად არა გვაქვს თავმოყრილი და ჩამოყალიბებული ამ ენობრივი კანონზომიერების ძირითადი მომენტები იმგვარად, როგორც ეს მოცემულია მარქსიზმის კლასიკოსების—კ. მარქსის, ფრ. ენგელსის, ვ. ლენინის, ი. სტალინის—შრომებში, გამონათქვამებში ენის საკითხების შესახებ. ამ კანონზომიერებისა და მისი პრინციპების გათვალისწინება, მათი სისტემაში ზოყვანა—ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მარქსისტული ენათმეცნიერებისა.

* * *

ამით შეიძლება დავასრულოთ «ფრანკული დიალექტის» მეთოდოლოგიური მნიშვნელობის განხილვა. ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა ფრ. ენგელსის მსჯელობის ნიადაგზე ის ზოგადი დებულებები, რომელნიც გამომდინარეობენ მისი შრომიდან. ზოგ შემთხვევაში განხილულია ელემენტარული საკითხებიც. ეს საჭიროდ მივიჩნიეთ, რადგანაც ამ საკითხების შესახებ ზოგჯერ გავრცელებულია არასწორი შეხედულებანი. ამით, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გამართლებულია ფრ. ენგელსის დებულებებთან ამ სახით ვადმოცემა.

ცხადია, წინამდებარე მიმოხილვაში მთელი სისრულით არაა გათვალისწინებული ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ფრ. ენგელსის შრომას აქვს ენათმეცნიერების მეთოდოლოგიისათვის. «ფრანკული დიალექტის» ღირებულება მთლიანად გასაგები გახდება მაშინ, როდესაც ზედმიწევნით შევისწავლით მის ყოველ თეორიულ დებულებას და ნათელს გავხდით მათს მნიშვნელობას როგორც ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, ისე კონკრეტული ენათმეცნიერული კვლევისათვისაც.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კავკასიურ ენათა კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 25. X. 1940)

Вл. Н. Панчвидзе

«Франкский диалект» Фр. Энгельса и его значение для языкознания

(Резюме)

В статье дается анализ высказываний Фр. Энгельса в труде «Франкский диалект» по основным вопросам общего языкознания и выясняется методологическое значение этих высказываний для марксистского языкознания. Рассмотрены следующие вопросы: принципы классификации диалектов (классификация диалектов по одному только фонетическому принципу несостоятельна—§ 3, в основу классификации должен лечь племенной диалект (germ. язык)—§ 3, для характеристики диалектов предпочтение дается морфологическим признакам перед фонетическими—§ 4, при разграничении диалектов большое значение имеет и языковое сознание—§ 5), проблема смешения диалектов и языков—§ 7, значение изучения живых диалектов языка—§ 9, значение письменных памятников—§ 8, проблема родства языков—§ 10, о взаимоотношении лингвистических и исторических исследований—§ 11, о специфике языковой закономерности—§ 12.

Д. С. Мгеладзе

К ЗНАЧЕНИЮ ПРЕФИКСА У- В РУССКОМ ЯЗЫКЕ

I

Вплоть до последнего времени в русской лингвистической литературе достаточно много внимания уделяется выяснению функционального значения русского префикса у-, причем в качестве основного значения его в глаголах выдвигается признак удаления от известной точки. Но большинство глаголов с этим префиксом в современном литературном языке уже не сохраняет этого первоначального значения, вследствие чего функции у- следует дифференцировать. Совсем еще недавно подробная дифференциация функции этого префикса дана П. К. Ковалевым¹. По мнению Ковалева, функции у- необходимо дифференцировать в двух основных глагольных группах. К первой такой группе глаголов он относит „глаголы со значением направления действия“, ко второй — „глаголы, не выражающие направления действия“, причем в последней им, между прочим, выделяются глаголы со значением „полноты действия“ и с этим значением приводятся такие глаголы как убедиться, усвоить, уничтожить, убыстрить, увеличить, унижить, усилить.

Необходимо кратко остановиться на последних четырех глаголах, в которых, бесспорно, выражена „полнота действия“, как это правильно квалифицирует автор. Но к значению префикса у- в таких глаголах можно подойти еще ближе и исторически, пожалуй, даже точнее, что, в свою очередь, ярче оттенит их „полноту действия“ при выявлении одновременно истинного значения преф. у-. Так же, как в приведенных выше глаголах, и в других, им подобных, вроде углубить, увеличить, укоротить, удлинить, уба-

¹ П. К. Ковалев, Функции глагольных префиксов в русском литературном языке: Русский язык в школе, 1940 г. кн. 4, стр. 36 — 42.

вить, умножить, удешевить, умалить и т. д., префикс **у-** имеет свое прямое значение „еще“, т. е. именно то значение, которое он имел тогда, когда выступал как самостоятельное слово — наречие (всегда с отрицанием не). Вот это-то значение „еще“ и придает названным выше глаголам ту „полноту действия“, о которой говорит П. К. Ковалев. Со значением „еще“ наречие **у-** (**оу**) мы встречаем как в старославянских памятниках, так и в древнерусских. Например:

1) Гла г-еи иис: что ҃сть мѣнѣ и тебѣ, жено, **оу** не приде час мой — Остром. еван. Иоана гл. II, 4.

2) И тѣма бысть и не **оу** бѣ къ нимѣ пришльѣ иис — *ibid.*, Иоана гл. VI, 17.

3) Не **оу** абые желаньное сътворимѣ ти — Жит. Феод. Студ, 11.

4) А князь Ингварь Игоревичъ ..не успѣ приити къ нимѣ на пирь той злѣи не **оу** бо еще (слово „еще“ рядом с „оу“ доказывает, что значение **оу**=-еще, повидимому, уже забывается) приспѣло время — Никон. л. 6725 г. и др.¹

В современном русском языке в отдельности наречие **у** уже не употребляется. Мы его находим:

1. В сложениях **у-же**//**у-ж**//**у-жѡ** (народ.); **у-же-ли**//**у-же-ль**//**не-у-же-ли**.

Например: „Ох, уж эти мне ребята
Будет вам **ужо** мертвец“.

(Пушкин, „Утопленник“)

„Вот **ужо** вам будет, государевым послушникам...“

(Пушкин, „Капитанская дочка“)

... **ужели** — думает Евгений,

ужель она? Но точно... Нет...

(Пушкин, „Евг. Он.“)

2. В виде префикса в названных нами выше и подобных им глаголах: **у-**глубить, т. е. сделать еще глубже; **у-**длиннить — сделать еще длиннее, **у-**коротить — сделать еще короче, **у-**силить, сделать силу еще „сильнее“ и т. п.

Соответствия „еще“ Meillet, Потемня и др. находят в санск. *ōti* (=очень, слишком), греч. *ἔτι* (=еще), лат. *et* (=и), гот. *ith* (=и, по)². Эти соответствия еще больше убеждают нас в значении **у-** префикса глаголов для выражения „усиленного действия“.

3. К этому же выводу, т. е. **у-**=„еще“ приводит нас и то, что Срезневский, говоря о значении префикса **у-** и приводя такие глаголы и

¹ Примеры, за исключением первого, взяты из „Матер. для словаря древ.-русс. языка“ Срезневского, т. III, стр. 1107, 1912 г.

² А. Преображенский, Этимологический словарь русского языка, стр. 219. Н. В. Горяев, Сравнит. этимологический словарь русского языка, стр. 104.

оглагольные слова с у- для обозначения „совершения действия“ „доведения действия до конца“, как убити, увѣдѣти, угасити, уговор и др., не называет ни одного примера типа усилить, увеличить, убыстрить и др.

II

Кроме приведенного выше, префикс у- в русских глаголах и именах имеет еще отрицательное значение, т. е. значение отрицания признака, характерного для данного предмета. В старославянском языке ему соответствует Х- (юс большой). Не много слов можно назвать в современном русском литературном языке, сохранивших негативное у-, но и в тех немногих отчетливо выступает отрицательное его значение, особенно при сопоставлении семантики слов с у- со словами без него или с другим префиксом. Для примера можно привести такие слова как у-богий, у-быток, у-блюдох, у-вечье (у-вечить, у-вечный) у-прямый, из-у-вер.

От у-богий в современном литературном языке не осталось производного богий, но такие слова как бог, богатый, богач, богачей, богатырь и др. достаточно ясно указывают на позитивное значение корня бог— (ср. санскр. bhāgas — господин, богатый, др.-иран. бага—бог, владыка, ср.-иран. bagh—бог и др.)¹, выявляя вместе с тем значение у-богий как небогатый, т. е. без того признака, который заключен в корне бог-

Отрицательное значение префикса у- в словах у-быток, у'-быль, у'-было и др. выявляется при сопоставлении их со словами того же корня, но с другим префиксом, например: при-быток, при-быль, при-было и др. На первый взгляд в слове у-быль || при-быль || при-было префикс у- скорее имеет значение отдаления, нежели отрицания, но это отдаление, вернее, удаление и есть лишение этого слова того позитивного признака, который дан в корне бы.

В числе других значений слова у-блюдох у Даля приводится и незаконнорожденный². Корень слова у-блюдох—блюд, т. е. тот корень, который мы имеем в словах блюсти (<блюд-ти), соблю-а-ть, наблю-ение и др. Сравнивая гл. блюсти и сущ. у-блюдох с негативным у-, мы заметим, что у-блюдох значит несоблюденный, родившийся „вне соблюдения необходимых церковных правил“, т. е. „вне законного брака“.

¹ А. Преображенский, Этимологический словарь рус. языка, выпуск 1, стр. 33.

² Даль, т. IV, изд. 3, стр. 192.

У-вечье, у-веч-ный, у-веч-ить и др. сближаются с позитивным век, вечный, вековечный и др. Сопоставляя старослав. вѣкъ—сида, литов. vėkà—сила, крепость, др.-сев. weig—сила, лат. vincere—побеждать, гот. vīhan—бороться, спорить и др. с нашими примерами с префиксом у-, мы легко убеждаемся в отрицательном значении префикса у-—„лишенный силы“, крепости, ущербный, ущемленный, „невечный“ и т. п.

У-прямый значит—несговорчивый, неуступчивый, ослушный, „не прямой“ и др. при противоположном „прямой“, податливый, слушающийся советов, наставлений и др.

В слове „из-у-вер- при сопоставлений с вер-а, вер-ный и др. также выделяется у- = не.

В соответствии с русским негативным префиксом у- = старослав. X (юс большой) в других языках индо-европ. системы имеем:

- в санскр. а || an: á — krāu¹ (нем. unerklärt) — необъяснимый, неясный;
 á — grus¹ (нем. inverheiratet) — порожний, незамужний; холостой; незамужняя;
 an — ák¹ (нем. ohne augen (blind) — безглазый, незрячий, слепой;
 an — adván¹ (нем. stier) — неподвижный;
 án — aptas¹ (= нем. nicht feucht (?) — несырой, невлажный (санскр. ár — вода, ср. лит. ūrė — река) и др.

- в греческ. α || av: ἄ-παις — бездетный;
 ἄ-χρῶματος — бесцветный;
 ἄ-σεβής — безбожный;
 ἀν-αιδής — бесстыдный, дерзкий;
 ἀν-αισθησία — бесчувственный (ср. заим. медицина) и др.

- в латинск. in: in-finitus — неограниченный, неопределенный;
 in-gnarus → ignarus — незнающий, несведущий;
 in-gnotus → ignotus — неизвестный, незнакомый;
 in-mobilis → immobilis — неподвижный;
 in-mortalis → immortalis — бессмертный и др.

¹ Dr. C. C. Uhlenbeck, Kurzgefasstes etymologisches Wörterbuch der altindischen Sprache. 1898 — 99.

в немецк. un: un-möglich — невозможный;
 un-zahl — несметное (количество);
 un-zeitig — несвоевременный;
 un-wert — недостойный;
 un-tüchtig — неспособный;
 un-trüglich — несомненный и др. (см. также
 выше санскр. примеры).

в француз. im || in: im-moblie — неподвижный, недвижимый;
 im-patient — нетерпеливый;
 im-pesunieux — безденежный;
 in-actif — бездеятельный;
 in-appliqué — нерадивый;
 in-comparable — несравненный и др.

Все приведенные выше примеры, согласно значению в русском литературном языке негативного у-, выделяют тот же отрицательный префикс а || an || un, что и фонетически и семантически вполне соответствует старославянскому Х (юс большой), в известных условиях, для древнейшей эпохи, почти во всех языках индо-европ. системы равному „гласной + носовой согласный“.

(Поступило в редакцию 20. VI. 1942)

პ. ზერაძე

ბერძნული საბრძოლო ელემენტი

საბრძოლო ელემენტის ბერძნულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. როგორც ფორმით, ისე შინაარსით იგი ბერძნულ საგმირო ეპოსთან არის დაკავშირებული. ელემენტი პირველ ცდას წარმოადგენს ლირიკის დარგში და ამიტომ როდია საკვირველი, რომ მას ემჩნევა იმ დიდი და ხანგრძლივი ტრადიციის გავლენა, რომელიც შექმნილი იყო ჰომეროსის პოეზიის მიერ.

ბერძნული საბრძოლო ელემენტი პირველად განვითარდა სწორედ იქ, სადაც ჩამოყალიბდა ჰომეროსის შემოქმედება; სახელდობრ — მცირე აზიის საბერძნეთში. პირველად ლიტერატურული სახე სწორედ მცირე აზიის ქ. ეფესოს მცხოვრებმა კალინემ (VII ს. დასაწყისი ძვ. წ.) მისცა. პოეტი სწორედ იმ დროს მოდგა-წეობდა, როდესაც კიმერიელების შემოტევა დაიწყო მცირე აზიაში. კალინეს ელემენტებში მოწოდებაა თავდადებისა და გმირობისაკენ. მოქალაქე რისხვით უნდა აღიმართოს მტერზე, რომ იხსნას თავისი თავი, ოჯახი და სამშობლო შერცხვენისა და დამცირებისაგან. საჭიროა თავგანწირული ბრძოლა, რადგან სიკვდილი მაინც მოვა ბედისწერის მიერ დადგენილ დროს. თითოეული ზე აღმართული შუბითა და მომარჯვებული ფარით უნდა ეკვეთოს მტერს.

1 D 5. თუ კი მებრძოლი დაჭრილია და ელის სიკვდილს დაე გასტყორცნოს მან ლახვარი უკანასკნელად. სასახელთა ვაჟყაცისათვის, სასიქადულთაც, მამულის მტერთან ბრძოლა შვილთათვის, ოჯახისთვის, სამშობლოსათვის, რადგან სიკვდილი ზომ მაინც მოვა, ოდეს_მორა მოგვივლინებს უამს აღსასრულის.

შეიძლება კაცი შინ დაბრუნდეს ომისაგან თავდადებული და იქ მოელოდებოდეს მას უბედურება, მაგრამ ხალხი მას არ სცემს პატივს.

მამაცის გამო დიდობა და პატარაც სტირის. ხალხისათვის მწუხარებაა სიკვდილი უდრეკ ვაჟყაცის. სიცოცხლეში კი მას სახავენ ღმერთის თანაბრად. მას შესტყერიან ვით სიმარგეს მტკიცედ აგებულს, რადგან ის ერთიც შეასრულებს საქმეს მრავალთა.



ასეთივე ხასიათისაა ტირტეოს შემოქმედებაც. იგი სპარტაში წეობდა მესენიის მეორე ომის დროს (645—628 ძვ. წ.). სამისნოს შიტითების მიხედვით ათენელებს იგი სპარტელთათვის დასახმარებლად გაუფიქრებიათ.

ტირტეო თავისი ელეგიებით აღაფრთოვანებს სპარტელებს, იგი მოუწოდებს მათ თავი დასდონ სამშობლოსათვის. პოეტი ერთი-მეორეს უპირისპირებს მამაცი მებრძოლისა და მშიშარას ხედვებს. მამაცი ყველას მიერ პატივდებულია, ხოლო მშიშარას კი წილად ხედება სირცხვილი, სხვის კარდაკარ ხეტიალი და შიმშილი.

პოეტი მოუწოდებს:

7 D. აბა ჭაბუკნო, ერთურთის გვერდით შეიჯარეთ შეურყვევლად,
არ უჭუიქცეთ მტრის წინაშე, არც შეუშინდეთ მის სიძლიერეს,
არამედ გული გაისაღკლდევეთ, აღიჭურვეთ უდრეკი სულით.
თავს ნუ დაზოგავთ მტერთან ბრძოლის დროს.
მათ კი მოხუცებს, მუხლში ძალა რომ მოჰკლებიათ,
ნულა დასტოვებთ ბრძოლის ველზე მიუსაფარად.
მიძიეა ხილვად, მოხუცი კაცი აგერ რომ გდია
ჭაბუკთა თვალწინ განგმირული საწყალობელად.

შემდგომ 8 D. ნაწყვეტში პოეტი ურჩევს, თუ როგორი სიმტკიცით უნდა გაუმკლავდნენ მტერთა სიძარავლეს, როგორ უნდა დაიცვან წესრიგი ბრძოლის დროს და როგორის სიმხნით უნდა შეხვდნენ თვით სიკვდილსაც კი. მებრძოლებს, რომლებიც შემჭიდროებულან და მტრის მოწინავე რიგებს ებრძვიან, სიკვდილი ვეღარას აკლებს და ისინი იფარავენ უკან მდგომთ. მშიშარანი კი უშაღ ილუპებიან და არავის ძალუძს სულ ბოლომდე წარმოიდგინოს ის თავლაფდასხნა, რაც მოელის იმ თვალდამდვარს, შიშისგან დამფრთხალს. პატიოსან მებრძოლს არ შეუძლია აპატიოს მას ასეთი ქცევა, და, აი, მშიშარა ზურგიდან თავისიანების მიერ განგმირული გდია ბრძოლის ველზე და ზიზღს აღძრავს მხოლოდ. ეს ნაწყვეტი ბრძოლის წესების შესახებ დარიგებით მთავრდება.

ტირტეოს ელეგიებში წარმოდგენილია ტრადიციით მიერ შექმნილი ის შეხედულებანი, დარიგებანი და მითითებანი, რომლებიც შემუშავებული იყო მამაცი მებრძოლის შესახებ ჯერ კიდევ საგმირო ხანაში, როდესაც გმირობა და სახელის მოხვეჭა მთავარ მიზანს შეადგენდა. „ილიადის“ გმირები დამცირებით იხსენიებენ მებრძოლებს, რომლებმაც სათანადოდ თავი ვერ გამოიჩინეს ბრძოლაში. ასე, მაგალითად, აქილეესი აგამემნონს სწორედ იმას უსაყვედურებს, რომ შენ ვერ ბედავ ჩვენთან ერთად ბრძოლაში შესვლასო („ილიადა“ I). ასევე ჰექტორს უხდება არა ერთხელ მიმართოს საყვედურით თავის ძმას პარისს, როცა იგი ზოგჯერ ცდილობს თავი მოარიდოს ბრძოლას და ურჩევნია უმეტესად დრო გაატაროს თავის მომხიბლველ მეუღლესთან. თვითონ ჰექტორი კარგად ხედავს იმ საფრთხეს, რომელსაც მას ომი განუშაღდებს, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს ბოლომდე („ილიადა“, VI).

ასე რომ, ტირტეოს ელეგიებში სავსებით არის ასახული ბერძნულ საგმირო ეპოსში დამკვიდრებული შეხედულებები, რომლებიც შედეგია ხანგრძლივი განვითარებისა. ამიტომაც ტირტეოს პოეზიას, ისე როგორც ჰომეროსის შემოქმედებას, ხალხური ელფერი სდევს.

ვაჟაკობისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირობისა კენ მთელი დება—იი ის უაღრესად დიადი მორალური პათოსი, რომლითაც არის გაღმურებული კალინესა და ტირტეოს ლირიკა.

ასეთივე ხასიათისა აგრეთვე ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, რომლებიც მსგავსივე გმირობისა და ვაჟაკობის ხოტბის პათოსით არის აღბეჭდილი. მეტად საგულისხმოა, რომ ხევსურულ ხალხურ ლექსებში ადგილი აქვს ასეთსავე დაპირისპირებას მამაცი და მშიშარა მებრძოლისა¹.

მაშინ კარგია კაი ყმა, დილა რომ ბინდი დგებოდეს,
იცვამდეს ჯაჭვის პერანგსა «ომსა ვიქმ» ემზადებოდეს.
ცხენი რომ ხრევედეს ლავამსა, წალმა-შკულმა ხტებოდეს.

კარგი ყმა ყველას მიერ პატივცემულია:

კას ყმას ნუ შურობთ სოფლელნო,—კაი ყმა სოფლის ფასია,
კაი ყმის ცხენი, აბჯარი, თავ-და-თავ ცუდის ფასია.

კაი ყმა მუდამ საფრთხეშია, მაგრამ ცუდთან შედარებით იგი მაინც, მკვლარიც კი, მეტად არის დაფასებული ვიდრე ცუდი ცოცხლად დარჩენილი.

ატირდა კაი ყმის ცოლი: „ალარ მამივა შინაო“.
იციინს ცუდაის ცოლი: „გამაიქცევა წინაო“
გამაქცეული მასვლასა არ-მასვლაი სჯობს შინაო.

კარგ ყმას ბრძოლის ველზე მოედის გმირული სიკვდილი, ხოლო ცუდი სირცხვილეული იქნება მუდამ, თვით მისი სიკვდილიც კი ცუდისათვის დამამკირებელ პირობაშია მოსალოდნელი:

კაი ყმა ლაშქარ მაჰკედების სწორების მჯობინობასა,
ცუდაი საცხვრის ყურესა, ქალღმში ლოჯინობასა.

ან კიდევ:

კაი ყმა ვმალსა ჩახედავს: „ნეტარ გამიჭრის, თუ არა?“
ცუდაი ქალის უბესა: „ნეტარ, შამიხვევს, თუ არა?“


კაი ყმა ყველას ხიბლავს, ხალხი სიყვარულითა და აღფრთოვანებით შესცქერის კარგ ყმებს; იხინი მოყვარეს ახარებენ თავისი სიკეთით, ხოლო მტერს თავზარს სცემენ:

ნეტავი თქვენსა დედასა, თქვენ დაუზრდიხართ შვილდა!
არ გინდათ პირის მბანა, არც წარბის წერა წვრილდა.
ეყოფა თქვენსა ერთგულსა თქვენი სურვილი ღზინდა,
აგრევე თქვენსა ორგულსა თქვენი სიცოცხლე ჭირადა.

ასეთივე აღტაცება და სიხარულია გამოთქმული ერთად შეკრებილ ვაჟაკათა რაზმის მიმართ:

¹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I. ხევსურული.

² ზ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. პირველი, რედ. ფ. გოგიჩაიშვილისა, ფედერაცია, 1937.



რა ტურფანი ხართ, ვაჟაკნოს ფერს ვერ შეგიცვლისთ ზამთარი. ამაშინ გამაგაწვეწენთ, გავიდას კვესურთ ლაშქარი, ცხენთა საფურკედ გიკაზმენ, რა ტურფა გკდებისთ აბჯარი!

ვაჟაკისათვის მთავარი მნშვნელობა მის გმირობასა და მამაცობას აქვს, ხოლო იარაღი როდია გადამწყვეტი:

ვაჟაკსა გული—რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო


ან კიდევ:

კმალსა სიმოკლე არ უშლის,—ფეკი წადგი და წაგძების;

ამრიგად, ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ასევეა დაპირისპირებული გმირი და ლაჩარი მებრძოლი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბერძნული საბრძოლო ელგეია მალალ წრეებში საგვარეულო წყობის დაშლის ეპოქაში არის შექმნილი, მაშინ როდესაც ხევსურულ ლექსები საგვარეულო წყობის პირობებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

* * *

ბერძნული საბრძოლო ელგეია გამართულია ორსტრიქონიანი ლექსით, რომელთაგან პირველი ჰეგზამეტრია, ხოლო მეორე—პენტამეტრი. ეს უკანასკნელი ჰეგზამეტრის სახეცვლილებას წარმოადგენს. ჰეგზამეტრი საგმირო პოემების ლექსია. იგი შედგება დაქტილებისაგან, ისე რომ შესაძლებელია დაქტილი შეიცვალოს სპონდით. ტერფთა რაოდენობა მასში ექვსს უდრის; ხოლო ცეზურა უმთავრესად ორგვარია: ვაჟური და ქალური. პირველი მესამე ტერფის გრძელი მარცვალის შემდგომ მოდის, ხოლო მეორე მესამე ტერფის მოკლე მარცვლის შემდგომ. ჰეგზამეტრის სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ცეზურის მიხედვით შეიძლება ვიფიქსირებოდეთ, რომ ჰეგზამეტრი ორი ნაწილისაგან უნდა იყოს შედგენილი, რადგან თითოეულ ნახევარში, ვაჟური თუ ქალური ცეზურის მიხედვით, მაინც სამი ხმის-ამაღლებიანი მარცვალი მოდის, იგულისხმება სწორედ ის მარცვალი, რომლითაც იწყება თითოეული ტერფი ჰეგზამეტრისა. ასე რომ ცეზურამდე სამ ხმის-ამაღლებიანი გრძელი—ტერფის დამწყები მარცვალია და ცეზურის შემდეგაც ასევე სამი ხმის-ამაღლებიანი მარცვალი რჩება.

მრავალი იყო ცდა ჰეგზამეტრის წარმოშობის გათვალისწინებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით საკითხი ისევ გადაუწყვეტელი რჩება. ჰეგზამეტრის წარმოშობის ახსნას ცდილობდნენ ძველი ირანული, ძველი გერმანული ან კიდევ ისევ ბერძნულსავე ლექსის მიხედვით, მაგრამ ამაოდ.

საქმეს ის აბრკოლებს, რომ ძველი ბერძნული ლექსი, სახელდობრ ჰომეროსის ლიური-საზომი, რომელსაც ზოგიერთები საფუძვლად უდებენ ჰეგზამეტრს, ჰეგზამეტრისაგან პრინციპულად განსხვავდება მით, რომ მას ახასიათებს მარცვალთა რაოდენობის დაცვა¹ და მასში არ ხდება ერთი გრძელი მარცვლით ორი მოკლე მარცვლის შენაცვლება, რაც ჰეგზამეტრის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს. ამის გამო, კ. მაისტერის შეხედულების თანახმად, ჰეგზამეტრი განვითარებული უნდა იყოს უცხო გავლენის მიხედვით². აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ხანის უკვე მეექვსე საუკუნიდან დაწყებული ჰეგზამეტრის ნაცვლად იამბიკური ტრიმეტრია გამოყენებული თვით ბერძნულ ეპიკურ ნაწარმოებშიაც კი. ამასთანავე ცნობილია, რომ ბერძნული ენისათვის უფრო ბუნებრივია იამბი ვიდრე დაქტილი, როგორც ამას თვითონ არისტოტელეც ადასტურებს (იხ. მისი პოეტიკა 4 p. 1449 a, 24 შმდ. რეტორიკა III, 8 p. 1408 b. 32 შმდ.).

და, ბოლოს, ცნობილია, თუ რაოდენი სიმძიმე აღიმართა საგმირო ეპოსის შემოქმედთა წინაშე დაქტილური ჰეგზამეტრით ბერძნული ლექსის გამართვისას, მაგ., მოკლე მარცვალთა ხელოვნური დაგროვლება, ან კიდევ უბრალოდ—მოკლე მარცვლის გრძლად მიჩნევა და სხვა.

ასე რომ, საძიებელია ის უცხო ლექსი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ბერძნული ჰეგზამეტრი.

საგულისხმოა, რომ ქართული ხალხური ლექსის ფორმა, სახელდობრ, ხევსურული და სვანური ლექსი ჰეგზამეტრის სახისანი არიან. როგორც ხევსურული „მთიბლური ლექსი“, ისე სვანური ხალხური ლექსიც სწორედ ჰეგზამეტრებია.

ხევსურული მთიბლური ლექსი შედგება ორი ნაწილად—ლექსისაგან. თითოეული ნაწილი შეიცავს სამ ტერფს და ორივე ერთად ექვსტერფიან ლექსს—ჰეგზამეტრს წარმოადგენს. განვიხილოთ თვით ლექსები:

ჯიმჯიმი:

ჯიმჯიმი¹ თიბდა სა²ზარელი³

ჯალაფთა¹ გაჯავრე² ბულია.

ცოტინიკაი დავეჩვიე

თიბას გუდამაყრელია³.

ეს ლექსი შეიძლება ასე დავყოთ: პირველი სიტყვა, სამმარცვლიანი, ერთ ტერფს შეიცავს, მეორე—ორმარცვლიანი, მესამე—ოთხმარცვლიანი, ერთად სულ სამ ტერფს შეიცავდეს იქნება. მეორე სტრიქონის პირველი სამმარცვლიანი სიტყვა ხომ პირველი ტერფი იქნება, ხოლო მეორე ექვსმარცვლიანი სიტყვა

¹ „Die altentümlichsten griechischen Verse sind demnach die silbenzählenden, in denen weder Auflösung einer langen Silbe in zwei kurze noch Zusammenziehung zweier kurzen in eine lange gibt“: Wil. Schmid, Geschichte der griechischen Literatur I, გვ. 42.

² K. Meister, Die homerische Kustsprache, გვ. 231: „... der Hexameter in letzter Linie auf einem phrygischen oder lykischen Verse beruht oder mit einem solchen im wesentlichen identisch ist“.

³ ა. შანიძე, op. cit. გვ. 296.



შეიძლება ორი ტერფის სახით წარმოვიდგინოთ. ამრიგად გამოდის, რომ მთლიანად ლური ლექსი ექვსტერფიანია, თითოეული სიტყვა შეიძლება შეიცავდეს ორ, სამ, ან კიდევ ზოგჯერ ოთხ მარცვალსაც, მაგრამ შესაძლებელია ოთხმარცვლიანმა სიტყვამ თავისი პირველი მარცვალი მის წინ მდებარე ორ მარცვლიანს შემატოს და მაშინ ხომ სამ-სამმარცვლიანი ტერფები გამოვა. აღსანიშნავია, რომ მთიბლურ ლექსს მარცვალთა მეტნაკლებობა ახასიათებს. ამგვარად შეიძლება ნახვეარ სტრიქონში 8—9 მარცვალი იყოს, ზოგჯერ 10 მარცვალი. ძირითადად მაინც 9 მარცვლიანი სკარბობს.

ასევე სვანური ლექსი, რომელიც თექვსმეტ მარცვალს შეიცავს, სავსებით ბუნებრივად ნაწილდება ექვს ტერფად. ასეთია, მაგალითად, ლილე¹:

ისგამი' დიდბინ' გოშია',
დიდება' თარინ' გლეხერის.

ან კიდევ:

დიდება თარინგლახელის
ისგვანი დიდაბინ გოში
ძღვიდიდი ჯაცხიპი ვოქვრეში
ლაღვანე ისგვი ვანარე
მაჩხფარ ზაგარ იბირღვეფელხ,
სვიფილდი მეტყვეფ ხორღელხ და სხვა.

ამნაირად, პირველი სტრიქონის სამი სიტყვა ცალკე ტერფებია თვითონ, ხოლო მეორე სტრიქონის მეორე სიტყვა ორ ტერფს შეიცავს, თავში კი ერთი სამმარცვლიანი სიტყვა „დიდება“ უზის. ამრიგად, სვანური ხალხური ლექსიც ექვსი ტერფისაგან შედგება. აგრეთვე, როგორც ბერძნულ ჰეგზამეტრს, ისე ქართულსაც ოითმა არ მოეპოვება. თუ ბერძნული ჰეგზამეტრის გამართვისას ბერძნული ენა ერთგვარ ძალდატანებას განიცდის, ქართულ ხალხურ პოეზიაში, როგორც ხევსურულში ისე სვანურში თავისი ძველი სახით ქართული ჰეგზამეტრი სავსებით ბუნებრივად თავსდება და დღემდე იგი რჩება, როგორც საგმირო, ისე სარწმუნოებრივი სიმღერების ძირითად საზომად. ქართული ჰეგზამეტრის შემდგომი განვითარებული სახე გვხვდება უკვე გარითმული ლექსის სახით, როგორც ხალხურ პოეზიაში ისე მწერლობაშიაც. უეჭველად ჰეგზამეტრი გახლავთ ეგრეთწოდებული დაბალი შაირის, ან უკეთ, გრძელი შაირის ლექსი, რომელიც თექვსმეტი მარცვლისაგან შედგება და შეიცავს ექვს ტერფს, მაგ., ხალხური:

მზეთ 'ამოდი', ამოდი', ნუ ე'ფარები' გორასა

რუსთაველი:

რომელმან 'შექმნა' სამყარო | 'ძალითა' მით ძლი' ერთთა

იყო 'არაბეთს' როსტევან | 'მეფე' ღვთისაგან' სვიანი.

¹ მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის, II: სვანური პოეზია. სიმღერები შუკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, მ. გუჯავაძისა და, 1939 წ. გვ. 312, 314, 315.

გარდა ამისა, გრძელი შაირის ორ-და სამმარცვლიან ტერფთა ცვლება გარკვეულ რიტმიული ხასიათის ცვლილებას იწვევს და ამ გარემოების მიხედვით ლექსის ცვალებადობა ბერძნულ ჰეგზამეტრში დაქტილების სპონდეებად შენაცვლებას მოგვგაონებს ხოლმე. მაგ., სხვადასხვანაირია რიტმულად ეს ლექსები გრძელი შაირისა¹:

3 2 3 3 2 3
რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა

2 3 3 3 2 3
თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ტრემლ დათხეული.

ცხადი უნდა იყოს, რომ მეორე სახის ლექსის რიტმი უფრო მძიმეა.

ზემონათქვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

1. შედარებულ ბერძნულსა და ქართულ ლექსს ტერფთა თანაბარი რაოდენობა აქვს;

2. როგორც ბერძნული, ისე ქართული ლექსი ორი ნახევრისაგან შედგება, რადგან ერთიცა და მეორეც ცეზურამდე სამ ხმის ამალლებას შეიცავს და

3. როგორც ჰეგზამეტრში დაქტილების სპონდეებად შეცვლა, ისე გრძელი შაირის ლექსში ორმარცვლიან ტერფთა ადგილის გადანაცვლება ლექსის რიტმის დამძიმებას იწვევს.

ამრიგად, ეს დაკვირვებანი ბერძნულ და ქართულ ლექსზე გვაფიქრებინებს, რომ როგორც უძველეს ბერძნულს, ისე ქართულ ლექსს ერთი, საერთო საფუძველი უნდა მოეპოებოდეს. შეიძლება ეს იყო ის წინაქართული, რომელსაც კ. მაისტერი ფრიგიულს და ლიკურს უწოდებს? ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიება დიდად ხელს შეუწყობს ჰეგზამეტრის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტას.

(შემოვიდა რედაქციაში 30. V. 1942)

ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა


П. Берадзе

Греческая боевая элегия

(Резюме)

Древнейшая греческая элегия представляла собой военную песню, которая развивалась на основе традиций гомеровских поэм. В элегиях Каллина и Тиртея встречается немало общих с гомеровскими поэмами мест. Поэмы Гомера заимствовали многое из народного творчества. Это

¹ იხ. ჩემი „რუსთაველის ლექსის რიტმი“, რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 215—240.



положение может быть распространено и на боевую элегию, которая является как бы переходной ступенью между эпосом и собственно лирикой.

Следует особо отметить, что в грузинском народном творчестве, в частности в хевсурских песнях, подобно элегиям Каллина и Тиртея, сопоставляется храбрый и трусливый воин. И не только сюжетная сторона роднит между собой хевсурскую и греческую боевые песни, но и стихотворный размер хевсурской песни является настолько близким к греческому гекзаметру, что невольно приходится обратить внимание на это обстоятельство, тем более, что ученым пока еще не удалось дать правильное объяснение генезису гекзамetra. При изучении вопроса об основах гекзамetra, К. Мейстер приходит к следующему заключению: „Wir müssen auch mit der Möglichkeit rechnen, dass — — — der Hexameter in letzter Linie auf einem phrygischen oder lykischen Verse beruht oder gar mit einem solchen im wesentlichen identisch ist“. (К. Мейстер, Die homerische Kunstsprache, 1921, S. 231).

В хевсурской народной поэзии сохранился шестистопный нерифмованный стих — так называемый „мтибури“. Состоит этот стих из двух половин, причем в каждой по три стопы, а стопа содержит в себе преимущественно три слога. Следовательно, в одном стихе „мтибури“ будем иметь шесть стоп. Дальнейшее развитие „мтибури“ — шестнадцатисложный рифмованный стих — длинный шаири, который состоит из четырех трехсложных и двух двухсложных стоп. Таким образом грузинский и греческий *versus heroicus* имеют между собой так много общего, что возможно предположить следующее: грузинский шестистопный стих сперва в виде „мтибури“, а затем длинного шаири, с одной стороны, и греческий гекзаметр, с другой, имеют общую основу.

ალ. ჯავახიშვილი


რელიეფის დახრილობა

რელიეფის გარეგნობის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას უსწორმასწორობა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი მრავალნაირ გამოხატულებას ჰპოვებს რელიეფის გარეგნობაში. რელიეფის უსწორმასწორობათა ნაირნაირობა შეპირობებულია დედამიწის ზედაპირის ცალკეული ნაკვეთების ნაირნაირ დახრილობებთან. შეიძლება ვთქვათ, რომ დახრილობა წარმოადგენს რელიეფის უსწორმასწორობათა ფუნქციას. ამიტომ რელიეფის გარეგნობის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზედაპირის დახრილობას. მიუხედავად ამისა, გეომორფოლოგიურ ლიტერატურაში რელიეფის დახრილობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაშუქებული. ამ მოკლე ნარკვევით ავტორს სურს რამდენიმედ მაინც გააშუქოს რელიეფის დახრილობის ზოგიერთი საკითხი: მისი გეომორფოლოგიური მნიშვნელობა, რელიეფის დახრილობათა ხასიათი და ხარისხი და მათი ასახვის მეთოდების საკითხი, და ამით გაამახვილოს გეომორფოლოგ-მკვლევართა ყურადღება რელიეფის გარეგნობის ამ ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან თვისებაზე.

რელიეფის დახრილობათა გეომორფოლოგიური მნიშვნელობა

რელიეფის ცალკეულ ფორმათათვის დამახასიათებელია ტიპური გარეგნობა, რაც შეპირობებულია ამ ფორმათა ზედაპირის დახრილობათა ტიპურობასთან. რელიეფის ზედაპირის დახრილობათა ტიპურობა გამოხატულია რელიეფის დახრილობის როგორც ხასიათში, ასევე მის ხარისხშიც. მაგალითისთვის განვიხილოთ რელიეფის რამდენიმე ძირითადი ფორმა.

ვაკე თავისი ზედაპირის დახრილობის სუსტი გამოხატულებით მნიშვნელოვნად განსხვავდება რელიეფის დანარჩენი ძირითადი ფორმებისაგან. დახრილობის ამ სუსტი გამოხატულების გამო, ვაკის ზედაპირის დახრილობანი შესამჩნევი ხდება შედარებით მეტ მანძილზე, ვიდრე დანარჩენ ძირითად ფორმებში.



დახრილობის ხასიათის მხრივ შეიძლება მაინც განვასხვავოთ ვაკის სხვადასხვა მორფოგრაფიული ტიპები:

- ა) ბრტყელი ვაკე, რომლის ზედაპირის უსწორმასწორობანი ძლიერ სუსტადაა გამოხატული და თითქმის შეუმჩნეველი ხდება;
- ბ) ჩაზნექილი ვაკე, რომლის ზედაპირი სუსტად დახრილია პერიფერიიდან შიგნით გარკვეული ადგილისაკენ;
- გ) ამობურცული ვაკე, რომლის ზედაპირი დახრილია უმაღლესი ადგილიდან გარე მხრისკენ;
- დ) დეღუფრი ვაკე, რომლის ზედაპირზე დახრილობანი თანამიმდევრობით იცვლებიან საწინააღმდეგო მიმართულებით;
- ე) საფეხურებრივი ვაკე—სუსტად დაქანებულ ზოლს ზედაპირისას მისდევს ვიწრო ზოლი შესამჩნევი ან მნიშვნელოვანი დახრილობით;
- ვ) ბორცვიანი ვაკე—დახრილობანი განვითარებულია შესამჩნევად კუნძულებრივ, კონცენტრულად ბორცვების გავრცელების ადგილებზე;
- ზ) სუსტად დახრამული ვაკე—ბრტყელი ზედაპირის ერთგვარობას არღვევს ვაკის ზედაპირში ჩაჭრილი იშვიათი ხრამების არა ღრმა, მაგრამ მკაცრი დახრილობანი;

თ) დახრამული ვაკე—ვაკის ბრტყელი ზედაპირი შესამჩნევად დახრამულია მრავალი ხრამებით, და სუსტი დახრილობის სიგრეეები ხშირად მორიგობენ არა ღრმა, მაგრამ მკაცრი დახრილობის ადგილებთან.

ვაკეები შეიძლება განვასხვავოთ აგრეთვე მათი ზედაპირის გაბატონებული დახრილობის მიმართულებითაც და გამოვყოთ შემდეგი ტიპები: ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ დახრილი ვაკე.

ვაკეების ზედაპირის საერთო სუსტი დახრილობის გამო, განსხვავება მათი დახრილობის ხარისხის მიხედვით ნაკლებ თვალსაჩინოა, მაგრამ მაინც შეიძლება გამოვყოთ პირობით ვაკის სამი ტიპი:

თითქმის ჰორიზონტული ვაკე—ზედაპირის უმნიშვნელო და შეუმჩნეველი დახრილობით;

ოდნავ დახრილი ვაკე—ზედაპირის შესამჩნევი დახრილობით;

დახრილი ვაკე—ზედაპირის მნიშვნელოვანი დახრილობით.

რომ ვაკის დასახელებული ტიპების განმარტებას არ მიეცეს ნებითი ხასიათი, შეიძლება თითოეული ამ ტიპისათვის დახრილობის ხარისხის საზომად მივიღოთ პირობით დახრილობის რიცხვობრივი მაჩვენებლები, მაგალითად:

ვაკის ტიპები	დახრილობის მაჩვენებელი	
	შეფარდებითი	კუთხითი
თითქმის ჰორიზონტული	— 0,01	— 0°30'
ოდნავ დახრილი	0,01 — 0,03	0°30' — 2°
დახრილი	0,04 — 0,09	2° — 5°

ფერდობი (ხეობის ან მთის) წარმოადგენს რელიეფის ფორმითა და ხარისხით ჯგერდობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალიტს; მასში ძირითადად რელიეფის მნიშვნელოვანი უსწორმასწორობანი და ნაირნაირობანი.

ფერდობები გამოხატავენ მეტი სიძლიერით რელიეფის დახრილობის ყველა ძირითად ტიპს, როგორც დახრილობის ხასიათისა, აგრეთვე ხარისხის მიხედვითაც.

ფერდობებიც თავიანთი ზედაპირის დახრილობის ხასიათის მიხედვით, მსგავსად ვაკეებისა, შეიძლება იყოს: ბრტყელი ან თანაბრად დახრილი, ჩაზნექილი, ამობურცული ან გამოზნექილი, საფეხურებრივი, კლაკნილი, ბორცვიანი, სუსტად დახრამული, დახრამულ-დასერილი, დახრილი ცალმხრივ და სხვადასხვა მხრივ. ხოლო, განსხვავებით ვაკეებისაგან, ფერდობთა აღნიშნული სახეები ხასიათდებიან მეტ-ნაკლები ვერტიკალური განვითარებით და, ამასთან დაკავშირებით, ვაკეებთან შედარებით, განსხვავებული რელიეფის დახრილობის სახეებსაც წარმოადგენენ.

ზედაპირის დახრილობის ხარისხის მიხედვით შეიძლება პირობით განვასხვავოთ ფერდობთა რამდენიმე ტიპი: ოდნავ დაქანებული, სუსტად დაქანებული, დახრილი, ძლიერ დახრილი, ციცაბო, ფრიალო, გადმოკიდებული და წამოხურული ფერდობი, დახრილობის შემდეგი რიცხვობრივი მაჩვენებლებით:

ფერდობის ტიპი:	დახრილობის მაჩვენებელი	
	შეფარდებითი	კუთხითი
ოდნავ დაქანებული ფერდობი	0,01 — 0,09	1 — 5°
სუსტად დაქანებული "	0,1 — 1,5	5 — 10°
დახრილი "	0,2 — 0,3	10 — 20°
ძლიერ დახრილი "	0,4 — 0,6	20 — 30°
ციცაბო "	0,7 — 1,0	30 — 45°
ფრიალო "	1,0-ზე მეტი	45 — 90°
გადმოკიდებული "	—	90 — 140°
წამოხურული "	—	140 — 180°

ხეობა ზედაპირის დახრილობის ხასიათისა და ხარისხის მხრივ შეიცავს ორ მნიშვნელოვნად განსხვავებულ ნაწილს: გვერდებს ან ფერდობებს და ძირს.

ხეობის თითოეული გვერდის დახრილობის განმარტების დროს ვსარგებლობთ ზემოთ მოყვანილი ფერდობისთვის განმარტებებით. ხოლო, თუ ავიღებთ ხეობის ორივე ფერდობს ერთად და დავუპირისპირებთ მათ ერთმანეთს მათი დახრილობის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით, შეგვიძლია ხეობებს შო-



რის განვასხვავოთ—ხეობები ფერდობების ერთგვარი დახრილობის და სხედასხვაგვარი ხასიათით. ფერდობების დახრილობის ხარისხის შეიძლება გამოვყოთ ხეობათა შემდეგი ტიპები: სიმეტრიული და ასიმეტრიული, ვიწრო, განიერი და ღრმა.

ხეობის ძირზე ზედაპირის დახრილობის ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავდება ფერდობისაგან. ხეობის გასწვრივი მიმართულებით მისი ძირის დახრილობა საერთოდ ჩაზნექილ სურათს იძლევა, ხოლო ხეობის ძირის ცალკეულ ნაკვეთებში დახრილობის ხასიათი ცვალებადია: ზოგან იგი მოვაკებას იჩენს, ზოგან საფეხურებრივ ეშვება. დახრილობის ხარისხით ხეობის ძირის ზემო წელი უფრო ფერდობებს უახლოვდება, ხოლო ქვემო წელით—უფრო ვაკეს.

ხეობის ძირის დახრილობანი გარდიგარდმო მიმართულებით განსხვავებულ სურათს იძლევიან შედარებით დახრილობებთან ხეობის გასწვრივი მიმართულებისა. გარდიგარდმო მიმართულებით ხეობის ძირის დახრილობანი მოპირდაპირე მხარეებისა შეიძლება კვლავ იყოს სიმეტრიული და არასიმეტრიული, ვიწრო და განიერი, ბრტყელი, დეფურტი ან საფეხურებრივი, თითქმის ჰორიზონტული, ოდნავ დაქანებული, დახრილი და სხვ.

მთა დახრილობათა ხასიათის და ხარისხის ცვალებადობით თავისი ზედაპირის სხედასხვა მხარეზე მნიშვნელოვნად განსხვავდება რელიეფის დანარჩენი ფორმებისაგან. ამ მხრივ შედარებით მარტივ სურათს იძლევიან ვულკანური კონუსური მთები, რომელთა დახრილობის ხასიათი უფრო ერთგვარია მთის ირგვლივ, დახრილობის ხარისხი კი ცვალებადია.

ზედაპირის დახრილობათა ხასიათისა და ხარისხის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ მთათა მრავალი სახე: კონუსისებური, პირამიდისებური, ზარისებური, გუმბათისებური, საბძლისებური, მაგიდისებური, უნაგირა, ზურგანი, კუზიანი, დაკბილული და სხვა მთები.

ქედით, ხეობის მსგავსად, ზედაპირის დახრილობის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით, შეიცავს ორ მნიშვნელოვნად განსხვავებულ ნაწილს: ფერდობებს და თხემს. აღარ გავიგეორებთ ცალკეული ფერდობის და ორივე ფერდობის ერთობლივ თავისებურებებს, რადგან ეს ანალოგიური შემთხვევები ზემოთ უკვე განვიხილეთ; შევჩერდებით მხოლოდ თხემის თავისებურებებზე. თუ თხემს გლუვ ან გადაბრტყელებული ზედაპირი აქვს, მაშინ მისი დახრილობის ხასიათი შედარებით მარტივი სახეებით განიმარტება და მიუახლოვდება ან ხეობის ძირის გასწვრივ სახეებს, ან ვაკიანი ზედაპირისას. უფრო ხშირია, როცა მაღალი ქედის თხემი დანაწევრებულია და ძლიერ დენუდირებული; ამ შემთხვევაში ზედაპირის დახრილობანი, როგორც ხასიათით, აგრეთვე წარმოდგენილი არიან უამრავი სახესხვაობით. სწორედ ამით განსხვავდებიან ქედთხემები რელიეფის სხვა ფორმებს შორის.

არა მარტო რელიეფის ცალკეული ფორმები თავიანთი ტიპური გარეგნობით იჩენენ ტიპურობას თავიანთი ზედაპირის დახრილობის ხასიათითა და ხარისხით, არამედ რელიეფიც მთლიანად შეიძლება დავახასიათოთ გარკვეული

სახისა და ხარისხის დახრილობით, და ეს ბუნებრივიც არის, რადგან რელიეფის გარკვეული ტიპი ხომ რელიეფის გარკვეული ფორმებით ხასიათდება.

ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ რელიეფის შემდეგი გეომორფოგრაფიული ტიპები:

1. წვრილი რელიეფი—ძლიერ და შედარებით თანაბრად დანაწევრებული, დახრილობათა ერთნაირი ხასიათი და ხარისხი გამოვლინებულია შედარებით მცირე მანძილებზე და მცირე ფართობებით.

2. მსხვილი რელიეფი—დანაწევრებული მსხვილ ერთეულებად, რომლებიც მრავალ წვრილ ნაწილებად იყოფიან; დახრილობათა ერთნაირი ხასიათი და ხარისხი გამოვლინდება შედარებით მეტ მანძილზე და მეტი ფართობით.

3. საშუალო რელიეფი—ზემოთ მოყვანილი რელიეფის ტიპებს შორის გარდამავალს წარმოადგენს.

4. ნაზი რელიეფი—შეიძლება შედგებოდეს როგორც წვრილი და საშუალო, აგრეთვე მსხვილი ფორმებისაგან, ხოლო ზედაპირის დახრილობანი როგორც ხასიათით, აგრეთვე ხარისხით უნდა იცვლებოდნენ თანდათანობითა და თანამიმდევრობით.

5. მკაცრი რელიეფი ხასიათდება წინანდელის საწინააღმდეგო თვისებებით; ზედაპირის მცირე მანძილზე რელიეფის დახრილობანი მკაცრად იცვლება როგორც სახით, აგრეთვე ხარისხობრივადაც.

6. ღრმა რელიეფი—ღრმად დანაწევრებული, დიდი შეფარდებითი სიმაღლეებით, დახრილობათა მაღალი ხარისხის მაჩვენებლებით.

7. ერთგვარი რელიეფი—დახრილობათა ერთგვარი სახითა და ხარისხით.


8. მარტივი ან სადა რელიეფი—დახრილობათა ერთგვარი სახითა და ხარისხის სუსტი მაჩვენებლებით.

9. რთული ან მრავალგვარი რელიეფი—დახრილობათა სახეებისა და ხარისხის ძლიერი ცვალებადობით.

რელიეფის დანარჩენი კატეგორიები:

10. ბრტყელი, 11. გაშლილი, 12. დელფური, 13. ჩაზნექილი,
14. ამობურცული, 15. მაგიდისებური, 16. საფეხურებრივი,
17. ვაკიანი, 18. ბორცვიანი, 19. გორაკიანი, 20. მთა-ხეობიანი,
21. დაბალმთიანი, 22. საშუალომთიანი, 23. მაღალმთიანი,
24. სუსტად დახრამული, 25. დახრამულ-დასერილი, 26. თითქმის ჰორიზონტული, 27. ოდნავ დაქანებული, 28. დახრილი,
29. ძლიერ დახრილი, 30. ციცაბო—ფრიალო—ღრატოიანი.

აქ ჩამოთვლილ კატეგორიებზე იყო ლაპარაკი რელიეფის ცალკეული ფორმების განხილვის დროს და ამიტომ ისინი უკვე აღარ საჭიროებენ კვლავ განმარტებას.



რელიეფის მორფოგენეტიური ტიპები და მათი ზედაპირის დახრილობის თავისებურებანი

თუ რელიეფის ფორმათა და აგრეთვე მთლიანად რელიეფის გეომორფოგრაფიული ტიპები იჩენენ გარკვეულ თავისებურებებს ზედაპირის დახრილობათა მხრივ, უნებლიედ იზადება საკითხი: არსებობს თუ არა გარკვეული დამოკიდებულება გეომორფოგენეტიურ ტიპებსა და დახრილობათა გარკვეულ სახეებსა და ხარისხს შორის. გადავავლოთ თვალი რელიეფის მთავარ მორფოგენეტიურ ტიპებს.

აკუმულაციური რელიეფი ხასიათდება ბრტყელი, სადა, ვაკიანი, ზოგჯერ დელტური, სერებიან-ბორცვიანი, თითქმის ჰორიზონტული ან სუსტად დახრილი ზედაპირით, და ამგვარი თვისებების რელიეფის ზედაპირის დახრილობათა ხასიათი და ხარისხიც ხომ დამახასიათებელია.

ეროზიული რელიეფი დაბალი ვაკის, პლატოს, მაგიდა ქვეყნის, მაღალმთიანი მხარის ერთმანეთისაგან განსხვავდება, და ამიტომ რელიეფის ამ მორფოგენეტიური კატეგორიებისათვის დახრილობათა თავისებურებანიც განსხვავებულია.

ეროზიულ-აკუმულაციური რელიეფი, რომელიც ხეობათა ტერასებიან რელიეფში ჰპოვებს მკაფიო გამოხატულებას, ხასიათდება საფეხურებრივი დახრილობის ტიპით.

კარსტული რელიეფი თავისი ტიპური ფორმებით, ჩაწოლილი, დაწეული, ჩაზნექილი ზედაპირით, გამოქვაბულობებით ზედაპირის დახრილობათა თავისებურ ტიპებს აჩენს. გამოქვაბულობებში ვხვდებით დახრილობის იშვიათ სახეს—ზედაპირის წამოზურულ სახეს, დახრილობის კუთხით 140—180°.

სოლიფლუაკციური რელიეფი თავისი წვრილი და მრავალსაფეხურებიანი ზედაპირით დახრილობათა სხვა პირობებს წარმოშობს.

გლაციოგენური რელიეფი—მაღალმთიანი, მაღალსივანედების და შიდაკონტინენტური მხარეებისა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ყველას ახასიათებს ფორმათა გარკვეული კომპლექსი, განსხვავებული ფორმათა სხვა კომპლექსებისაგან. გლაციოგენური რელიეფის აკუმულაციურ და ეროზიულ ფორმათა კომპლექსი ზედაპირის თავისი დადებითი და უარყოფითი ფორმებით ჰქმნის დაპირისპირებას რელიეფის გარეგნობაში, რასაც უპასუხებენ ზედაპირის დახრილობის განსხვავებებიც.

ეოლური რელიეფი—უმთავრესად აკუმულაციური, გამწილი ზედაპირის, თავისი წვრილი მოძრავი ფორმებით, ჩვეულებრივ ძლიერი გამოფიტვის, ბორცვ-გორაკიან-სერებიანი. ზედაპირის დახრილობის სახისა და ხარისხის მხრივ უახლოვდება ვაკის გორაკ-სერებიან ტიპს დმ წარმოადგენს განსაკუთრებულ სახესხვაობას.

პეტრომორფული რელიეფი—ჰპოვებს მკაფიო გამოხატულებას ადგილის ლითოლოგიური შედგენილობის შემთხვევაში მკვრივი და ნალექი ჯიშებისაგან. საერთოდ რელიეფის წარმოშობისა და გარდაქმნის ეგზოგენური პროცესები გრანიტებში, ქვაკირებში, ქვაქვიშებში, ლიოსში, დელუვიურ ნაფე-

ნებში და სხვ. განსხვავებულად მიმდინარეობენ და ეს სხვადასხვა სახით მიმდინარეობს. თული პროცესები აპირობებენ სხვადასხვა ტიპის რელიეფის ფორმების დასახლებას. თვით რელიეფსაც აძლევენ თავისებურ ხასიათს. რელიეფის ფორმათა და მთლიანად რელიეფის გარეგნობის თავისებურების ერთ-ერთ მთავარ გამომსახველს ზედაპირის დახრილობა წარმოადგენს.

ვულკანოგენური რელიეფი შეპირობებულია ვულკანური პროცესის ხასიათთან, ვულკანურ პროდუქტთა განლაგებასთან და გავრცელებასთან, სუბსტრატის იმ სტრუქტურულ პირობებთან, რომლებშიც წარმოებს ვულკანური პროცესი და რომელზეც ვრცელდებიან ამონთხეული ვულკანური პროდუქტები. ლავიანი საფარები, ლავიანი ღვარები, ვულკანური კონუსები, ლაკოლიტები, დაიკები, ძარღვები და სხვ. აძლევენ რელიეფის ზედაპირს დამახასიათებელ გამომეტყველებას, რაც ძირითადად ზედაპირის დახრილობათა ტიპურობაში გამოიხატება.

ზემო განხილვით ჩვენ გვინდოდა გავგეღრმავებინა ყურადღება რელიეფის ზედაპირის დახრილობაზე, როგორც თვისებაზე, რომელიც კანონზომიერად შეპირობებულია რელიეფის მორფოგრაფიულ და მორფოგენეზურ თავისებურებებთან, და ამით ნათელგვეყო რელიეფის დახრილობათა შესწავლის სერიოზული გეომორფოლოგიური მნიშვნელობა. ახლა შევხებით რელიეფის დახრილობათა შესწავლის მეთოდის საკითხებს.

რელიეფის დახრილობათა ხასიათისა და ხარისხის შესწავლის მეთოდი

რელიეფის ზედაპირის დახრილობათა შესწავლის მეთოდი უნდა არკვევდეს ამ დახრილობის ხასიათისა და ხარისხის კატეგორიებს და ადგენდეს მათი ასახვის წესებს.

რელიეფის ზედაპირის დახრილობათა ხასიათის მთავარი ტიპები. ზემოგანხილვის თვალსაზრისით მრავალი კარტოგრაფიული მასალის გაცნობა და ანალიზი გვაძლევს საფუძველს დახრილობათა მთავარ ტიპებად ვცნოთ შემდეგი:

1. ბრტყელი ან თანაბრად დახრილი რელიეფი,
2. ჩაზნექილი ან ჩაწოლილი რელიეფი,
3. ამობურცული ან გამოზნექილი რელიეფი,
4. საფეხურებრივი რელიეფი,
5. კლაკნილი რელიეფი.

რასაკვირველია, თითოეული ამ კატეგორიათაგანი გავრცელებულია რელიეფის ფორმისა და მთლიანად რელიეფის განსაზღვრულ ნაკვეთებში, და შეიძლება ხშირად რელიეფის ცალკეული ფორმა დახრილობის სხვადასხვა ტიპს შეიცავდეს, ხოლო დახრილობათა წარმოდგენილი კატეგორიები ტიპურია გარკვეულ ფორმათათვის და რელიეფის ამა თუ იმ სახისათვის.

რელიეფის დახრილობათა ხარისხის მთავარი კატეგორიები. რელიეფის დახრილობათა ხარისხის განსხვავებისათვის ჩვენ ვღებულობთ რელიეფის შემდეგ მთავარ ცხრა კატეგორიას, რამდენიმე ქვეკატეგორიით, განსაზღვრულს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მაჩვენებლებით:



№ რიგზე	რელიეფის კატეგორიები დახრილობის ხარისხის მიხედვით	დახრილობის მაჩვენებელი	
		შეფარდებითი კოეფიციენტი	კ უ თ ხ ე
1	თითქმის ჰორიზონტული რელიეფი . . .	0,01-მდე	{ 0°01' — 0°30' 0°30' — 1°
2	ოდნავ დაქანებული რელიეფი	0,02 — 0,04	
		0,04 — 0,05	2 — 3°
		0,05 — 0,07	3 — 4°
		0,07 — 0,09	4 — 5°
3	სუსტად დაქანებული "	0,1 — 0,2	5 — 10°
4	ზომიერად დახრილი "	0,2 — 0,4	10 — 20°
5	ძლიერ დახრილი "	0,4 — 0,6	20 — 30°
6	ციცაბო "	0,6 — 1,0	30 — 45°
7	ფრიალო "	—	45 — 90°
8	გადმოკიდებული "	—	90 — 140°
9	წამოზურული "	—	140 — 180°

რელიეფის დახრილობათა ხასიათისა და ხარისხის ასახვის მეთოდოლოგია

რელიეფის დახრილობათა ხასიათის ასახვას ვღებულობთ რელიეფის გამოსახვის კარტოგრაფიული წესით—ჰორიზონტალების შემწეობით. რუკაზე ამ უკანასკნელთა თანამიმდევრობის ხასიათი იძლევა რელიეფის დახრილობის ამა თუ იმ ტიპის სურათს: თანაბრად დახრილის ან ბრტყელი რელიეფის, ჩაწოლილი ან ჩაზნექილი, ამოზურული ან ამოზნექილი, საფეხურებრივი ან კლაკნილი რელიეფისას.

რელიეფის დახრილობათა ხასიათის გამოსახვისთვის შეიძლება მივმართოთ რელიეფის ჰიფსომეტრიული განაკვეთების შედგენის წესს იმავე ჰიფსომეტრიული რუკების საფუძველზე.

რასაკვირველია, ფოტოგრაფირებისა და პერსპექტიული აგეგმვის წესებით აგრეთვე შეგვიძლია ველის პირობებში გამოვხატოთ რელიეფის დახრილობათა ხასიათი.

რელიეფის დახრილობათა ხარისხის გამოსახვისთვის კარტოგრაფია მიმართავს სამ წესს:



1. რელიეფის დაფერადებისას სხვადასხვა ტონით დახრილობის ლელები სიძლიერის გამოსახატავად,

2. რელიეფის დაშტრიხებისას, რომლითაც სხვადასხვა სისქის და სიხშირის შტრიხებით გამოიხატება დახრილობის მეტ-ნაკლები სიძლიერე. ცნობილია რელიეფის დახრილობათა ხარისხის გამოსახატავად სხვადასხვა შკალები: ლემანის, მიუფლინგის, გერმანული, ავსტრიული, ბოლოტოვის, რუსეთის სამხედრო ტოპოგრაფიული სამმართველოსი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წესით რელიეფში დახრილობათა მეტ-ნაკლები სიძლიერე მკაფიოდ გამოიხატება, ამ წესის უარყოფითს მხარეს წარმოადგენს ის, რომ ამ წესით რელიეფის გამოსახვა დიდ დროსა და შრომას მოითხოვს, და მეორეც ის, რომ რელიეფის დახრილობის ხარისხის ამოკითხვა თხოულობს შტრიხების გამოთვლას და ანგარიშს რუკის თითოეული ნაკვეთისათვის ცალ-ცალკე; ამიტომ შეუძლებელია დახრილობის ხარისხის ამოკითხვა ადვილად და სწრაფად და ერთდროულად დიდ ფართობზე.

3. რელიეფის დახრილობის ხარისხის გამოსახატავად აგრეთვე მიმართავენ კომბინირებულ წესს—შტრიხებისას და ჰორიზონტალებისას ერთად, რითაც დახრილობის ხარისხის სურათთან ერთად ვლემბულობით სიმალეების ამოკითხვის შესაძლებლობასაც.

რელიეფის დახრილობის ხარისხის ასახვის მარტივი და თვალსაჩინო წესი. თუ რელიეფის დახრილობის ხასიათის გამოხატველი დღეს არსებული წესები შეიძლება ჯერჯერობით გვაკმაყოფილებდეს, რელიეფის დახრილობის ხარისხის ასახვის ზემოთ დასახელებული წესები გეომორფოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით არ გვაკმაყოფილებს; ამიტომ საჭიროდ მივიჩნით დახრილობის ხარისხის ასახვის ისეთი წესი გამოგვეჩაზა, რომლითაც უფრო ადვილად ავსახავდით რუკაზე დახრილობათა ხარისხს, უფრო ადვილად ამოვიკითხავდით ამ ხარისხის კატეგორიებს და ამასთანავე გავიადვილებდით ამ წესით დამუშავებული ნახაზების შემოწმებით მიმოხილვას რელიეფის ფორმების და მთლიანად რელიეფის სხვადასხვა ტიპისას, დაკავშირებით რელიეფის ზედაბირის დახრილობათა ხარისხთან.

ამისთვის საჭირო იყო ჯერ რელიეფის დახრილობის ხარისხის კატეგორიების დადგენა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რელიეფის დახრილობის ხარისხის განსხვავებისთვის ჩვენ მივიღეთ ცხრა მთავარი კატეგორია: თითქმის ჰორიზონტული, ოდნავ დაქანებული, სუსტად დაქანებული, ზომიერად დახრილი, ძლიერ დახრილი, ციცაბო, ფრიალო, გადმოკიდებული და წამოხურული.

მოზრტყელებული, ვაკიანი და გაშლილი სახის რელიეფში, დახრილობათა მეტი გამოვლინებისთვის, პირველი ორი კატეგორია—თითქმის ჰორიზონტული და ოდნავ დაქანებული—დაყოფილია უფრო მცირე მაჩვენებლებით ქვეკატეგორიებად, როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილშია ნაჩვენები.

მთიან მხარეებში არაიშვიათად ვხვდებით ხეობების ძირზე გადმოკიდებულ მთის ფერდობებს; ამ შემთხვევებისთვის გამოყოფილია ცალკე კატეგორია



გადმოკიდებული დახრილობისა, 90—140°-ის მაჩვენებლებით. კარსტული მხარეებში ხშირია გამოქვაბულები, რომელთა დახრილობის აღსანიშნავად შევიღეთ წამოხურული რელიეფის კატეგორია, 140—180°-ის მაჩვენებლებით.

ამ კატეგორიებით შეგვიძლია ვისარგებლოთ როგორც ველად კვლევის დროს, გეომორფოლოგიური აგეგმვისათვის, აგრეთვე ტოპოგრაფიული რუკების შემწეობით რელიეფის დახრილობათა ასახვის დროს, რელიეფის დახრილობათა რუკების შედგენისათვის.

რელიეფის დახრილობათა რუკის შედგენის წესი. რელიეფის დახრილობათა რუკის შესადგენად პირველ რიგში საჭიროა რელიეფის დახრილობათა კატეგორიების შესაბამისად შკალის დადგენა, ე. ი. გარკვევა რუკაზე ჰორიზონტალების რიცხვისა, რომელიც შესაბამება რელიეფის დახრილობის თითოეულ კატეგორიას, და თითოეულ ამ კატეგორიისთვის შესაბამე ჰორიზონტალების სიხშირის შკალის ახაზვა. ჰორიზონტალების სიხშირის შკალით ჰორიზონტალებიან რუკაზე შეგვიძლია ადვილად და ჩქარა გავარკვიოთ რუკის თითოეული ადგილის დახრილობის ხარისხი.

ამის შემდეგ რელიეფის დახრილობის ხარისხის რუკის შესადგენად საჭიროა რუკის ლეგენდის შერჩევა. ზემოხსენებული შკალა უკვე წარმოადგენს საფუძველს ამ ლეგენდისათვის: საჭიროა მხოლოდ შკალის თითოეული კატეგორიისთვის შესაფერი ფერების შერჩევა ისეთი თანამიმდევრობით, რომ გადასვლა შკალის ერთი კატეგორიიდან მეორისაკენ ფერებშიც თანამიმდევრობით იყოს წარმოდგენილი.

აპრიგად, რელიეფის დახრილობის ხარისხის რუკის შედგენა მოითხოვს საკვლევი ადგილის ჰორიზონტალებიან რუკაზე გამოყოფას დახრილობის ხარისხის ცალკეული კატეგორიებისას, მიღებული შკალის მიხედვით, და ამ უკანასკნელების შეფერადებას მიღებული ლეგენდის მიხედვით. რელიეფის დახრილობის ხარისხის რუკა იმით განსხვავდება ჰორიზონტალებიანი რუკისგან, რომ უკანასკნელიც, მართალია, გამოსახავს ჰორიზონტალების სიხშირით დახრილობის ხარისხს, მაგრამ იგი პირდაპირ არ იძლევა ამ დახრილობის ხარისხის რიცხვობრივ მნიშვნელობას; რელიეფის დახრილობის რუკა კი გვაძლევს უშუალოდ და მარტივად დახრილობის ხარისხის მაჩვენებელს და გვიადვილებს რელიეფის ფორმათა და მთლიანად რელიეფის თავისებურებათა გარკვევას ზედაპირის დახრილობის მხრივ.

რელიეფის დახრილობის რუკის შედგენის აღწერილი წესით ჩვენ დავამუშავეთ რელიეფის სხვადასხვა ფორმა და რელიეფის სხვადასხვა ტიპი, რათა ამ წესით გამოგვევლინებინა კავშირი დახრილობის ტიპებისა რელიეფის ფორმების და მთლიანად რელიეფის ტიპებთან და ამით გავვეშუქებინა რელიეფის დახრილობის გეომორფოლოგიური მნიშვნელობა. სანიმუშოდ შევადგინეთ რელიეფის დახრილობათა რუკები ჩვენ მიერ დამუშავებული წესით რელიეფის ძირითადი გენეტიური ტიპებისათვის: აკუმულაციური, ეროზიული, კარსტული, ეოლური, ტექტომორფული, პეტრომორფული და ვულკანოგენური რელიეფებისათვის.

ამ რუკებში აგრეთვე, როგორც ჰორიზონტალებიან რუკებში, გამოიხატება რელიეფის თითოეული ტიპის მორფოგრაფიული თავისებურებანი, ხოლო, განსხვავებით ჰორიზონტალებიანი რუკისაგან, რელიეფის დახრილობათა რუკებში რელიეფის ტიპთა მორფოგრაფიული თავისებურებანი რიცხვობრივი მაჩვენებლებით არის გამოხატული, ე. ი. უფრო ზუსტი წესით. ამით რელიეფის გეომორფოლოგიურ დახასიათებას ზუსტი რიცხვობრივი ხასიათი ეძლევა.

რელიეფის დახრილობის რიცხვობრივ გამოხატულებას, აშკარაა, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გეომორფოლოგიური კვლევისთვის: რელიეფის დახრილობის რუკებს შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სახალხო მეურნეობას და სახელმწიფოს თავდაცვას, როცა საჭირო ხდება მათთვის რელიეფის ზედაპირის დახრილობის ხარისხის მხედველობაში მიღება და საჭირო ხდება სარგებლობა რელიეფის დახრილობათა გამოსახვის უფრო რაციონალური წესით.

(შემოვიდა რედაქციაში 25. II. 1942)

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გეომორფოლოგიის კათედრა.

В. Хухия, В. Хачишвили

Объемное определение натрия с применением висмутовой амальгамы

